3. გ. გ ო ლ ე თ ი ა ნ ი — ჩაის მცენარის აზოტიანი კვების რეჟიმის გაუმჯობესება მის ბიოლოგიასთან დაკავშირებით. საბჭოთა აგრონომია, 1951-53.
4. გ. გ ო ლ ე თ ი ა ნ ი — მინერალური სასუქების გავლენა ჩაის პლანტაციების ნიადაგის თვისებებსა და მოსავლიანობაზე. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1960.
5. მ. ბ ზ ი ა ვ ა — ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საქავშიროსამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიღწევები ჩაის პლანტაციის განოყიერების დარგში. წიგნი: საქ. აგროქიმიკოსთა რესპუბლ. თათბირი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1939.
6. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. უ რ უ შ ა ძ ე — ჩაის პლანტაციის განოყიერება. თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1960.
7. ჯ. ო ნ ი ა ნ ი — მინერალური სასუქების გავლენა ჩაის პლანტაციებზე (საქართველოს პირობებში), თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1965.
8. ი. ს ა რ ი შ ვ ი ლ ი, ნ. ზ ა ლ ი ე ვ ა, ლ. ს ა რ ი შ ვ ი ლ ი — სასუქების სისტემატური გამოყენების გავლენა ნიადაგის აგროქიმიურ თვისებებზე საქართველოში, თბ., 1967.



6. ნადირაძე

გამოტუტებული ყავისფერი ნიადაგების ჰუმუსის წილის მნიშვნელობა

საქართველოს სხვადასხვა ტიპის ნიადაგების ჰუმუსის თვისობრივ შედგენილობაზე მონაცემები ეკუთვნის მ. საბაშვილს, გ. ტალაძეს, ს. ცინცაძეს, ი. ანჯაფარიძეს, ვ. ლატარას, ე. მხეიძეს და სხვ. [15, 16, 20, 21].

ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა აღმოსავლეთ საქართველოს გამოტუტებულ ყავისფერ ნიადაგებში ჰუმუსის თვისობრივი შედგენილობა მ. კონონოვას და ნ. ბელჩიკოვას დაჩქარებული მეთოდით [11].

საქართველოს ყავისფერი ნიადაგების მკვლევართა შრომების მიხედვით [1, 2, 14] ჰუმუსის შედგენილობაში ჰუმინის მკვლევარს როლზე აქვს ადგილი ფულვომჟავისა და მათი შეფარდების მაჩვენებელი ერთზე მეტია. ჩვენი მონაცემებით კი ეს შეფარდება რაც შემთხვევებში დარღვეულია და ფულვომჟავებია აპარბენ ჰუმინის მკვლევარს. ანალიზური შედეგები მოცემულია აზერბაიჯანისა და ყირიმის ყავისფერი ნიადაგების მკვლევართა შრომებში [3, 7]: დაკვირვებამ ცხადყო, რომ ყავისფერ, ძლიერ გამოტუტებულ ნიადაგებში, რომლებიც უფრო ხშირად ტყითაა დაკავებული ან შედარებით ახლო წარსულში არიან ტყის საფარისაგან განთავისუფლებულნი.

აღნიშნული მკვლევარების შეფარდების მაჩვენებელი ერთზე ნაკლებია, რაც შეეხება საშუალო და სუსტად გამოტუტებულ ნიადაგებს, რომლებიც გასტეგებას განიცდიან. მათში ჰუმინის მკვლევარს შემცველობა ფულვომჟავებთან შედარებით გადიდებულია და შესაბამისად შეფარდების მაჩვენებელიც ერთზე მეტია ან ერთს უახლოვდება (ქრ. 1, 2, 4, 5, 10). ეს მონაცემები კარგად ჩანს პირველი ცხრილიდან. ეს შეფარდება როგორც პროფ. ი. ანჯაფარიძის მონაცემებიდან [1, 2] ჩანს, ყავისფერი ნიადაგების დანარჩენ ქვეტოპებში აღწევს 1,36-ს, ასეთივე მაჩვენებლები მიიღო ს. ცინცაძემ [20] ღუშეთის მიდამოების ყავისფერი ნიადაგებისათვის.

მ. დოლოგოლევიჩის, მ. კოჩინის, ნ. სევასტიანოვის [7] გამოკვლევებით კი ყირიმის მიდამოების ყავისფერი ნიადაგებისათვის შეფარდება უმეტეს შემთხვევაში ერთზე ნაკლებია და მერყეობს 0,7—0,8-ის ფარგლებში.

ეწერებში და გაეწერებულ ყომრალ ნიადაგებში ფულვომჟავა ნიადაგის გაეწერების პროცესებს განაპირობებს. ყავისფერ ნიადაგებში კი განეიტრალეზულ ფულვომჟავას ხსნარებს არ შეუძლიათ გაეწერების პროცესების გამოწვევა, ისინი აქ მთლიანად განეიტრალეზული და უვნებელი არიან [1, 2].






ნიადაგი ჯრ. №	სიღრმე სმ-ობით	ნიადაგში C %-ობით	C ორგანული ნივთიერების 0,1 N H <sub>2</sub> SO <sub>4</sub> გამოცდებ- ლი	C ორგანული ნივთიერების Na <sub>2</sub> P <sub>2</sub> O <sub>7</sub> + NaOH გამოცდ- ებული	C ჰუმინის წიგების	C ფულვონების	C		ქვიშის შემდეგ	
							C <sub>1</sub>	C <sub>2</sub>	თავისუფალი და H <sub>2</sub> SO <sub>4</sub> -ის დაკავშირებული	ცხთან დაკავშირებული
სიღრელი ძლიერ	0—10	2,03	3,96	35,29	16,66	18,63	0,89	—	100	64,71
გამოტუტებული 3	30—40	0,53	5,01	31,95	14,43	17,52	0,82	—	100	68,34
კიკეთი ძლიერ 11	2—10	1,82	3,1	37,20	16,9	20,3	0,82	—	100	62,80
გამოტუტ.	25—35	1,90	3,29	23,62	9,89	13,73	0,72	—	100	76,38
კიკეთი ძლიერ 12	0—10	2,38	3,78	35,40	16,8	18,60	0,90	—	100	64,6
გამოტუტებ.	30—40	1,65	3,20	35,22	16,02	19,20	0,83	—	100	64,78
საშუალოდ გამოტუტ.	0—10	5,19	3,08	32,17	13,68	18,49	0,94	4,81	95,19	67,83
ბოდბე 4	30—40	1,61	6,21	38,88	17,39	20,49	0,84	4,6	100	62,12
საშუალოდ გამოტუტ. 10	0—10	1,82	3,29	43,20	20,2	23,0	0,90	7,1	95,4	56,8
წყნეთი	30—40	1,45	4,13	32,40	14,4	18,0	0,80	1,9	92,9	67,6
სუსტად გამოტუტ.	0—10	2,30	4,52	37,11	19,00	18,11	1,04	—	98,1	62,89
შეამთა 1	30—40	1,87	3,29	24,96	15,0	14,96	1,04	—	100	70,04
სუსტად გამოტუტ.	0—10	3,61	2,0	37,30	19,9	17,4	1,01	—	100	62,7
ცანთა 2	20—30	1,52	4,0	37,68	19,5	13,18	1,08	—	100	62,32
სუსტად გამოტუტ.	0—10	2,65	4,15	36,22	18,49	17,73	1,09	2,26	97,74	63,78
ბოდბე 5	30—40	1,82	4,39	39,56	20,33	19,23	1,05	—	100	60,44

ჰუმინის მკვლევარს თავისუფალ ანუ კალციუმთან დაკავშირებულ ფორმებს გამოტუტებული ყვესფერი ნიადაგები მცირე რაოდენობით შეიცავენ, რაც ნიადაგის ორგანული ნახშირბადის 1,9—7,1%-ს შეადგენს, ან სრულიად არ შეიცავენ (ჯრ. 1, 2, 3, 5, 11, 12).

როგორც საბჭოთა მეცნიერების [9, 10, 12, 19] გამოკვლევებითაა დადსტურებული, ჰუმინის მკვლევარს აღნიშნული ფორმების გადიდებული შემცველობა დამახასიათებელია ჰუმიდური ტყის ზონის ნიადაგებისათვის, რაც გაპირობე-



ბულია ორგანული ნარჩენების დაშლის ხასიათით ჰუმინფიკაციის თავისებულებებით და ნიადაგში მიმდინარე მთელი რიგი სხვა პროცესებით, ამის გარდა ნიადაგების ჰუმინის მკვლევარ ნაწილი Ca-ს ვერ უკავშირდება და ვერც ნიადაგის ფინგელების მოძრავ ფორმასთან ჰუმინის კომპლექსურ ნაერთებს. გამოტუტებული ყავისფერი ნიადაგების ჰუმინის უხსნად ნაშთის რაოდენობა შედარებით მაღალია 60,44—76,38%, რაც აპირობებს ამ ნიადაგების მტკიცე სტრუქტურას და კარგ ფიზიკურ თვისებებს.

Н. НАДИРАДЗЕ

## НЕКОТОРЫЕ ОСОБЕННОСТИ ГУМУСА ВЫЩЕЛОЧЕННЫХ КОРИЧНЕВЫХ ПОЧВ

### Резюме

В выщелоченных коричневых почвах в составе гумуса отношение колеблется в пределах 1,05—0,94 слабо выщелоченных и средневыщелоченных почвах, а в сильновыщелоченных почвах общее количество гуминовых кислот от общего органического углерода колеблется в пределах 14,43—20,30%-х.

В группе гуминовых кислот преобладает форма закрепленная кальцием.

Преобладающее количество этой формы гуминовых кислот является одной из главных причин образования прочной структуры и благоприятных физических свойств выщелоченных коричневых почв.

### ლიტერატურა

1. ი. ანჯაფარიძე, ე. მხეიძე — საქართველოს ტყის ყავისფერი ნიადაგების ჰუმუსის შედგენილობის საკითხისათვის. საქ. სას. სამ. ინსტიტუტის შრომები, 1964.
2. ი. ანჯაფარიძე — საქართველოს ტყის ყავისფერი ნიადაგები. საღოჭტორო დისერტაცია. თბ., 1965.
3. С. А. Алиев — Условия накопления и природа органического вещества почв. Баку, 1966.
4. Антипов-Каратаев и Л. И. Просолов — Почвы Крымского заповедника и прилегающих местностей. Труды почвенного института АН СССР. т 1932.
5. Н. П. Бельчикова — Определение гумуса почвы по методу И. В. Тюрина. Изд-во АН СССР, Издание 11, 1954, 111—1960, М.
6. И. Р. Герасимов, М. А. Глазовская — Основы почвоведения и географии почв. М. 1960.



7. М. И. Долгилевич, М. А. Кочкин, Н. Ф. Севастьянов — Состав и некоторые свойства гумуса коричневых почв Кавказа. Почвоведение, № 2, 1962.
8. А. М. Дурасов — Отношение углерода к валовому анализу азота в основных почвах предкавказья. Почвоведение № 7, 1962.
9. М. М. Кононова — Гумус в главнейших типах почв СССР его природа и пути образования. Докл. международному конгрессу почвоведов, М. 1956.
10. М. М. Кононова — Проблема почвенного гумуса и современные задачи его изучения. М. 1951.
11. М. М. Кононова, И. Н. Бельчикова — Ускоренные методы определения состава гумуса минеральных почв. Почвоведение. № 10, М., 1961.
12. В. В. Пономарева — О роли гумусовых веществ в образовании бурых лесных почв. Почвоведение, № 12, 1962.
13. М. Н. Сабашвили — К вопросу о зональности и классификации почв Закавказья. Вопросы генезиса и географии почв. Тб. 1948.
14. М. Н. Сабашвили — Почвы Грузии. Т., 1948.
15. მ. საბაშვილი — საქართველოს სსრ ნიადაგები. თბ., 1965.
16. გ. ტალახაძე — საქართველოს შავმიწები. თბ., 1962.
17. გ. ტალახაძე — საქართველოს ძირითადი ნიადაგური ტიპები. თბ., 1964.
18. Г. М. Тарасашвили — Горно-лесные и горно-луговые почвы Восточной Грузии. Тб. 1956.
19. И. В. Тюрин — Органические вещества почв. Сельхозгиз, М. 1937.
20. ს. ცინცაძე — საქართველოს ზოგიერთი ნიადაგის ჰუმუსის შედგენილობა. ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1956.





ბ. შანიძე, თ. ჩხივიძე

საკართველოს რანდონიზების კუროსის შეფასებისათვის

რენდონები (ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები) ბუნებაში საკმაოდ გავრცელებული ნიადაგების ჯგუფს ეკუთვნიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ნაკლებად არიან შესწავლილი, განსაკუთრებით შეუსწავლელია საქართველოს რენდონები და მათი ჰუმუსი.

საქართველოში რენდონები უწყვეტ ზოლად გასდევს მთიანეთს აფხაზეთიდან კახეთამდე.

საანალიზოდ ავიღეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის, როგორც ტიპური, ასევე დეგრადირებული ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგი (განვითარებული ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე და სხვადასხვა ლითოლოგიის კარბონატულ ქანებზე).

პრ. 251. ქუთაისის რაიონი, სოფ. ნავარები. ზ. დ. 100 მმ, ნალექების საშუალო-წლიური რაოდენობა 1300—1500 მმ-მდე, საშ. წლიური ტემპერატურა 14—15°, რელიეფი — ვაკე. დედაქანი — მკვრივი აგებულების კირქვა. მცენარეულობა — ჩაის პლანტაცია. დეგრადირებული ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგი დაახლოებით 80—90 სმ სისქის. დიფერენცირებული გენეტიკურ ჰორიზონტებად. რეაქცია მჟავა, სიდრმისაყენ ნეიტრალური.

პრ. 250. ვანის რაიონი, სოფ. ისრიითი. ზ. დ. 520 მ, ნალექების საშ.-წლიური რაოდენობა 1600 მმ-მდე. რელიეფი — მთაგორიანი, მცენარეულობა — ბუჩქნარი, ეკალ-ბარდი, ბროწეულისა და დაფნის ველური ჯიშები. ნიადაგი — მცირე სისქის (20—30 სმ), ტიპური ნეშომპალა-კარბონატული, ხირხატიანი, განვითარებული უშუალოდ მკვრივ კირქვაზე. რეაქცია ნეიტრალური, სუსტი მჟავა.

პრ. 277. გუდაუთის რაიონი, ბზიდის ქედის ერთ-ერთი მწვერვალი ძიშრა. ზღ. დ. 2634 მ, იანვრის და თებერვლის საშუალო  $t^{\circ}$ -11° —14°, ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი = -30°; ივლის-აგვისტოში ტემპერატურა +10°-ზე დაბალია. ნალექების წლიური რაოდენობა 2500—3000 მმ. ნიადაგი განვითარებულია მკვრივ კირქვებზე, რენდონისებრი, მცირე სისქის (10—20 სმ), ხირხატიანი.

პრ. 235. აშბროლაურის რაიონი, სოფ. კრიხი, ზღვის დ. 600 მ, საშ.-წლიური  $t^{\circ}$ -+11—12. ნალექების რაოდენობა 1000 მმ-მდე. ნიადაგი ტიპური ნეშომპალა-კარბონატული.



ქრ. 236. ნიკორწმინდა, ამბროლაურის რაიონი, ზღ. დ. დაახლოებით 700 მ-ზე იანვრის საშ.  $t^{\circ}$  უარყოფითია ( $-0,5^{\circ}$ ), ნალექების რაოდენობა 900 მმ-მდე, ზაფხულის საშუალო-თვიური ტემპერატურა  $= 22^{\circ}$  ნიადაგი **ქუმი** (წითელი ფერის), რეაქცია სუსტი მჟავე.

ქრ. 234. შოვის მიდამოები, კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ერთ-ერთი მწვერვალი — მოლისა. ზღ. დ. 2500 მ. ნალექების წლიური რაოდენობა 1500—2000 მმ. ზაფხულის თვეებშიც  $t^{\circ} + 10^{\circ}$ -ზე დაბალია, იანვრის საშ.  $t^{\circ} = -9^{\circ}$ . ნიადაგი რენდზინისებრი, განვითარებულია მკვრივ კირქვაზე (მარმარილოს მაგვარი) რეაქცია ნეიტრალური.

ქრ. 285. ცხინვალი. ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი ფერდობი. ზღ. დ. 871 მ. ნალექების წლიური ჯამი 507 მმ. ქანი ცარცისებრ-ფხვიერი აგებულების კირქვაზე, ნიადაგი კორდიან-კარბონატული, რეაქცია სუსტი მჟავე.

ქრ. 260. ჭავის რაიონი, სოფ. მსხლები. ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი ფერდობი. ზღ. დ. 1100 მ. ზამთრის თვის საშ.  $t^{\circ} = -3^{\circ}$ , ზაფხულის  $t^{\circ} = +18^{\circ}$ . ნალექების წლიური რაოდენობა 756 მმ. ნიადაგი ტიპური ნეშომპალა-კარბონატული. განვითარებული მკვრივ კირქვაზე. რეაქცია სუსტი ტუტე — ნეიტრალური.

ქრ. 269. დუშეთის რაიონი, ბაზალეთი. ეკუთვნის კავკასიონის სამხრეთ ფერდობს. ზღ. დ. 1000 მ-მდე. უბილესი თვის საშ.  $t^{\circ} = 18^{\circ}$ . იანვრის საშ.  $t^{\circ} = -3^{\circ}$ . ნალექების საშ-წლიური რაოდენობა 800 მმ-მდე. ნიადაგი კორდიან-კარბონატული, განვითარებულია ცარცისებრ ფხვიერ კირქვაზე, რეაქცია სუსტი ტუტე.

ქრ. 267. ჯვრის გადასასვლელი. ცენტრალური კავკასიონი. ზღ. დ. 2380 მ. წლიური საშ. ნალექების ჯამი 1444 მმ. იანვრის საშ.  $t^{\circ} = -11^{\circ}$ , ნიადაგი რენდზინისებრი. განვითარებულია ფიქალისებრ მერგელზე. ტუტე რეაქციის.

ჰუმუსის ფრაქციული შედგენილობის (ტიურენის მეთოდით) ანალიზური მონაცემები მოცემულია პირველ ცხრილში.

მონაცემები გვიჩვენებენ, რომ მალალომთიანი ზონის ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების (ქრ. 234, მოლისა 2500 მ. ზღ. დ., ქრ. 267 ჯვარი, 2380 მ. ზ. დ., ქრ. 277. ძიშრა 2634 მ. ზ. დ.). ჰუმუსის %-ული რაოდენობა ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება და საშუალოდ 3—7%/ია. ზღვის დონიდან უფრო დაბალ ზონაში ბაზალეთში (ქრ. 269. 1000 მ. ზ. დ.) და მსხლებში (ქრ. 260, 1100 მ. ზ. დ.) ჰუმუსის რაოდენობა 6—7%/ს უდრის, უფრო დაბლა, შავი ზღვისპირა რაიონებში — ათონში, ჰუმუსის რაოდენობა 10%-ს აღწევს.

$\frac{C_3}{C_{\Sigma}}$  შეფარდება 1-ზე მეტია. აღნიშნული შეფარდება ერთზე ნაკლებია, მხოლოდ დეგრადირებულ ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებში (ქრ. 251, ნაგარები, 100 მ ზ. დ.), ანალიზური მონაცემები, გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების ჰუმუსის %-ული რაოდენობა სხვა თანაბარ პირობებში ჰიპსომეტრიაზე არ არის დამოკიდებული.

არ შეიძინევა აგრეთვე ქანის ლითოლოგიის გავლენა საერთო ჰუმუსის რაოდენობაზე, ასე, მაგალითად, ქრ. 269 (ბაზალეთის) და ქრ. 285 (ცხინვალის) დედა-

საქართველოს ბუნების (მეზომილ-კარბონატული ნივთიერების) ზედაპირული შეფენების, %-ით.



ქვეყნის საზღვრის ფართობი, ათ. მლნ კმ <sup>2</sup>	სიღრმე საზღვაო	ზედაპირი საზღვაო	C საზღვაო	ფართობი საზღვაო C	C ზედაპირის ზედაპირი				C საზღვაო				C <sub>1</sub> C <sub>2</sub> C <sub>3</sub> C <sub>4</sub>	C <sub>1</sub> C <sub>2</sub> C <sub>3</sub> C <sub>4</sub>
					I	II	III	ჯამი	I	II	III	ჯამი		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	
34.5 საზღვაო ზედაპირი ს. გ. 20 ა.	0-10	10,19	3,89	2,0	—	—	—	20,3	—	—	17,5		1,35	
34.201 საზღვაო ს. გ. 100 ა.	0-10 30-40	3,00 0,95	1,16 0,31	15,96 13,12	3,44 5,88	17,34 13,72	6,81 7,24	27,54 21,64	12,06 3,28	15,31 31,35	7,68 11,77	38,71 47,28	37,12 2,68	0,78 0,52
34.220 საზღვაო ს. გ. 200 ა.	0-10	3,65	0,72	6,70	6,36	34,91	6,33	41,24	3,44	21,17	10,34	24,90	23,61	1,18
34.277 საზღვაო ს. გ. 2634 ა.	0-10	4,22	2,45	25,12	7,75	19,18	9,70	26,71	3,67	15,10	5,71	26,48	28,81	1,49
34.285 საზღვაო ს. გ. 600 ა.	0-10 30-40	3,40 2,70	0,13 1,24	16,31 7,10	0,72 5,12	18,65 31,42	0,91 7,05	21,99 43,18	2,55 3,20	7,55 19,20	2,82 0,77	18,00 23,20	62,1 26,72	1,35 1,24

ქანი წარმოადგენს ფხვიერი აგებულების ცარცისმაგვარ კირქვას, ჰრ. 269-ის ნიადაგი შეიცავს 7,0%-მდე ჰუმუსს, ხოლო ჰრ. 285-ის ნიადაგი მხოლოდ 2,6%-ს, ისიც ზედა ფენაში, ხოლო მკვრივ კირქვაზე განვითარებულ ფენებში კი ჰრ. 250 (ისრითი), ჰრ. 260 (მსხლები), ჰრ. 251 (ნაგარები) ჰუმუსის შემცველობა სხვა რაოდენობით შეიცავენ (2%-დან 7%-მდე).

საქართველოს ამ ნიადაგების ჰუმუსს ადვილმობრავი ფრაქციის (1—ფრაქცია) საგრძნობი სიმცირე, ხოლო 11 ფრაქციის სიჭარბე ახასიათებს.

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოში ნიადაგი საკმაოდ ტენიანია და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობაც მაღალია (70—80%); დატენიანების კოეფიციენტი 2,0—2,5-ს აღწევს, ყველაზე გვალვიან თვეში კი 0,8—1-ის ქვევით არ ჩამოდის. იულის-აგვისტოში ინტენსიურ მიკრობიოლოგიურ პროცესს აქვს ადგილი. ამის გამო ჰუმუსოვან ნივთიერებათა დენატურირება-დაგროვება შესუსტებულია, ალბათ ამიტომ დასავლეთ საქართველოს ნიადაგებში ნაკლებია უხსნადი ნაწილი (ძველი ჰუმუსი), გამოჩაყლის წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს ალპური ზონის ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების (ჰრ. 277) ჰუმუსის ფრაქციული შედგენილობა, აქ უხსნადი ნაწილი დიდი რაოდენობითაა (38%), რაც ხანმოკლე ზაფხულითა და მკაცრი ზამთრით არის გამოწვეული.

აღმოსავლეთ საქართველოში ნალექების შედარებით მცირე რაოდენობის, დაბალი შეფარდებითი ტენიანობისა და საკმაოდ მაღალი t-ის ურთიერთგაბუნთ დატენიანების კოეფიციენტი 0,3-მდე ეცემა. ზაფხულზე იწყება ინტენსიური მიკრობიოლოგიური პროცესები მცირე დროით. ზაფხულში დატენიანების კოეფიციენტი მინიმუმს აღწევს და მიკრობიოლოგიური პროცესებიც ფერხდება, შემოდგომაზე კი ისევ ახლდება. ნიადაგის დატენიანება-გამოშრობა ხელს უწყობს ახლად წარმოქმნილი ჰუმინის მკვას დენატურირებით ჰუმუსის დაგროვებას, რომელიც ნიადაგის მინერალურ ნაწილთან ერთად იძლევა „არგილიტის“ დიდ რაოდენობას.

ანალიზური მონაცემების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების ჰუმუსის წარმოქმნათვისებები (არ ემორჩილება ჰუმუსწარმოქმნის ზონალობის კანონზომიერებას);
2. მცირეა ჰუმუსის შედგენილობაში ადვილად მოძრავი ფორმები;
3. ფრაქციათა შორის ყველაზე დიდი რაოდენობითაა II ფრაქცია;
4. ამ ნიადაგებისათვის დამახასიათებელია უხსნადი ნაწილის დიდი რაოდენობა (70%-მდე), რომელიც სჭარბობს აღმოსავლეთ საქართველოს ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებში.

Е. МХЕИДЗЕ, Т. ЧХЕИДЗЕ

## СОСТАВ ГУМУСА РЕНДЗИН ГРУЗИИ И ЕГО СВОЙСТВА

### Резюме

Гумус перегнойно-карбонатных почв Грузии мало изучен. Состав и свойства гумуса рендзин, как самих почв, не подчиняются законам зо-

нальности. В фракционном составе гумуса рендзин обращает внимание в основном большое количество II фракции (связанной с кальцием) и нерастворимая часть, которая в некоторых случаях достигает 70% органического углерода. Нерастворимая часть гуминовых веществ самая низкая в Западной Грузии (24—30%).

В типичных перегнойно-карбонатных почвах процентное содержание общего гумуса высокое ( $>12\%$ ) с преобладанием гуминовой кислоты ( $Cg:Cф > 1$ ), а в деградированных перегнойно-карбонатных почвах общее количество гумуса ( $<5\%$ ) с преобладанием фульвокислоты ( $Cg:Cф < 1$ ).

ლიტერატურა

1. И. Асинг — Особенности гумусо-образования в горных почвах северного Тянь-шана — Почвовед., № 12, 1960.
2. М. Долгилевич — К вопросу о природе гумусовых веществ в бурых горно-лесных почвах Крыма, Почвовед., № 7, 1957.
3. Н. Иловская — Органическое вещество основных типов почв Таджикистана, Почвовед., № 8, 1959.
4. М. Кононова — «Органическое вещество почвы», 1963.
5. В. Пономарева — «О роли гумусовых веществ в процессах почвообразования», Проб. Почвовед., 1962.





### 3. ლაბარია

#### ორგანული ნარჩენების დაუზღვევლობის შედეგად მიწის ნაყოფის ნიტრატების დაგროვება

ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების ერთი მეტად დიდი ფაქტორია ორგანული ნეოთიერება, რომელიც არეგულირებს ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიურ და ბიოლოგიურ პროცესებსაც.

მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მოწყობილ ნათესხალახიანი თესვებზე ნიადაგის მინერალიზაციის მაჩვენებლები იონჩა+კონდარის სამი წლის დგომისა ან ორი წლის სარგებლობის შედეგად მიღებულია 10 გათიბვით თივის მოსავალი 270.2 ც-დან 400 ც-მდე ჰა-ზე.

მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მთელი რიგი წლების (1960--1972) განმავლობაში წარმოებდა მრავალწლიანი ნათესხალახების (იონჩა — კონდარი) და აგრეთვე სხვა მინდვრის კულტურების მიწისქვედა ორგანულ ნარჩენთა რაოდენობის აღრიცხვა და მისი ნიადაგში დაშლის დინამიკის შესწავლა.

საწყის — საკონტროლოდ აღებულ ნიადაგის ნიმუშებში როგორც მიწის-ზედა ნაწვერალი, აგრეთვე მიწისქვედა ნარჩენებიც, ფესვების სახით — 0—80 სმ ფენისათვის 1 ჰა ფართობისათვის მერყეობს 15 ც-დან 20 ც-მდე.

შემდეგში სათანადო აგროტექნიკის გატარების შედეგად მოსავლიანობა მატულობს და ამის შესაბამისად ორგანულ ნარჩენთა რაოდენობაც იზრდება. ასე, მაგალითად, საშემოდგომო ქერის მიწისქვედა ნარჩენთა რაოდენობა მერყეობს 30,4 ც-დან 31,2 ც-მდე.

საშემოდგომო ხორბლის დოლი 35/4 მიწისქვედა ორგანულ ნარჩენთა რაოდენობა ტოლია 32,9 ც/ჰა-ზე.


სიმინდის ქართული კრტვის ფესვები ტოვებენ ერთ ჰა ფართობზე 38,9 ც-დან 35,9 ც-მდე ორგანულ ნარჩენებს.

მრავალწლიანი ბალახების — იონჩა + კონდარის მიწისქვედა ნარჩენთა რაოდენობა მკვეთრად განსხვავდება ერთწლიანი მინდვრის კულტურების მიწისქვედა ორგანული ნარჩენებისაგან. ისინი ქერის შეთესვიდან გამოსვლის პირველ წელს 0—80 სმ ნიადაგის ფენაში ერთ ჰა ფართობზე ტოვებენ 127,2 ტ ჰაერმშრალ მდგომარეობაში ორგანულ ნარჩენებს (ამ შემთხვევაში 0—20 სმ-ის ფესვების ოდენობას ემატება ნაწვერალის რაოდენობაც). მეორე წლის

დგომის ბალახნარევეები ერთ ჰა ფართობზე ტოვებენ 194,3 ც. ლოკალურ ვი-  
თიერებას, ხოლო ბალახები დგომის მესამე წელს იძლევიან მწიქვედა ხარ-  
ჩენებს 240,4 ც/ჰა-ზე.

ერკინული

ფესვების ნარჩენთა ძირითადი მასა 0—20 სმ-ის და ნახევარ-  
ნაშია (0—40 სმ) მოქცეული, როგორც ეს ნახ. I-დან ჩანს.



ნახ. 1. ორგანულ ნარჩენთა რაოდენობა.

I — 1-ლი წლის მონაცემები, II — მე-2 წლის მონაცემები, III — მე-3 წლის მონაცემები.

მდელის ყავისფერ ნიადაგებში (მუხრანი) ორგანული ნარჩენების დაშლის მსვლელობის შესწავლის მიზნით მრავალწლიანი ნათესბალახების (იონჯა + კონდარი) კორდის ჩახენა ვაწარმოეთ 20 აგვისტოს.

ცდების წარმოების მანძილზე ჩახნული ორგანული მასის დაშლა — გაზრწნის პროცესის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ აგვისტოში ჩახნული ორგანული მასის ინტენსიური დაშლა-გაზრწნა მიმდინარეობს მისი ჩახენის მომენტის პირველ პერიოდში, ხოლო შემდგომში კი ეს პროცესი თანაბრდება, ზომიერი ტემპით მიმდინარეობს და ხანგრძლივია. მოგვეყვას ცდების წარმოების მანძილზე მონაცემები მიწისქვედა ნარჩენების გაზრწნის შესახებ (ცხრ. 1).

კორდის ჩახენის მესამე დღეს ვაწარმოეთ დაკვირვება. ცხრილიდან ჩანს, რომ დაუშლელი და ნახევარდაშლილი ფესვების ოდენობა უდრის 130 ც-ს ჰა-ზე, რომელიც 23 აგვისტოს იყო აღრიცხული, მიღებულია 100%/ო-ად. შემდგომი ნიმუშები აღებულ იქნა 2 სექტემბერს. ჩანს, რომ ბალახების მწვანე მასის ფოთლების ნახ ლაბილურ ნაწილს დაშლა დაუწყია. 12 სექტემბრის დაკვირვებიდან ნათლად შეიმჩნევა ბელტის გამუქება. დაუშლელი ნივთიერების რაოდენობა ამ პერიოდისათვის 73%/ო-მდე დაეცა, დაიშალა 27%/ო. მომდევნო დაკვირვება ვაწარმოეთ 25 სექტემბერს, 18 ოქტომბერს, 26 ნოემბრის დაკვირვებამ კი დაგვარწმუნა, რომ ფესვების დიდი უმრავლესობა დარბილებულია და საერთოდ ნარჩენების დაშლა შენელებულია.

ღრმობის დრო	სულ ნარჩენთა რაოდენობა ც/ჰა	დაშლილი ნარჩენების რაოდენობა ც/ჰა
23 VIII	130	100
2 IX	119,6	92
12/X	94,9	73
25/X	91,0	70
18 XI	85,8	66
26 XII	80,0	61
10 V	76,7	59
20/V	71,5	55
30 V	69,9	53
20 VI	65,0	50
20 VII	64,0	49,0
20, VI:II	62,4	48

დაკვირვება აღდგენილ იქნა შემდგომი წლის 10 მაისისათვის. იენისის, ფელისის და აგვისტოს მონაცემები ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ ნარჩენების დაშლა-გახრწნა თითქმის გათანაბრდა.

მუხრანის მდელის ყავისფერ ნიადაგებში, აგვისტოში ჩახნული კორდის დაშლა მიმდინარეობს ორ პერიოდად: აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე. თითქმის თვენახევარი-ორი თვე; ამ დროს ორგანული ნარჩენების დაშლა მიმდინარეობს უფრო სწრაფად, უმთავრესად ბალახების მწვანე მასის ლაბილური და ნაზი ნაერთების ხარჯზე.

ნარჩენების დაშლის მეორე პერიოდია აპრილის ბოლო რიცხვები და მაისის დასაწყისი, როდესაც ისევ იწყება ნარჩენების დაშლის პროცესი.

აღნიშნულ ორ პერიოდში მიმდინარეობს უმთავრესად მცენარეული ნარჩენების დაშლა-გახრწნა, რომელიც ორი წლის განმავლობაში 52%-მდე აღრიცხული. როგორც ჩანს, ნარჩენების დაშლა საკვლევ ნიადაგებში შენელებული ტემპით მიმდინარეობს და ხანგრძლივია.

ნიადაგში ორგანული ნაშთების ასეთი თანდათანობითი დაშლა ჰუმუსის შემცველობას სტაბილურ ხასიათს აძლევს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰუმუსის შენარჩუნებისას, მის მდგრადობას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ნაკორდალზე მომდევნო კულტურები, როგორცაა საშემოდგომო ხორბალი, სიმინდი — ქართული კრუგი და სხვ., დიდი რაოდენობით ტოვებენ ნარჩენებს, რომლებიც ერთგვარად აკომპენსირებენ მინერალიზებულ ორგანულ ნივთიერებებს.

ამრიგად, მრავალწლიანი ნათესბალახების ნარჩენების აგვისტოს თვეში ჩახნის შემდგომი პროცესების მიმდინარეობა იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ მრავალწლიანი ბალახნარებით გაკორდებული მიწების დამუშავების პირველ წელს თავთუნის თესვა მიზანშეწონილია და მალალ მოსავალსაც აძლევს (30—37 ც/ჰა).


ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი ნორმები  
 ღრმობა (მეტრი)



საქართველო

საგარეო ურთიერთობების მინისტრის განყოფილება

სახეობა	ქვედა ნაწილის ღრმობა				წინა ნაწილის ღრმობა				მთლიანი ღრმობა				საგარეო ურთიერთობების მინისტრის განყოფილება	საგარეო ურთიერთობების მინისტრის განყოფილება
	მეტრი				სანტიმეტრი				სანტიმეტრი					
	0-10	20-25	30-50	70-80	0-10	20-30	40-50	70-80	0-10	20-30	40-50	70-80		
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი ნორმები	2,12	1,60	1,15	1,00	1,24	0,92	0,66	0,62	0,12	0,09	0,06	0,05	70,0	4,4
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი ნორმები	2,24	2,20	1,20	1,40	1,24	1,20	1,00	—	0,17	0,13	0,10	—	87,5	5,0
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი ნორმები	2,51	2,19	—	—	1,51	1,27	—	—	0,16	0,12	—	—	66,3	4,9
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი ნორმები	2,59	2,12	—	—	1,70	1,25	—	—	0,15	0,12	—	—	65,3	4,6
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი ნორმები	2,50	2,11	—	—	1,42	1,20	—	—	0,13	0,11	—	—	73,0	4,7
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი ნორმები	2,45	1,97	—	—	1,47	1,11	—	—	0,14	0,11	—	—	82,0	4,5
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი ნორმები	2,40	1,90	—	—	1,40	1,10	—	—	0,13	0,10	—	—	81,5	4,5



თესლბრუნვაში ბალახებით დაკავებულ მინდვრებზე ორგანული ნარჩენთა რაოდენობა ფესვებისა და ნაწვერალის სახით 0—40 სმ ფენაში დაახლოებით შეადგენს 180—200 ც-მდე ჰაერმშრალ ორგანულ მასას ჰა-ზე, ხოლო 40—60 სმ ფენისათვის კი ის საშუალოდ 150 ც/ჰა უდრის.

ჩვენ შევეცადეთ მდელის ყავისფერ ნიადაგებში მუხრანის პირობებისათვის გადაგვეანგარიშებინა ნიადაგის სახნავი 0—30 სმ ფენისათვის ნახშირბადის და აზოტის საშუალო შედგენილობა. როგორც მეორე ცხრილიდან ჩანს, საცდელ ნაკვეთის — საწყისის (საკონტროლო ნიადაგებში) ჰუმუსის შემცველობა დაბალია, რომელიც 0—10 სმ ფენაში 2,12%/ს არ აღემატება. სიღრმისაყენ ჰუმუსის რაოდენობა მცირდება და 80 სმ ფენაში ის 1,08%/ს-მდე ეცემა. აქ ჰუმუსის შესაბამისად აზოტიც მცირეა, რომელიც ზედა (0—10 სმ) ჰორიზონტის ფენაში 0,12%-დან სიღრმისაყენ კლებულობს და 70—80 სმ ფენაში 0,05%-მდე ეცემა.

ამავე ცხრილში მოცემულია იმ ნიადაგებისათვის ჰუმუსისა და აზოტის საერთო მარაგი.

საკვები ნივთიერებების საერთო რაოდენობა ამ ნიადაგებში დაბალია, ჰუმუსის მარაგი 0—30 სმ ფენისათვის უდრის 70 ტ/ჰა-ზე, აზოტის რაოდენობა იმავე ფენაში შესაბამისად ჰუმუსისა შემცირებულია და ჰექტარზე 4,4 ტ უდრის (ცხრ. 2), როგორც მეორე ცხრილიდან ჩანს, აღნიშნულ ნიადაგებში ჰუმუსის მატება შემჩნეულია მრავალწლიანი ბალახების ქვეშ 0—30 სმ ფენაში. მრავალწლიანი ბალახნარევით ჰუმუსის მატება სახნავი (0—30 სმ), ფენისათვის ნიადაგის წონიდან 0,6—0,5%/ს-ს უდრის. ასეთი კანონზომიერება მეორდება ბალახებით დაკავებულ თესლბრუნვის ქვეშ განკუთვნილ ყველა მინდორზე. ცხრილში მოგვყავს მრავალწლიანი განმეორების შედეგად მიღებული საშუალო მონაცემები, ჰა-ზე 0—30 სმ ფენისათვის გადაანგარიშებით. ჰუმუსის მატება საშუალოდ აღწევს 12—18 ტ-მდე, რაც შეეხება აზოტს, იგი მატულობს დაახლოებით 0,02—0,05%/ს-მდე, ე. ი. ჰა-ზე 4—6 ც-მდე.

მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ის ნაკვეთები, რომლებიც ძლეოდნენ ხორბლის მოსავალს 4—5 ც-ს, იშვიათად 7—10 ც-ს, ხოლო სიმირღისა 10—15 ც/ჰა-ზე. მათი გაკულტურების, გასტრუქტურების და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ამალღების საფუძველზე, რომელიც გამოწვეული იქნა მალაი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებით, მრავალწლიანი ნათეს-ბალახების შემწეობით თესლბრუნვებმა პურეულების მოსავლიანობა საგრძნობლად ამაღლა. სახელდობრ, მაგარი ხორბლის შავფხვის მოსავლიანობა აღწევდა 30—37 ც-მდე, კახი № 3—30—32 ც-მდე და სიმინდი „ქართული ჯიშის“ სამარცვლედ 70—79 ც/ჰა-ზე.

**В. ЛАТАРИЯ**

**ДИНАМИКА РАЗЛОЖЕНИЯ ОРГАНИЧЕСКИХ ОСТАТКОВ В УСЛОВИЯХ ЛУГОВО-КОРИЧНЕВЫХ ПОЧВ МУХРАНИ**

**Резюме**

В Мухранском учебно-опытном хозяйстве Грузинского СХИ, в качестве компонентов травосмесей были подобраны люцерна синяя

(*Medicago sativa* L.) и райграс многоукосный (*Lolium multiflorum* L.). После 3-х лет стояния и 2-х летнего использования при 9-10 укосах было получено от 270 до 400 ц/га сена.

Количество органических остатков в виде корней и надземных масс на полях, занятых травами в слое 0—40 см, к моменту заделки составляет примерно от 180 до 200 ц/га воздушно-сухого вещества.

Процесс разложения заделываемой органической массы показал, что интенсивное разложение органической массы при заделке 23 августа на глубину 30—35 см происходит в 1-ый период, а позднее этот процесс выравнивается и протекает более умеренно и продолжительно (таб. 1).

На лугово-коричневых почвах в слое 0—30 см производили пересчет среднего количества азота и гумуса.

Увеличение содержания гумуса под действием многолетних трав на указанных почвах равно 0,5—0,6%, что в абсолютном выражении составляет 12—18 тонн гумуса на га. Что же касается азота, то его количество возрастает примерно на 0,02—0,05%, что означает прибавку 4—6 ц/га азота.

За ротацию севооборота в слое 0—30 см запас гумуса составляет 87,5 тонн на га против исходного в 70 т/га, а количество азота 5 т/га против 4,5 т/га.

Все это обусловило повышение урожайности озимой пшеницы до 37,0 ц/га (на контроле 18,0 ц/га), пропашных (кукуруза «Картули Круги») 70—79 ц/га (против 28 ц/га).

---



შ. ჩიკვაძე

**აფინიტეტის გავლენა პირველხარისხიანი ვაზის ნარგის გამოსავლიანობაზე**

საქართველოს მევენახეობის პრაქტიკაში ფილოქსერაგამძლე საძირე ჰიბრიდების გამოყენებას და მათზე მოსავლის მომცემი ვაზის ჭიშების მყნობას დიდი ხნის ისტორია და ფართო პრაქტიკული გამოყენება აქვს. მაგრამ სათანადო გარდატეხა ჯერ კიდევ არ მომხდარა პირველხარისხოვანი ნამყენების პროცენტული გამოსავლიანობის გადიდების მხრივ. ამის გამო ხარისხოვანი ნერგის გამოსავალი საშუალოდ 30—35%/მ-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო ზოგიერთ მეურნეობასა და კოლმეურნეობაში იგი კვლავ უფრო დაბალია. ეს იმით აიხსნება, რომ აფინიტეტთან დაკავშირებული რიგი საკითხები ჯერ კიდევ დაზუსტებული და დამუშავებული არ არის. ასეთი საკითხების შესწავლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც მწვავე ხასიათი მიიღო ვაზების ქლოროზით დაზიანებამ და ვენახებში მეჩხერიანობის ზრდამ.

მონაცემები ცხადყოფს, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ვენახების სიმეჩხრე 40%-ს აღწევს, ხოლო რესპუბლიკაში იგი საშუალოდ 20%-ზე მეტია. აქედან გამომდინარე, საქართველოს მევენახეობის ახლანდელი მდგომარეობა აქტუალურს ხდის ნამყენი ვაზის შეზრდა-შეხორცებისა და მისი შემდგომი გახარების საქმეში აფინიტეტის საკითხის შესწავლასა და დაზუსტებას. ცნობილია, რომ თუ სწორად შევარჩევთ სამყნობ კომპონენტებს, მაშინ დაკავშირებულ ორგანიზმთა შორის შეიქმნება კარგი ანუ საუკეთესო აფინიტეტი, მიღებული ნამყენი არ დაიმჩნევს დამყნობის შედეგს და იგი დაუახლოვდება დაუმყნელი ვაზის მდგომარეობას. ამის გამო ნამყენის შეხორცება დაუბრკოლებლად წარიმართება, მყენარე ნამყენის სახით ღონიერად გაიზრდება, სიმეჩხრე შემცირდება. რეგულარული და მაღალი მოსავლის მომცემი იქნება და მისი სიცოცხლეც გახანგრძლივდება [3, 4, 5, 6, 7, 8].

აქედან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ვაზის ზოგიერთი სტანდარტული ჭიშის აფინიტეტი ფილოქსერაგამძლე ვაზის ძირითად საძირეებთან შეხორცების ინტენსივობისა და პირველხარისხოვანი ნამყენი ნერგის გამოსავლიანობის თვალსაზრისით.

სანამყენე ჭიშებიდან შერჩეული იქნა: რქაწითელი, საფერავი, ჩინური, გორული მწვანე, განჯური, ალიგოტე და შავი პინო, ხოლო საძირე ჰიბრიდები-



დან — ბერლანდიერი X რიპარია 5 ბბ, რუპესტრის დულო, რიპარია X რუპესტრის 3309, ბერლანდიერი X რიპარია 420 ა და შასლა X ბერლანდიერი 41 ბ. ჩატარებული გამოკვლევების შედეგები მოცემულია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1  
ვაზის სამრეწველო ჯიშების აფინიტეტი ფილოქსერაგამწლე საშირეებთან შეხორცების ინტენსიუობისა და პირველხარისხოვანი ნერვის გამოსავლიანობის მიხედვით (%-ობით)

საშირე	ბერლანდიერი X რიპარია 5-ბბ	რუპესტრის დულო	რიპარია X რუპესტრის 3309	ბერლანდიერი X რიპარია 420-ა	შასლა X ბერლანდიერი 41-ბ
სანამყენე					
რქაწითელი	53,7	43,3	37,9	37,7	57,4
სადერავე	47,0	49,5	38,7	26,4	47,4
ჩიხური	60,8	51,1	45,8	34,8	69,1
გორული მწვანე	58,4	36,2	34,1	26,0	41,6
განჯური	40,1	56,1	53,4	48,6	60,3
ალგოტე	39,5	51,2	33,8	21,2	60,0
პინო	35,0	48,1	43,0	32,5	45,6

ცხრილიდან ჩანს, რომ რქაწითელი პირველხარისხოვანი ვაზის ნერვის გამოსავლიანობითა და შეხორცების ინტენსიუობით უკეთეს მაჩვენებლებს იძლევა შასლა X ბერლანდიერი 41 ბ-თან და ბერლანდიერი X რიპარია 5 ბბ-თან: ყარგ მაჩვენებლებს ამჟღავნებს, აგრეთვე, რუპესტრის დულოსთან: რქაწითელი შეხორცების მცირე უნარს და პირველხარისხოვანი ნერვის დაბალ გამოსავლიანობას იძლევა რიპარია X რუპესტრის 3309-თან და ბერლანდიერი X რიპარია 420 ა-ზე მყნობის შემთხვევაში.

საფერავი ყველაზე უკეთეს შეხორცებასა და პირველხარისხოვანი ნერვის გამოსავლიანობას იძლევა რუპესტრის დულოსთან შასლა X ბერლანდიერი 41 ბ-თან და ბერლანდიერი X რიპარია 5 ბბ-თან შედარებით ნაკლები შედეგების მომცემია რიპარია X რუპესტრის 3309-სა და ბერლანდიერი X რიპარია 420 ა-თან.

ჩიხური ყარგ, თანაბარ შეხორცებასა და პირველხარისხოვანი ნერვის გამოსავლიანობას იძლევა შასლა X ბერლანდიერი 41 ბ-სა და ბერლანდიერი X რიპარია 5 ბბ-თან, მათ მოსდევს რუპესტრის დულო და რიპარია X რუპესტრის 3309, ხოლო ბოლო ადგილს იკავებს ბერლანდიერი X რიპარია 420 ა-თან.

გორული მწვანე შეხორცებისა და პირველხარისხოვანი ნერვის გამოსავლიანობის უკეთეს უნარს იჩენს შასლა X ბერლანდიერი 41 ბ-თან, ხოლო მცირე შედეგების მომცემია ბერლანდიერი X რიპარია 5 ბბ-თან, რუპესტრის დულოსთან. რიპარია X რუპესტრის 3309-თან და ბერლანდიერი X რიპარია 420 ა-თან მყნობის შემთხვევაში.

განჯური შეხორცების ინტენსიუობისა და პირველხარისხოვანი ნერვის გამოსავლიანობის მაღალ მაჩვენებლებს იძლევა შასლა X ბერლანდიერი 41 ბ-თან, რუპესტრის დულოსთან, რიპარია X რუპესტრის 3309-თან და ბერლანდი-



ერჩობისათვის 420 ა-თან, კარგად ხორცილება აგრეთვე ბერლანდიერ X რიპარია 5 ბბ-თან მყნობისას.



ალიგოტე შეხორცების საუკეთესო შედეგებს და პირველხარისხის ნერგის გამოსავლიანობის მაღალ მაჩვენებლებს იძლევა შასლა X ბერლანდიერ 41 ბ-თან და რუპესტრის დულოსთან, შედარებით მცირე შედეგების მომცემია ბერლანდიერ X რიპარია 5 ბბ-თან, რიპარია X რუპესტრის 3309-თან და ბერლანდიერ X რიპარია 420 ა-თან.

პინო თანაბარ შეხორცებასა და პირველხარისხოვანი ნერგის გამოსავლიანობის მაჩვენებლებს იწენს რუპესტრის დულოსთან, შასლა X ბერლანდიერ 41 ბ-თან და რიპარია X რუპესტრის 3309-თან, ხოლო შედარებით ნაკლები შედეგების მომცემია ბერლანდიერ X რიპარია 5 ბბ-სა და ბერლანდიერ X რიპარია 420 ა-თან.

ამგვარად, საცდელად აღებული ყველა სანამყენე ჯიში შეხორცების ინტენსივობისა და პირველხარისხოვანი ვაზის ნერგის გამოსავლიანობის მიხედვით ყველაზე საუკეთესო აფინიტეტს იძლევა შასლა X ბერლანდიერ 41 ბ-თან. ანატომიური ანალიზის თვალსაზრისით შეხორცების სისრულისა და თანაბრობის მიხედვით კარგ შედეგებს იძლევა აგრეთვე, ბერლანდიერ X რიპარია 5 ბბ-თან და რუპესტრის დულოსთან, ხოლო შედარებით ნაკლები შედეგების მომცემი აღმოჩნდნენ რიპარია X რუპესტრის 3309-თან, და ბერლანდიერ X რიპარია 420 ა-თან.

გამორკვა, რომ კომპონენტთა პირველადი შეხორცების დროს მერისტემული ზონა, რომელიც კალუსის ქსოვილში წარმოიშობოდა, ეკვროდა როგორც საძირის, ისე სანამყენის კამბიუმის ზონებს, რის შედეგადაც წარმოებდა ნამყენის შეხორცება. მერისტემული უჯრედები კამბიუმის გარე ზონაში წარმოქმნიდნენ ლატენის ახალ ქსოვილს, ხოლო შიგნით — მერქნის ქსოვილებს, რის შედეგადაც ზდება კომპონენტთა შორის კავშირის აღდგენა და მათი საბოლოო შეხორცება.

კარგად შეხორცებულ ნამყენებს ახასიათებდათ ჭრილობის გარშემო თანაბრად განვითარებული ახალი წლიური შრე მერქნისა და ლატენის ელემენტებისა, რომელიც ნამყენის კარგად შეზრდის ნამდვილი მაჩვენებელი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ საცდელად შერჩეული ჯიშები ბერლანდიერ X რიპარია 420 ა-თან ნამყენის გაზარების მცირე პროცენტს იძლეოდა, ნამყნობ ადგილზე ანატომიურ ქსოვილთა განვითარება და დიფერენცირება ნორმალურად მიმდინარეობდა, რის შედეგადაც მათგან მიღებული ნამყენები განსაკუთრებული სიმკვიდრით ხასიათდებოდა.

ბერლანდიერ X რიპარია 420 ა-ზე დამყნილი ვაზებიდან პირველხარისხოვანი ნამყენების დაბალი პროცენტული გამოსავლიანობა იმის მიზეზი უნდა იყოს, რომ ამ საძირეზე დამყნილი ვაზის ჯიშებს ახასიათებთ მყნობის ოპერაციის ჩატარებიდან რამდენაღმე გვიან და მცირე რაოდენობით ფესვთა სისტემის განვითარება, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს და ერთგვარად აწელებს მყნობის კომპონენტების დროულ შეხორცებას. ამ უარყოფითი მოვლენის თავიდან აცილება და ხარისხოვანი ნამყენების გამოსავლიანობის გაღი-



დება შესაძლებელია ზრდის სტიმულატორების, განსაკუთრებით კი პეტეროაუქსინის გამოყენებით. პეტეროაუქსინის მოქმედებით შეიძლება დაეაჩქაროს ნამყენებზე ფესვების წარმოქმნა და გავაძლიეროთ მისი განვითარება.

მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრაზე ჩატარებული ცდების შედეგად და, რომ ზრდის სტიმულატორები ხელს უწყობენ ქსოვილების და უჯრედების დაყოფას და აპირობებენ ახალი წარმოქმნების (მათ შორის ფესვებისა და კალუსების) მიღებას. ყოველივე ამას კი ჯეროვანი მნიშვნელობა აქვს ვაზის საძირისა და სანამყენეს უკეთესად და დროულად შეზორცებისათვის.

პეტეროაუქსინით დამუშავებულ ნამყენებში მნიშვნელოვნად აქტიურდება ფერმენტული პროცესები, მობილიზებულ მდგომარეობაში მოდის საკვები ენერგოპლასტიკური ნივთიერებები, რაც აგრეთვე დიდად უწყობს ხელს ნამყენის აღრეულ და ენერგიულ დაფესვიანებას. აღრე და კარგად დაფესვიანებული ნამყენი კი ნივთიერებათა (მაგ., წყლის, მინერალური საკვების და სხვ.) უკეთესი მოპოვების პირობებში აღმოჩნდება, რითაც შესაფერი პირობები იქმნება მყნობის კომპონენტების უკეთესი და ხარისხოვანი შეზორცებისათვის [1, 2].

ჩვენ მიერ წარმოებული ცდების შედეგებიდან ჩანს, რომ განჯტრი, ჩინოფრი, რქაწითელი, საფერავი და პინო ხასიათდებიან ფართო აფინიტეტით. რაც გამოიხატა მათი მრავალგვარი საძირისადმი კარგად შეგუებასა და შეთვისებაში, ხოლო ალიგოტესა და გორულ მწვანეს ასეთი შეგუების უნარი ნაკლებად აქვთ და მათ შეუძლიათ შეითავსონ საძირების მხოლოდ განსაზღვრული ჯიშის, რის გამოც მათ შეზღუდული აფინიტეტი ახასიათებთ.

სათბურში ნამყენების სტრატეფიკაციის დროს კომპონენტთა პრილობეაზე კალუსის თანაბარი განვითარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მათ კარგად აფინიტეტი ახასიათებთ, იმიტომ რომ სრულკალუსოვანი ნამყენების განვითარება სანერგეში დაუბრკოლებლად არ ხდება და ხშირ შემთხვევაში ალაგ-ალაგ შეინიშნება საფევი შრის წარმოქმნა, ასეთ ნამყენებში ახალი ელემენტების სრულად შეზორცებლობის გამო ირღვევა ნივთიერებათა ცვლის პირობები, ებრძოდ, საკვებ ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა საძირიდან სანამყენეში და პირიქით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ვაზების ზრდა-განვითარების შესუსტება, მოსავლიანობის შემცირება და თვით ვაზების უმოკლეს პერიოდში გახმობაც კი და ვენახებში მეჩხერაიანობის წარმოქმნა, ამიტომ ვაწარმოეთ ასეთი ნამყენების ისევ სანერგეში დაბრუნება და მათგან პირველხარისხოვანი ნამყენების გამოსავლიანობის დადგენა. ჩატარებული გამოკვლევის შედეგები მოცემული გვაქვს მე-2-ე ცხრილში.

მე-2-ე ცხრილიდან ჩანს, რომ სანერგეში დარგული მეორეხარისხოვანი ნამყენებიდან პირველხარისხოვანი ვაზის ნერგის გამოსავლიანობის შედარებით მაღალ მაჩვენებლებს იძლევა იგივე სანამყენე ჭიშები რუპესტრის დულოსა და რიპარიაჯარუპესტრის 3309-ზე მყნობის შემთხვევაში, ამიტომ მეორეხარისხოვანი ნამყენების სანერგეში შებრუნება სავალდებულო ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს პირველხარისხოვანი ნამყენების პროცენტული გამოსავლიანობის გადიდების თვალსაზრისით.

საძირე	სანამყენე				
	5-ბ	დუღო	3309	420-ა	41-ბ
რქაწითელი	12,6	33,6	49,3	13,3	36,7
საფურავი	26,3	25,6	41,4	19,0	23,0
ჩიურბი	34,8	44,5	31,1	35,3	33,3
გორტელი მწვანე	35,2	34,6	45,6	22,8	30,0
განყო	40,6	53,5	50,6	40,0	25,0
აღლოტე	30,2	26,0	30,7	20,0	36,0
პინო	18,8	29,3	32,0	36,9	22,9

ამრიგად, სამყნობ კომპონენტთა შეხორცება ძირითადად დამოკიდებულია აფინიტეტზე, რომელიც არ არის მუდმივი და იცვლება საძირისა და სანამყენეს კომბინირების მიხედვით გარემო პირობებთან დაკავშირებით. ამიტომ ამა თუ იმ რაიონის ბუნებრივი პირობებისათვის შესაფერისი საძირებისა და სანამყენების შერჩევას, პირველხარისხოვანი ნამყენების გამოსავლიანობის გადიღებისა და ასეთი ნამყენებით ახალი ვენახების გაშენება-მეჩხერიანობის აღმოფხვრისა და მოსავლიანობის გადიღების თვალსაზრისით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ საკითხის უფრო სწორად გადაწყვეტის მიზნით მიზანშეწონილია გაშენდეს ადაპტაციისა და აფინიტეტის სპეციალური საცდელი ნაკვეთები, მაგრამ სამყნობი კომპონენტების შერჩევა უნდა მოხდეს მათი ყოფაქცევის წინასწარი შესწავლის გათვალისწინებით როგორც საკუთარ ფესვზე გაშენებულ ნარგავებში, ისე მყნობის სხვადასხვა კომბინაციებზე ცდების წინასწარი ჩატარების საფუძველზე და ბოლოს, ნამყენის წარმოება რიგ დანახარჯებთანა დაკავშირებული, როგორცაა: საძირე და სანამყენე მასალის შერჩევა და მომზადება მყნობისათვის, ნამყენების გაკეთებასთან დაკავშირებული ყველა სახის სამუშაო (დაჭრა, დაღობვა, ნახერხის მომზადება), ნამყენების სტრატეფიცირება და მასთან დაკავშირებული სამუშაო პროცესები და სხვ. აქედან გამომდინარე, პირველხარისხოვანი ნამყენების პროცენტული გამოსავლიანობა, როგორც წესი, გაანგარიშებული უნდა იქნეს მხოლოდ დამყნობილი ნამყენების საერთო რაოდენობიდან, რაც საშუალებას მოგვცემს ზუსტად განვსაზღვროთ ნამყენი ნერგის რეალური პროცენტული გამოსავლიანობა.

Ш. Г. ЧХИКВАДЗЕ

## ВЛИЯНИЕ АФФИНИТЕТА НА ВЫХОД ПЕРВОСОРТНЫХ СЕЯНЦЕВ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ

### Резюме

На Вазнянской экспериментальной базе Мухранского учебно-опытного хозяйства Груз. СХИ у распространенных в Грузии некоторых про-

мышленных сортов виноградной лозы нами был изучен аффинитет с точки зрения срастания с основными филлоксероустойчивыми подвоями и выходу первосортных привитых саженцев.

Из прививаемых сортов нами были отобраны: Ркаძულის მწიფე ვარიეტი, Чинური, Горули Муване, Ганджинский, Алиготе и Пино черный, а из подвоев: Берландиери х Рипария 5—66, Рупестрис дюло, Рипария х Рупестрис 3309, Берландиери х Рипария 420-а и Шасла х Берландиери 41-6.

В результате проведенных опытов выявлено, что все взятые для опыта, прививаемые сорта по интенсивности и равномерности срастания и выходу первосортных виноградных саженцев самый лучший аффинитет проявляют с Шасла х Берландиери 41-6. Хорошие результаты дают, так же с Берландиери х Рипария 5-66 и Рупестрис дюло. Менее результативными оказались с Рипария х Рупестрис 3309 и Берландиери х Рипария 420-а.

Несмотря на то, что вышеперечисленные сорта дают небольшой процент первосортных прививок с Берландиери х Рипария 420-а и Рипария х Рупестрис 3309, у них развитие и дифференциация анатомических тканей места прививки протекает нормально, в результате чего полученные привитые саженцы характеризуются особой стойкостью и высоким качеством.

Как видно из приведенного материала срастание прививочных компонентов в основном зависит от аффинитета, который не является постоянным, а изменяется в зависимости от комбинирования привоя и подвоя в связи с внешними условиями.

Подбор подвоев и сортов винограда, соответствующих естественными условиями того или иного района, имеет крайне большое значение для изучения вопроса аффинитета. Для разрешения этого вопроса целесообразно доложить специальные участки адаптации и аффинитета, где подбор компонентов должен произойти путем предварительного изучения их поведения как на участках с растениями на собственном корне, так и проведением предварительных опытов по комбинации прививок.

Производство прививок связано с целым рядом расходов, как подбор и подготовка подвойного и привойного материала для прививки, все виды работ (нарезка, намачивание, приготовление опилок) связанные с получением прививок, стратификация прививок и связанные с ней процессы и другие. Исходя из этого, процентный выход первосортных прививок, как правило должен быть рассчитан только из общего количества привитых саженцев, что даст возможность точно определить их реальный процентный выход.

#### ლიტერატურა

1. ალ. კობერიძე მცენარეთა ჰორმონ-სტიმულატორები, თბ., 1968.
2. ალ. კობერიძე — ნამყენი ვაზის ნერვის გამოსავლიანობის გადიდებისათვის ზრდის სტიმულატორ ჰეტეროაუქსინის გამოყენება, რეკომენდაცია, თბ., 1963.



3. ვ. ქახთარიაძე, რამიშვილი — გვეგნახება, თბ., 1958.
  4. А. А. Кипен — Прививка винограда «Вестник виноделия» 1892. **საქართველოს  
ზოგადი ინფორმაცია**
  5. С. А. Мельник — Производство виноградного привитого посадочного материала. Кишинев, Госиздат, Молд., 1948.
  6. T. Delmasso.—Bulletin de l'office international du vin, № 314, 1957.
  7. Vlahopoulos—Bulletin de l'office international du vin. № 316, 1957.
  8. K. Kroemer und H. Moog—Die Rebenveredlung, Berlin, 1938.
-



ა. ურუაშვილი

ლობიოსა და სოიას წინადა თესვისა და სივრცითაჲ შეთესვის წესის  
დადგენა მუხრანის ველის სარეზვან პირობებში

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თესვის წესზე დამოკიდებულია მცენარეთა კვების არის სიდიდე, მისი ფორმა და განათების ინტენსივობა. ამასთანავე თესვის წესის მიხედვით ფართობი შეიძლება გაითხოვოს და გაიმარგლოს, ანდა ჩატარდეს ერთმხრივი თუ ორმხრივი კულტივაცია და ა.შ. [1, 2, 4, 5].

თესვის წესით ფართობის ერთეულზე მცენარეთა ოპტიმალური რაოდენობის რეგულირებას ვისახავდით მიზნად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მემინდვრეობის სარეზვან ნაკვეთზე სამი წლის მანძილზე დაყენებულ ცდაში, რომელიც შედგებოდა 9 ვარიანტიდან, 4 განმეორებით (ცხრ. 1).

დანაყოფის ფართობი იყო (7 მ X 15 მ) 105 მ<sup>2</sup>, ვთესავდით შემდეგ ჯიშებს: სიმინდი — ქართული კრუგი, ლობიო — ცანავა — 3 და სოია — მოწინავე — 7.

საცდელი ნაკვეთი გეომეტრიის მდებარეობის ყველაფერ ნიადაგს, რომელიც ხასიათდება არამტკიცე სტრუქტურით. ჰუმუსის მცირე, ხოლო აზოტის უმნიშვნელო და ფოსფორის არასაკმარის შემცველობით [3].

ცდის დასაყენებლად ნასიმინდარი იწმინდებოდა მოსავლის ნარჩენებისაგან და იხენებოდა მზრალად 23—25 სმ სიღრმეზე. მომდევნო წლის ადრე გაზაფხულზე ხნული იფარცხებოდა, ტარდებოდა თესვისწინა კულტივაცია და წარმოებდა თესვა ცდის სქემის სრული დაცვით. მზრალად ხენის წინ შეგვექონდა მინერალური სასუქები აგროწესით გათვალისწინებული დოზით.

პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე ვარიანტებში ჩატარდა ორმხრივი (ყვარდიანი) კულტივაცია, მეხუთე და მეექვსე ვარიანტებში — კი ერთი მიმართულებით, ხოლო მეშვიდე ვარიანტი გაითხოვნა ხელით. რაც შეეხება მეხუთე და მეექვსე ვარიანტებს, აქ თესვის წესმა საშუალება არ მოგვცა ჩაგვეტარებინა კულტივაცია. ამიტომ ისინი გავყავით შუაზე და მათი ნახევარი გაემარგლეთ ხელით, ხოლო მეორე ნახევარი დავტოვეთ გამარგვლის გარეშე.

ცდის დროს ტარდებოდა ფენოლოგიური დაკვირვება და მოსავლის განმსაზღვრელი ელემენტების შესწავლა.

ცდის პირველ 1962 წელს ლობიო, როგორც წმინდა ნათესის, რომელიც სიმინდთან შეთესილი სრულ სიმწიფეში შევიდა 10 აგვისტოსათვის, ხოლო — 15 სექტემბრისათვის, ხოლო სოია 20 სექტემბრისათვის.

**ერკონული**

მცენარეთა სიმალის განაზომების მიხედვით სიმინდის ნათესში, ისე პარკონებშეთესილ ვარიანტებში საკმაოდ მაღალია გაიზარდა ვარიანტების მიხედვით ცვალებადობს 238,3—243,2 სმ-ის ფარგლებში. სოიას სიმალე წმინდად ნათესში აღწევს 132,1 სმ-ს, ხოლო სიმინდში შეთესილი — 118,9 სმ-ს, რაც შეეხება ლობიოს, იგი უმნიშვნელოდ, მაგრამ უფრო მაღალი გაიზარდა სიმინდთან შეთესილი, ვიდრე წმინდად ნათესში.

გამოირკვა, რომ სიმინდთან შეთესილი სოია ნაკლებად პარკდება და მცირე რაოდენობის მარცვლებს ივითარებს. ვიდრე წმინდად ნათესი, ლობიო კი სიმინდთან შეთესილი საშუალოდ 5 პარკს ივითარებს ერთ მცენარეზე და მათში საშუალოდ 18,5 ცალა მარცვალია, რაც შეეხება მესამე ვარიანტის გამარჯვებულ ნაწილს, სადაც ნათესი მეტისმეტად სქელია, ერთ მცენარეზე საშუალოდ პარკთა რაოდენობა აღწევს 2 ცალს, ხოლო მარცვალია რაოდენობა 8,4 ცალს, მეექვსე ვარიანტის გამარჯვებულ ნაწილზე კი მცენარეთა რაოდენობა ფართობის ერთეულზე ნახევრდება და ამის შედეგად ერთ მცენარეზე მარცვალია რაოდენობა 12,2 ცალამდე, ხოლო პარკთა რაოდენობა თითქმის ოთხამდე იზრდება. მეშვიდე ვარიანტზე იმის გამო, რომ მცენარეთა რაოდენობა კიდევ უფრო მცირდება ფართობის ერთეულზე, ერთ მცენარეზე მარცვალია რაოდენობა 28,3 ცალს, ხოლო პარკთა რაოდენობა 6,7 ცალს აღწევს. ზოლურად ნათეს მერვე და მეცხრე ვარიანტების ლობიოს ერთ მცენარეზე როგორც პარკების, ისე მარცვლების რაოდენობა მეშვიდე ვარიანტთან შედარებით რამდენადმე კლებულობს.

დადგინდა, რომ სიმინდში სოიას და ლობიოს განსაზღვრული რაოდენობით შეთესვისას კვლავ რატუნ-პულობრივი წესით თესვის შემთხვევაში სიმინდის 1000 მარცვლის წონა არ მცირდება, რაც შეეხება ლობიოს, მასი წმინდად მწყრივად თესვის (5 და 6 ვარიანტები) შემთხვევაში 1000 მარცვლის წონა ძლიერ მცირდება და ის 176,3—215,7 გ-ის ფარგლებში მერყეობს. ასევე დაბალია 1000 მარცვლის წონა ლობიოს ფართომწყრივად ნათეს მეშვიდე ვარიანტზე, ზოლურად თესვის შემთხვევაში — მერვე და მეცხრე ვარიანტებში კი ცვალებადობს 300—320 გრამის ფარგლებში.

პირველ ვარიანტზე სიმინდის მარცვლის საშუალო მოსავალი პა-ზე 66 ც-შეადგენს, ხოლო სიმინდთან სოიას შეთესვის შემთხვევაში, მესამე ვარიანტზე სიმინდის მარცვლის მოსავალია 64,6 ც და სოიასი 4,3 ც, ანუ სიმინდის წმინდად ნათესს ჯობნის 2,9 ც-ით (ცხრ. 1).

მათალია, სოიას შეთესვამ რამდენადმე (1,4 ც-ით) შეამცირა სიმინდის მარცვლის მოსავალი, მაგრამ დამატებით მივიღეთ მეორე კულტურის — სოიას მოსავალი, ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სიმინდში ლობიოს შეთესვის შემთხვევაშიც. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მიუთითებს კვლავ რატუნ-პულობრივად თესვის შემთხვევაში სიმინდის წმინდად ნათესთან შედარებით შერეული ნათესის უპირატესობაზე. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია სიმინდისათვის საჭირო სავალდებულო მოვლის პირობებში მივიღოთ ორი კულტურის საკმაოდ მაღალი მოსავალი.

ვარიანტი

მარცვლის მოსავლი ცენტნერობით ჰა-ზე წლებში

ვარიანტი	1962 წ.		1963 წ.		1964 წ.		საშუალო		
	ს/მ ნღი	ჰარკოსა-ნი	სიმინდი	ჰარკოსა-ნი	ს/მ ნღი	ჰარკოსა-ნი	სიმინდი	ჰარკოსა-ნი	სიმინდი და ჰარკოსა-ნი ერთად

1. კვარატულ-ბუღობრივი ნათესი (70x70სმ), ბუღნაში 2 სიმინდი	66,0		56,3		59,2		60,5		
2. კვარატულ-ბუღობრივი ნათესი (70x70სმ), ბუღნაში 4 სოია		24,5		16,3		16,5		19,8	
3. კვარატულ ბუღობრივი ნათესი (70x70სმ), ბუღნაში 2 სიმინდი და 1 სოია	64,6	4,3	53,9	3,6	53,2	4,2	57,9	4,0	62,9
4. კვარატულ-ბუღობრივი ნათესი (70x70სმ), ბუღნაში 2 სიმინდი ა ლობიო	63,2	3,2	53,0	4,1	57,7	4,7	57,9	4,0	61,9
5. ლობიოს მწკრივად ნათესი, მწკრივებს შორის 7,5სმ მწკრივში (კვარატულა შორის 10-12 სმ)		14,2		10,0		8,3		11,0	
6. ლობიოს მწკრივად ნათესი, მწკრივებს შორის 15სმ მწკრივში (კვარატულა შორის 10-12 სმ)		16,7		18,3		15,2		16,7	
7. ლობიოს დარბო მწკრივად ნათესი, მწკრივებს შორის 30 სმ მწკრივში (კვარატულა შორის 10-12 სმ)		21,9		17,1		23,2		20,7	
8. ლობიოს ზოღურად ნათესი, ზოღებს შორის 45სმ ზოღში 2 მწკრივი, მწკრივთა შორის 15სმ, მწკრივთა მწკრივთა შორის 10-12სმ		16,8		12,7		14,2		15,2	
9. ლობიოს ზოღურად ნათესი, ზოღებს შორის 45 სმ, ზოღში 3 მწკრივი, მწკრივთა შორის 15 სმ, მწკრივთა მწკრივთა შორის 10-12სმ		19,3		13,6		16,3		16,5	

ცდის მეორე ვარიანტზე სოიას საშუალო-საშუალო მოსავლი მეორე არ იყო — შეადგინა 24,5 ც/მღე. ეს ვარიანტი პირველ ვარიანტს 54,8 ც-ი საკვები ერთეულით ჩამორჩება, ხოლო მონელებადი ცილის მხრივ, პირიქით, მეორე ვარიანტი ჯობნის პირველს 251,8 კგ-ით ჰა-ზე.

მესამე ვარიანტზე, სადაც ბუღნაში 2 სიმინდთან ერთად აღიზარდა 1 სოია მარცვლის მოსავლის მატების პარალელურად გაიზარდა საკვებ ერთეულო რაოდენობა. ასე, მაგალითად, ძირითადი და შეთესილი კულტურის საკვებ ერთეულებშია ჰა-ზე შეადგინა 92,5 ანუ 4,2 ც-ით მეტი, ვიდრე პირველ ვარიანტზე. ასევე მეტია მონელებადი ცილა — იგი 121 კგ-ით ჯობნის პირველ ვარიანტს.





ამრიგად, კვარატულ-ბუდობრივი წესით თესვის შემთხვევაში ბუდობაში 2 სიმინდის აღზრდასთან შედარებით უმჯობესია სიმინდთან ერთად სოიოს შეთესვა, რადგან სიმინდის თესვის აგროტექნიკურ ღონისძიებებში სიმინდის მოხარობებში შესაძლებელია ორი კულტურის — სიმინდ — სოიოს ერთდროულად მოსავლის მიღება. სოია კი, როგორც ცნობილია, დიდი რაოდენობით შეიცავს ძვირფას ცილას.


რაც შეეხება ცდის ბოლო ხუთ ვარიანტს, სადაც ლობიო წმინდად ითესება, მეხუთე ვარიანტზე მარცვლის მოსავალი 14,2 ცენტნერს არ აღემატება, ხოლო ამავე ვარიანტის გაუმარგლავად დატოვებული მეორე ნახევარი ძლიერ დასარეველიანდა და მარცვლის საპექტარო მოსავალმა 1,5—2,0 ც-ი შეადგინა მაშინ, როდესაც ამ წესით თესვის შემთხვევაში 5,5 ც-მდე ლობიოს თესლი იხარჯება ჰა-ზე. მეექვსე ვარიანტზე ხელით გამარგვლით მივიღეთ 16,7 ც მარცვლის მოსავალი ჰა-ზე. მეხუთე ვარიანტის მსგავსად ხშირი დგომის შედეგად მიცენარეები ნორმალურად ვერ განვითარდნენ, ნორმალურად ვერ წარიმართა დაპარკება და მარცვალთა ჩასახვა. ამ ვარიანტის მეორე ნახევარზე, რომელიც გაუმარგლავი დატოვებულ — ძლიერ გავრცელდა სარეველები და მიღებული მარცვლის მოსავალი ძლიერ აღწევდა სათესლე მასალის ხარჯს. რაც შეეხება მეშვიდე ვარიანტს, აქ ლობიოს მარცვლის მოსავალი მეხუთე ვარიანტს 7,7 ც-ით და მეექვსე ვარიანტს 5,2 ც-ით ჯობნის. მიუხედავად ამისა, მეშვიდე ვარიანტის რეკომენდება წარმოებისათვის მიზანშეუწონელია, რადგან მისი მექანიზებული დამუშავება შეუძლებელია. მერვე და მეცხრე ვარიანტებზე ნათესები ზოლებს შორის დამუშავდა მექანიზებით.

ამ წელს ლობიოს თესვის წესიდან უკეთეს შედეგს იძლევა ზოლურად ნათესი. ზოლში 2 ან 3 მწკრივის დატოვებით. თუმცა ზოლში 3 მწკრივის დატოვების შემთხვევაში სარეველები უფრო მეტი ინტენსივობით იზრდებიან, ვიდრე 2 მწკრივის დატოვების დროს.

ცდის მომდევნო 1963 წელს ლობიოს მარცვლის მოსავალი აღებული იქნა 24 აგვისტოს, ხოლო სოია და სიმინდი 10—12 ოქტომბერს. მიცენარეთა საშუალო სიმაღლე, ლობიოსა და სოიას დაპარკება, მარცვალთა რაოდენობა და 1000 მარცვლის წონა ვარიანტების მიხედვით წინა წლის ანალოგიურია. ამ წელს მეოთხე ვარიანტზე სიმინდის და ლობიოს მარცვლის საშუალო მოსავალი 57,1 ც-ს, ხოლო მესამე ვარიანტზე—57,5 ც-ს შეადგენს და იგი არ ჩამორჩება პირველ ვარიანტს. მეორე ვარიანტზე სოიას მარცვლის საპექტარო მოსავალი 16,3 ც-ია ჰა-ზე.

ამ წელსაც ლობიოს დაპარკება და მიცენარეზე მარცვალთა რაოდენობა განსაკუთრებით მცირეა მეხუთე და მეექვსე ვარიანტებზე. ე. ი. ლობიოს კვების მცირე არის დროს დაპარკება და პარკში მარცვლის ჩასახვა და განვითარება ძლიერ შეზღუდულია. მეხუთე და მეექვსე ვარიანტების გაუმარგლავად დატოვებული ნახევარებიდან აღებული მარცვლის მოსავალი მეტისმეტად მცირეა.

ცდის ბოლო 1964 წელს ლობიოს მარცვლის მოსავალი აღებული იქნა 13 აგვისტოს, სიმინდი — 8 ოქტომბერს, ხოლო სოიოს მოსავალი — 15 ოქტომბერს.



ამ წელს სიმინდის საშუალო სიმაღლე 246,7 სმ-იდან 249,0 სმ ფარგლებში გასული წლების მსგავსად სიმინდში შეთესილი სოიას სიმაღლე გაცილებით ნაკლებია წმინდად ნათესთან შედარებით. სოიას წმინდად ნათესს სიმაღლე 171,5 სმ აღწევს. რაც შეეხება ლობიოს სიმაღლეს ვარიანტების მიხედვით (მეშვიდე) არ განსხვავდება გასული წლების საშუალო სიმაღლისაგან. ლობიოს ერთ მცენარეზე პარკთა რაოდენობა ვარიანტების მიხედვით 1,7 ცალიდან 6,7 ცალის ფარგლებში მერყეობს, ხოლო მარცვალთა რაოდენობა 4,1 ცალიდან 22,7 ცალამდე. 1000 მარცვლის წონა კი მერყეობს 169,8 გ-დან 341,4 გ-მდე.


წინა წლების მსგავსად, სიმინდის წმინდად თესვასთან შედარებით უპირატესობა სიმინდში სოიასა და ლობიოს შეთესვას უნდა მიეცეს. ასე, მაგალითად, სიმინდში სოიაშეთესილი (მესამე ვარიანტი) 3,2 ც-ით მარცვლის მეტ მოსავალს იძლევა სიმინდის წმინდად ნათეს (პირველ) ვარიანტთან შედარებით. ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სიმინდში ლობიოშეთესილ (მეოთხე) ვარიანტის შემთხვევაშიც. საკმაოდ მაღალია მარცვლის მოსავალი სოიას წმინდად ნათეს (მეორე) ვარიანტზე.

რაც შეეხება ლობიოს წმინდად ნათესი ვარიანტებიდან, მარცვლის ყველაზე მაღალი მოსავალი მიღებულია მეშვიდე ვარიანტზე და იგი 23,2 ც-ს შეადგენს, ხოლო ყველაზე დაბალი მეხუთე ვარიანტზე, ამ წელს მეხუთე და მეექვსე ვარიანტებზე გაუმარჯავად დატოვებული დანაყოფების ნახევრებზე ნათესი წინა წლების მსგავსად სარეველებისაგან დაიჩაგრა და მარცვლის მოსავალი თითქმის არ ყოფილა მიღებული.

სამი წლის საშუალო მონაცემებიდან ჩანს, რომ კვადრატულ-ბუდობრივი თესვის შემთხვევაში ბუდნაში 2 სიმინდთან ერთად სოიას 1 და ლობიოს 3 მცენარის აღზრდა სიმინდის სიმაღლეზე უარყოფით გავლენას არ ახდენს. სოია შეთესილი სიმინდში 12,2 სმ-ით ნაკლები სიმაღლისაა, ვიდრე სოიის წმინდად ნათესი.

რაც შეეხება ლობიოს წმინდად ნათესი ვარიანტებიდან, სქლად ნათესში (მეხუთე და მეექვსე ვარიანტები) საშუალო სიმაღლე რამდენადმე მეტია, ვიდრე ფართომწკრივად და ზოლურად ნათეს ვარიანტებზე. ამასთანავე ღეროს დიამეტრი კი თვალზომიერი შეფასებით გაცილებით მცირეა, ვიდრე ფართომწკრივად და ზოლურად ნათეს ვარიანტებზე. პარკთა და მარცვალთა მცირე რაოდენობას ივითარებს სქლად ნათესი (მეხუთე და მეექვსე) ვარიანტები, ხოლო მეტი რაოდენობით — ფართომწკრივად ნათესი (მეშვიდე) ვარიანტი (6,6 პარკი და 25,1 ცალი თესლი).

როგორც წმინდად ნათეს, ისე სოია და ლობიოშეთესილ ვარიანტებში სიმინდის 1000 მარცვლის წონა დიდად არ განსხვავდება. სოიას შემთხვევაში კი 1000 მარცვლის წონა წმინდად (მეორე ვარიანტი) ნათესში დაახლოებით 30 გ-ით გობნის სიმინდთან შეთესილი (მესამე ვარიანტი) სოიას 1000 მარცვლის წონას. 1000 მარცვლის წონის მიხედვით, უკეთეს შედეგს იძლევა ფართომწკრივად და ზოლურად ნათესი ვარიანტები. სიმინდში შეთესილი ლობიოს 1000 მარცვლის წონა 368,3 გ უდრის მაშინ, როდესაც ხშირად ნათეს მეხუთე და მეექვსე ვარიანტზე კი — 171,5 და 193,1 გ-ს აღწევს.



მარცვლის მოსავლიანობიდან ირკვევა, რომ სიმინდის მოსავლის სავალდებულო აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარების შემთხვევაში სიმინდის წმინდად ნათესთან შედარებით სიმინდში შეთესილი სოიამარცვლის თესვაში სიმინდის მარცვლის მოსავალი საშუალოდ 3ა-ზე დიდი სიმაგიეროდ მიიღება ცილებით მდიდარი ოთხ ც-მდე სოიის ან ლობიოს მარცვლის მოსავალი. სიმინდისა და მასში შეთესილი პარკოსნის მარცვლის საშუალო მოსავალი 2,4 ც-ით მეტია მესამე, ხოლო 1,4 ც-ით მეტი მეოთხე ვარიანტზე პირველ ვარიანტთან შედარებით.

რაც შეეხება სოიას წმინდად ნათეს (მეორე) ვარიანტს, საშუალოდ მიღებულია 3ა-ზე 19,8 ც მარცვლის მოსავალი, რომელიც მუხრანის პირობებში დაბალი არ არის. ლობიოს წმინდად ნათესი ვარიანტებიდან მარცვლის ყველაზე მაღალ მოსავალს იძლევა მეშვიდე ვარიანტი, ხოლო ყველაზე დაბალს—მეხუთე ვარიანტი. მარცვლის შედარებით კარგი მოსავალი მიღებულია ფართომწკრივად და ზოლურად ნათეს ვარიანტებზე.

მეხუთე და მეექვსე ვარიანტებზე ლობიოს აღმონაცენი და მოზრდილი მცენარეც იმდენად ნაზია, რომ სარეველებისაგან გამომარგელას უარყოფითად რეაგირებს რაც შეეხება ამ ვარიანტების გაუმარგლავ ნათესებზე მცენარეებს. სარეველა მცენარეთა ძლიერი განვითარების გამო იჩაგრება. მარცვლის მოსავალს მკვეთრად ეცემა და 1—2 ც-ს აღწევს მაშინ, როდესაც ამ წესით თესვის შემთხვევაში 3 ც-დან 5,5 ც-მდე მაღალხარისხოვანი სათესლე მასალა იხარება.

## დასკვნა

1. კვლარატულ-ბუთობრივი თესვის შემთხვევაში თუ სიმინდის მოსავლის აღება მექანიზებული წესით არ არის გათვალისწინებული, უმჯობესია ბუდნაში 2 სიმინდთან ერთად აღიზარდოს 1 სოია ან 3 ლობიო.

2. სოიას კვლარატულ-ბუთობრივი ნათესი, როდესაც ბუდნაში 4 სოიას ჰექტარზე საშუალოდ 19,8 ც მარცვლის მოსავალს იძლევა, რომელიც სიმინდისა და სოიას ნარევიად ნათეს (მესამე) ვარიანტს საკვები ერთეულებით საგრძნობლად ჩამორჩება, ხოლო მონელებადი ცილის შემცველობით მნიშვნელოვნად აღარბებს.

3. ცდამი აღებულ ლობიოს წმინდად ნათეს ვარიანტებიდან, მარცვლის მაღალ მოსავალს იძლევა ფართომწკრივად ნათესი (მეშვიდე) ვარიანტი. იმის გამო, რომ მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ვარიანტებში ლობიოს ნათესის შოვლის სამუშაოები, მწკრივებს შორის მანძილის სიმციროს გამო, მექანიზებულად შეუძლებელია, შათი წარმოებისათვის რეკომენდება მიზანშეუწონელია.

4. მწკრივად ნათეს (მეხუთე და მეექვსე) ვარიანტების გაუმარგლავად და ტოვებულ ნახევრებზე ნათესი მოლიანად იღებება სარეველა მცენარეთა ძლიერად განვითარების გამო.

5. ლობიოს წმინდად ნათესებიდან უკეთესია ზოლურად ნათესი (მეგრე და შვეტრე) ვარიანტები, როდესაც ზოლებს შორის მანძილი 45 სმ-ია, ზოლში კი 2 ან 3 მწკრივია. ზოლში 3 მწკრივის დატოვების შემთხვევაში სარევეებისა და ინტენსივობით ვითარდებიან, ვიდრე 2 მწკრივის დატოვების შემთხვევაში.

Г. КРУАШВИЛИ

## УСТАНОВЛЕНИЕ СПОСОБОВ СЕВА ФАСОЛИ И СОИ КАК В ЧИСТЫХ, ТАК И В СМЕШАННЫХ С КУКУРУЗОЙ ПОСЕВАХ В УСЛОВИЯХ ПОЛИВНОЙ ЗОНЫ МУХРАНСКОЙ ДОЛИНЫ

### Резюме

С целью установления оптимального количества растений фасоли и сои в чистом посеве и в смешанных с кукурузой посевах в условиях Мухранского учебно-опытного хозяйства на лугово-коричневой, карбонатной почве, в продолжении 3-х лет испытывались следующие способы посева:

1. Чистый посев кукурузы 70x70 см, в гнезде 2 растения.
2. Чистый посев сои 70x70 см, в гнезде 4 растения.
3. Смешанный посев 70x70 см, в гнезде 2 кукурузы и 1 соя.
4. Смешанный посев 70x70 см, в гнезде 2 кукурузы и 3 фасоли.
5. Рядковый посев фасоли, с междурядьями 7,5 см.
6. Рядковый посев фасоли, с междурядьями 15 см.
7. Широкорядный посев фасоли, с междурядьями 30 см.
8. Ленточный посев фасоли, с двумя рядами в ленте 45x15 см.
9. Ленточный посев фасоли, с 3 рядами в ленте, 45x15 см.

Расстояние между растениями в последних пяти вариантах 10—12 см.

Испытывались сорта кукурузы Картули круги, фасоль Цанава-3 и соя Моргтаве-7.

В первых четырех вариантах проведена двухсторонняя культивация, в 8 и 9 вариантах — в одном направлении, а в 7 варианте проведено ручное мотыжение. Что касается пятого и шестого вариантов, культивация-мотыжение не производились; на одной половине делянок была проведена ручная прополка, а другая половина была оставлена вне прополки.

По урожаю зерна выясняется, что при соблюдении агрокомплекса, если не предусмотрена механизированная уборка кукурузы, в гнезде с 2 растениями кукурузы следует оставлять 1 сою или 3 фасоли. Что касается сои в квадратно-гнездовом посеве, с наличием в гнезде 4-х сои, ее урожай зерна с га в среднем составляет 19,8 ц; она значительно отстает от урожая смешанных посевов кукурузы с соей содержанием кормовых единиц, но намного превышает по переваримому протеину.

Из чистых посевов фасоли, наивысший урожай 20,7 ц/га, получен с седьмого варианта, урожай восьмого и девятого вариантов соответственно 15,2 и 16,5 ц/га.

В седьмом варианте, где число растений на га не превышает 320 тысяч, на одном растении развивалось наибольшее количество, в среднем 6,6 бобов, с 25 зернами на каждом растении. Несмотря на это, рекомендовать производству этот способ посева фасоли нерентабельно ввиду того, что уход за посевами возможно производить только ручным мотыжением (из-за узкого расстояния междурядий, 30 см), что удороживает себестоимость продукции.

В чистых посевах фасоли, из испытанных вариантов наилучшими оказались ленточные посевы с расстоянием между лентами 45 см.

### ლიტერატურა

1. ს. თედორაძე — სამარცვლე პარკოსანი კულტურები და მათი მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებები, თბ; 1964.
2. ს. თედორაძე — ლობიო და სოია, თბ; 1965.
3. ვ. ლატარია — გუბრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ნიადაგების ფიზიკური თვისებები, თბ; 1969. საქ. სას. სამ. ინსტ. შრომები, ტ. XVIII, 1957.
4. ა. ჯაფარიძე — ლობიო, თბ; 1962.
5. Иванов Н. Р. — Фасоль, Сельхозгиз, 1961.



5. ბენდინიშვილი

ვაზის ნაყენგამოსავლიანობის გადიდების ზოგიერთი ღონისძიება


მცნობისათვის საძირკებად იყენებენ ფილოქერაგამძლე ამერიკული ვაზის ჯიშებს, რაზედაც ამცნობენ ისეთს, რომელიც აკმაყოფილებს როგორც სამეურნეო, ისე საწარმოო ხასიათის მოთხოვნებს.

მევენახეობის განვითარების დასახული გრანდიოზული გეგმის განხორციელება მოითხოვს რიგი საკითხების გარკვევასა და დაზუსტებას. სწორედ ამ მიზნით მრავალი წლის მანძილზე მუშავდებოდა ვაზის მცნობასთან დაკავშირებული საკითხები: სამცნობ კომპონენტთა (საძირე-სანამყენეს) ანატომიურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებათა შესწავლა, მცნობის ოპერაციის წესების დახვეწა და გაუმჯობესება, სადედე მეურნეობის მოწყობა, სანერგე მეურნეობის მოვლა, აგროღონისძიებათა ერთიანი სისტემის შემუშავება, ვაზის სხვადასხვა ჯიშთა აფინიტეტისა და ადაპტაციის საკითხების გარკვევა და სხვ. [1]. ყველა ამ ღონისძიებამ დიდი გავლენა მოახდინა ხარისხიანი ვაზის ნაყენის მიღებისათვის ბრძოლის საკითხში მართებული ღონისძიებების გამომუშავებაზე.

მიმდინარე ხუთწლეულში საქართველოში დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები დასახული მრავალწლიანი კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისა და ახალი ნარგავების გაშენებისათვის ბრძოლის საქმეში. გეგმის მიხედვით გათვალისწინებული გასაშენებელი ფართობის 66 ათასი ჰა-დან ვენახი უნდა გაშენდეს 20 ათას ჰა-ზე. ვენახების ფართობი 1970 წელთან შედარებით 117,8 ჰა-დან 1975 წლისათვის 131,9 ათას ჰა-მდე, ე. ი. 14,1 ათასი ჰა-ით უნდა გადიდდეს.

1972 წლის ნოემბერში საქართველოს კომპარტიის აქტივის კრებაზე აღნიშნულ საკითხებს შორის განიხილეს მევენახეობასთან დაკავშირებული რიგი პრობლემები. 1972 წელს რესპუბლიკის ყურძნის წარმოების გეგმა მხოლოდ 41,1%/ით შესრულდა. შეუსრულებლობის მიზეზია სიმეჩხერეც. იგი (ვენახების სიმეჩხერე) 25 ათას ჰა ვენახის ფართობს გვაკარგვინებს.

მევენახეობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. იგი მშრომელთა ყურადღებასა და დიდ სიყვარულს იმსახურებს, რის გამოც ხარისხიანი ნაყენი ვაზის ნერგის მაღალგამოსავლიანობას გადამჭრელი



ზისა და სუნთქვის პროცესებთან დაკავშირებით და გამოთქვა აზრი, რომ ელექტროდენები პირდაპირ დამოკიდებულებაში არიან სუნთქვასთან. მიჩურინი დიდად დაინტერესდა მცენარეთა ელექტროკულტურით. მისი მამი „თესლებიდან ახალი კულტურული ჯიშების გამოყვანა“ [9], რომელიც პირველად 1911 წელს გამოქვეყნდა, იგი მრავალჯერ იხსენიებს თავის ცდებს, სადაც მცენარის განვითარებაზე ერთ-ერთ მოქმედ ფაქტორად ელექტრობას მიიჩნევს: „სასუქი გასაოცარ შედეგს იძლევა, თუ კვლებს, სადაც ახალგაზრდა ნათესარები იზრდებიან, ელექტრიზაციას ჩავეუბრებთ. მაგრამ იმ პირობით, რომ დენის ძაბვა 2 ვოლტს არ უნდა აღემატებოდეს. მაღალი ძაბვის დენი, ჩემი დაკვირვებით, ამ საქმეში უფრო ზიანის მომტანია, ვიდრე სარგებლობისა“ (ტ. 1, გვ. 228, რუსული გამოცემა).

მცენარეებზე ელექტროდენის გავლენის შესახებ ლაპარაკია აგრეთვე ვაზის ახალი (ყინვაამტანი) ჯიშების გამოყვანის აღწერისას — „უერძის ახალგაზრდა ნათესარების კარგ განვითარებაზე, განსაკუთრებით ძლიერ გავლენას ახდენს კვლების ელექტრიზაცია. მაგრამ აქაც, დენის ძაბვა არ უნდა აღემატებოდეს 1.5—2 ვოლტს. უფრო მაღალი ძაბვის დენი, ჩემი დაკვირვებით, მავნებლობას ახდენს მცენარის ჯანსაღ განვითარებაზე“ [9].

მცენარეთა ელექტროკულტურაზე, კერძოდ, ვაზის ელექტროკულტურაზე, 1900—1902 წლებში დიდი მუშაობა ჩაატარა ა. დიდებულიძემ [10].

კენკროვანებზე (1910—1913 წწ.) საცდელ ნაკვეთს ფარადნენ ლითონის ბაღით, რომელსაც უერთებდნენ დადებით ელექტრობას, ხოლო ნიადაგს კი — უარყოფითს. ელექტრული ძაბვა ბადესა და მიწას შორის შეადგენდა 52 კვტ. ამ ნაკვეთზე კენკრა მწიფდებოდა 10 დღით ადრე და მოსავალი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე საკონტროლოს შემთხვევაში.

ტიმირიაზევი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მცენარეებში ელექტრულ მოვლენათა შესწავლას და წერდა, რომ ორგანიზმის სიცოცხლის ხარისხი ყოველთვის უკეთესად ისაზღვრება შინაგანი ელექტრული პროცესების მიხედვით ე.წ. უარყოფითი რხევის დენის განსაზღვრებით ... ამ ზერხის საშუალებით შეიძლება მცენარეში აღმოვაჩინოთ თვით სიკვდილის მომენტი, თუნდაც ის არ მგდავანდებოდეს არავითარი იმ გარეგანი გამოვლინებებით, რომლებიც გაცილებით გვიან შეინიშნებოდა.

1958—1960 წლებში გამოქვეყნებულია მასალა, მცენარის ზრდის სტიმულირების მიზნით მაღალი ძაბვის ელექტრული ველის გამოყენებაზე ვაზის კალმების დაფესვიანებაზე; მაგრამ ეს მასალა დიდი არ არის, რადგან დაკვირვება აწარმოეს ვიწრო მასშტაბით და ამიტომ ის არ იძლევა ამომწურავ პასუხს ელექტროსტიმულაციის რიგ მნიშვნელოვან კითხვებზე.

შემდეგ წლებში ამ მიმართულებით აწარმოებენ მუშაობას მთელი რიგი კვლევითი დაწესებულებები და ინსტიტუტები: ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ჩელიაბინსკის პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს მეზღაღობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. საკვლევი საკითხ-

ებია: თესლებისა და კალმების დამუშავება, ნაკვეთზე განლაგებულ მცენარე-  
ებზე მოქმედება, პოლარობასთან კავშირის საკითხის შესწავლა, ნიადაგზე ელ-  
ექტროდენის ზემოქმედება და სხვ.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, უფროსი მეცნიერი ვ. მ. მკვირვაძის  
ქავას მიერ კვლევის დროს გამოყენებულია მაღალი ძაბვის ელექტროველი,  
მაღალი სიხშირის ველის დენი (სიხშირე 13—27 მეგაჰერცი); ბგერითი სიხში-  
რის რხევები (100 მეგაჰერცი) ულტრაიისფერი სხივები და სხვ. მრავალი [4].

მისი კვლევით დადგინდა, რომ მაღალი ძაბვის ცვალებადი ელექტრული  
ველი ვაზის კალმების დაფესვიანებას აჩქარებს, ხოლო მაღალი სიხშირის ელ-  
ექტრული ველის დენმა ვაზის კალმების დამუშავებაზე არ მოახდინა მასტიმუ-  
ლირებელი გავლენა. ასევე დადებითი შედეგი არ მოიტანა წყალში ბგერითი  
სიხშირით ვაზის კალმების დაფესვიანებამ. მოცემულ რეჟიმში ულტრაიისფე-  
რი სხივების მოქმედებამ კი, ვაზის კალმებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

ამ სტატიამი დასმულ საკითხზე ჩატარებული ყველა სამუშაოს განხილვა  
შეუძლებელია, მაგრამ მოყვანილი მასალებიდან ჩანს, რომ ელექტროსტიმულა-  
ციის გამოყენება ვაზის ნამყენგამოსავლიანობის ამაღლებისა და ხარისხობრი-  
ვი მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით ახალი საკითხია. აღსანიშნავია, რომ  
მცირეა ისეთი შრომები, სადაც მცენარეში მიმდინარე სასიცოცხლო პროცე-  
სებზე (ფიზიოლოგიური მაჩვენებლები და სხვ.); ელექტროძაბვის ან სხვა ელ-  
ექტრომოვლენების ზეგავლენა იყო შესწავლილი და გაშუქებული; ამ მხრივ  
ვაზი და სხვა მერქნიანი მცენარეები ნაკლებადაა შესწავლილი.

როგორც აღვნიშნეთ, წლების მანძილზე ვსწავლობდით ნამყენების წარ-  
მოების მიმართულებით ხარისხოვანი ნერგების მიღებას, პროცენტული გამო-  
სავლიანობის გადიდებაზე მაღალი ძაბვის ელექტრული ველის გავლენას და  
მისით გამოწვეულ ცვლილებებს.

ჩვენი მიზანი იყო შევესწავლა ელექტროსტიმულაცია გააუმჯობესებდა  
თუ არა ვაზის ნამყენების ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს;  
ელექტროსტიმულაციისა და ჰეტეროაუქსინის ერთად (კომბინირებულად) გამო-  
ყენება, კიდევ უფრო მეტად ამაღლებდა თუ არა ვაზის ნამყენის ხარისხობრივ  
და რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ცდის სხვადასხვა ვარიანტებში ბიოფიზიო-  
ლოგიური პროცესების შესწავლისას სხვა სტიმულატორებთან შედარებით  
ელექტროსტიმულაციის საცდელი ვარიანტები აღმოჩნდებოდა თუ არა უპირა-  
ტესი.

ჩვენს ცდებში ყველა წელს გამოვიყენეთ ჰეტეროაუქსინის 0.020% წყალ-  
ხსნარი და მაღალი ძაბვის ცვალებადი დენის 2 განსხვავებული რეჟიმი, სახელ-  
დობრ:

### 1 რეჟიმი

1. კალმების ტენიანობა 39—40%.
2. ელექტროდებზე მიყენებული ძაბვა 48 კვ,
3. მანძილი ელექტროდებს შორის 6 სმ,
4. დიელექტრული ფენის სისქე  $d_1 + d_2$ , ე. ი. 2 სმ,





5. ელექტრული ველის დაძაბულობა საერთოდ  $E = \frac{48}{6} = 8$  კვ/სმ
6. ელექტრული ველის დაძაბულობა თვით დასამუშავებელ კალამში  $E_{კალ.} = 4,8$  კვ/სმ.
7. ზემოქმედების ხანგრძლივობა სექუნდებში — 12 სექ.
8. მოქმედების დოზა მოსული ერთ კალამზე ჯოულებში = 5,06.

## II რ ე ე მ ი

1. კალმების ტენიანობა 39—40%.
2. ელექტროდებზე მიყენებული ძაბვა — 63 კვ.
3. მანძილი ელექტროდებს შორის — 3,3 სმ.
4. დიელექტრული ფენის სისქე საერთოდ — 2 სმ.
5. ელექტრული ველის დაძაბულობა საერთოდ — 18 კვ.
6. ელექტრული/ვ დაძაბულობა თვით დასამუშავებელ კალამში —  $E_{კალ.} = 8,5$  კვ — კვ/სმ.
7. ზემოქმედების ხანგრძლივობა —  $t = 18$  სექუნდი.
8. ზემოქმედების დოზა მოსული ერთ კალამზე ჯოულებში,  $D = 12,8$  ჯოული.

ცდის სხვადასხვა ვარიანტში, გარდა აგროტექნიკური მხარისა, შვეისწყალეთ მარედუცირებელი შაქრების, საერთო შაქრებისა და სახამებლის დინამიკა. სამყნობი მასალის (საძირე მასალის) ელექტრულ ველში სტიმულირებას — დამყოფებით და სათანადო დოზირებით აწარმოებდა საქართველოს მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ლაბორატორიის გამგე გ. კუჭავა.

## ცდის ვარიანტები

1. ელექტროსტიმულაციით დამუშავებული ნამყენების გამოსავლიანობა და მათში მომხდარი ბიოფიზიოლოგიური ხასიათის ცვლილებები:
  - ა) დაუმბალი საძირე მასალა გატარდა (დავყოვნეთ მაღალი ძაბვის ელექტრულ ველში პირველი რეჟიმით).
  - ბ) დაუმბალი საძირე მასალა გავაჩერეთ (დავყოვნეთ) მაღალი ძაბვის ელექტრულ ველში მეორე რეჟიმით.
2. ჰეტეროაუქსინის წყალხსნარით დამუშავებული საძირე მასალის გამოყენებით ნამყენების გამოსავლიანობა და მათში მომხდარი ბიოფიზიოლოგიური ხასიათის ცვლილებები.
3. ელექტროსტიმულაციით და შემდეგ ჰეტეროაუქსინის წყალხსნარით დამუშავებული საძირე მასალის გამოყენებით, ნამყენგამოსავლიანობა და მათში მომხდარი ბიოფიზიოლოგიური ხასიათის ცვლილებები:
  - ა) დაუმბალი საძირე მასალა გატარდა (გავაჩერეთ) მაღალი ძაბვის ელექტროველში პირველი რეჟიმით და შემდეგ ჩაიწყო ჰეტეროაუქსინის 0,020%-იან წყალხსნარში ცნობილი წესით;

ბ) დაუმბალი საძირე მასალა გატარდა (გავაჩერეთ) მაღალი ელექტრულ ველში მეორე რეჟიმით და შემდეგ წესისამებრ დაუმბადა ჰეტეროაუქსინის 0, 020%-იან წყალხსნარში.

4. საკონტროლო — საძირე მასალაზე ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე გაკეთდა ნამუყენები.

ყველა დასახელებულ შემთხვევაში ვსწავლობდით ხარისხოვანი ნამუყენის გამოსავლიანობას, მათში მოხდარი ბიოქიმიური ხასიათის ცვლილებების ანალიზები ტარდებოდა ცნობილი მეთოდებით (ბერტრანის რაოდენობრივი მეთოდი), [11, 12] და სხვ.

ჩატარებულმა კვლევამ, მიღებულმა შედეგებმა და მისმა გაანალიზებამ გვიჩვენა:

1. ხარისხოვანი ნამუყენების პროცენტული გამოსავლიანობის მაღალი მაჩვენებელი მოგვცა ელექტროსტიმულაციისა და ჰეტეროაუქსინის კომბინირებულმა (ერთად) გამოყენებამ = 1969 წ. — 65,0%, 1970 წ. — 80,0%, ეს იმ დროს, როდესაც საკონტროლო შესაბამის წლებში მოგვცა 25,6% და 46,6% (ცხრ. 1).
2. შედარებით საკონტროლოსა და ზოგიერთ საცდელ ვარიანტზე, ჰეტეროაუქსინის წყალხსნარის გამოყენებით მივიღეთ უკეთესი და მაღალი ნამუყენგამოსავლიანობა, რითაც ერთხელ კიდევ დადასტურდა ამ სტიმულატორის კეთილსასურველი მოქმედება ვაზის ნამუყენის კარგი შეხორცებისა და დაფესვიანების თვალსაზრისით.
3. ცდებში მიღებული შედეგების მიხედვით მიზანშეწონილად მიგვაჩნია და საჭირო შემთხვევაში შესაძლებელია გამოვიყენოთ მარტო ელექტროსტიმულაცია, რადგან შედარებით საკონტროლოსთან მეტი გამოსავლიანობა და აგროტექნიკური შეფასების მიხედვით კარგი ნამუყენები მივიღეთ.
4. ჩვენ მიერ გამოყენებულმა ორმა რეჟიმმა (შედარებით დაბალი და შედარებით მაღალი) ურთიერთისაგან განსხვავებული მოქმედება და შედეგი მოგვცა, როგორც ხარისხოვანი ნამუყენების პროცენტული გამოსავლიანობით, ისე უმრავლეს შემთხვევაში ზოგიერთ ბიოფიზიოლოგიურ მაჩვენებელთა დინამიკით და ცვალებადობით.
5. პროცენტული გამოსავლიანობით პირველხარისხოვანი ნამუყენების მიღების თვალსაზრისით ჩვენს ცდებში საცდელმა ვარიანტებმა საკონტროლოსთან შედარებით ყველა წლებში უპირატესობა გამოამჟღავნეს. ამიტომ მიგვაჩნია: საჭირო შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ წარმოებაში, საცდელ ვარიანტებში არსებული ყველა მასტიმულირებელი მოქმედებანი (მარტო ელექტროსტიმულაცია, როგორც პირველი ისე მეორე რეჟიმი; უპირატესად კი ელექტროსტიმულაციის კომბინირებულად ჰეტეროაუქსინის წყალხსნართან გამოყენება), (ცხრ. 2).
6. ცდებში შეინიშნება, რომ ფერმენტ კატალაზას აქტივობა იზრდება შედარებით მაღალი ძაბვის ელექტროსტიმულაციისა და ჰეტეროაუქსინის კომბინირებული გამოყენებით, რაც მიღებული შედეგებით ცხადჰყოფა



ხარისხოვანი ნამუყენების მაღალპროცენტულ გამოსავლიანობას ეს განსხვავება შეინიშნება რამდენიმე საცდელსა და უფრო მეტად საკონტროლო ვარიანტებთან შედარებით.

7. ასკობინის მყავას (იგივე ვიტ. „C“) შესწავლისას, როგორც მცირე, ისე საკონტროლო ვარიანტებში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან მატებას, ანალიზის ბოლო ვადაში ასე აისახა: 177,4 მგ%; 193,6; 264,0; 228,8; 290,4 და 237,6. აქაც ზოგიერთ ვადაში ყველაზე უფრო მეტად წარმოგვესახა: 228,8; 290,4 და 264,0.
8. ფერმენტ პეროქსიდაზის შესწავლისას აღინიშნა მისი მეტად მცირე რაოდენობა და ზოგიერთ ვადაში სრულებით არ იყო. 1969 წლის ცდების პირველ ვადაში ფერმენტი პეროქსიდაზა სრულიად არ აღმოჩნდა, შემდეგ ვადაში ცვალებადობდა მცირე განსხვავებით. 1970 წლის მასალებში 6 ანალიზის ვადიდან პეროქსიდაზა სამში აღმოჩნდა და ისიც ზოგიერთ ვარიანტში. ჩვენის აზრით, მისი არსებობა და დინამიკა რაიმე ენონზომიერებას არ გვაძლევს.
9. სუნთქვის მაჩვენებლის შესწავლისას შეინიშნა ელექტროსტიმულაციისა და პეტეროაუქსინის ერთად გამოყენებით სუნთქვის ინტენსივობის გაძლიერება. უფრო მეტად, სუნთქვის ინტენსივობა დაბალი მაჩვენებლებით აღინიშნა თითქმის ყველა ვადაში საკონტროლოს შემთხვევაში.

დამაჯერებლად მივიჩნევთ, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული სტიმულაციის სახეები (საცდელი ვარიანტები) ცალ-ცალკე და ერთად გამძლიერებლად მოქმედებენ სუნთქვაზე. ამ პროცესის გაძლიერება კი ერთ-ერთი ძირითადი წყაროა იმ ენერჯისა, რომელიც საჭიროა ნამუყენთა შეხორცებისა და ფესვების წარმოქმნისათვის.

10. შედარებით მაღალი დონით გამოყვანულა ფიზიოლოგიური მაჩვენებლების აქტივობა ელექტროსტიმულაცია+პეტეროაუქსინისა და ცალკე პეტეროაუქსინის გამოყენებისას.
11. ჩვენი კვლევისას აღმოჩნდა, რომ მარტო ელექტროსტიმულაციის გამოყენების შემთხვევაში ზოგჯერ ადგილი აქვს ზოგიერთი ფიზიოლოგიური მაჩვენებლის დაქვეითებას, ანალიზის ზოგიერთ ვადაში.
12. საინტერესოა მიღებული შედეგები ნაშობრწყლებზე. სადაც გამოყვანულა აღინიშნა, რომ ადგილი აქვს რთული ნივთიერებების — სახამებლის ანალიზის ვალების მიხედვით თანდათანობით კლებას, რაც საყურადღებოა სხვა შედარებით მარტივი ნივთიერებების (ნაშობრწყლების) მატების თვალსაზრისით. რომ უზრუნველყოფილი იქნეს სუნთქვის მაღალ დონე და საჭირო შემთხვევაში ფესვებისა და გალუსის წარმოქმნისათვის საჭირო რთული ნივთიერებების მომდინარე სინთეზური პროცესები, აქვე დაესტენა, რომ ამ მარტივ საცდელ ვარიანტებში გამოინადის წარმოადგენს ელექტროსტიმულაციის პირველი რეჟიმით დამუშავებული მასალა, რომელიც სათანადო ახსნას მოითხოვს. შემდეგისათვის საჭიროდ ვთვლით გამოყენებულ ვარიანტებში მოსდეს ანატომიური და მიკროკიმიური შესწავლა.

საქარს მუდგები, სპეციალისტების წარმომადგენელი კომპლექსი, და  
 ავიატექნიკური მუდგების მსახურებები



საქართველოს  
 დამცველობის  
 სამინისტრო

ავიატექნიკური მუდგები

კომპლექსის №	სახელისწოდება კომპლექსის №	კაპიტლების რაოდენობა	რაზმის შემადგენელი საპროცედურების რაოდენობა	მუდგის რაოდენობა დასავლეთის განყოფი- ლების მუდგები	სადაცაა სპეციალისტ- ების რაოდენობის რაოდენობა	სპეციალისტების წილი მუდგის შემადგენელი კომპლექსის	ავიატექნიკური მუდგები				საერთო რაოდენობა	სადაც (მუდგები)	სადაც (მუდგები)	სადაც (მუდგები)	სადაც (მუდგები)	სადაც (მუდგები)
							სადაცაა სპეციალისტების რაოდენობა			სადაცაა სპეციალისტების რაოდენობა						
							სადაც (მუდგები)	სადაც (მუდგები)	სადაც (მუდგები)							
I	1	1	ავიატექნიკური მუდგების რაოდენობა	264	177	43,6	110	43,6	10,5	20,5	10,9	25,1	2,4	17,2		
			2) სადაცაა სპეციალისტების რაოდენობა	264	191	32,4	224	40,1	11,2	21,5	9,0	24,5	2,7	19,2		
			3) სადაცაა სპეციალისტების რაოდენობა	264	191	32,4	224	40,1	11,2	21,5	9,0	24,5	2,7	19,2		
II	2	2	ავიატექნიკური მუდგების რაოდენობა	200	135	34,0	180	37,6	11,5	16,7	11,7	22,9	2,7	16,2		
			3) სადაცაა სპეციალისტების რაოდენობა	200	135	34,0	180	37,6	11,5	16,7	11,7	22,9	2,7	16,2		
III	3	3	ავიატექნიკური მუდგების რაოდენობა	264	202	35,4	160	40,4	9,5	18,0	10,0	25,3	2,0	14,8		
			2) სადაცაა სპეციალისტების რაოდენობა	264	202	35,4	160	40,4	9,5	18,0	10,0	25,3	2,0	14,8		
			3) სადაცაა სპეციალისტების რაოდენობა	264	202	35,4	160	40,4	9,5	18,0	10,0	25,3	2,0	14,8		
IV	4	4	ავიატექნიკური მუდგების რაოდენობა	392	75	25,3	100	34,1	6,1	7,4	7,3	17,3	2,3	20,9		
			3) სადაცაა სპეციალისტების რაოდენობა	392	75	25,3	100	34,1	6,1	7,4	7,3	17,3	2,3	20,9		



Հանրային կրթության համակարգի մեթոդական կենտրոնի օգնությամբ  
 Հայաստանի Հանրապետության կրթության նախարարության կողմից  
 իրականացվող «Գրագրություն» դասընթացի  
 արդյունքները (2010 թ. մտնողներ)



Կատեգորիա	Վարչական շրջան	Կրթական հաստատություն	Կարգի և անվանը ընդհանուր	Մեթոդական կենտրոնի կողմից		Մեթոդական կենտրոնի կողմից ընդհանուր	Վարձատրվողների քանակը			Վարձատրվողների կազմը				
				հասցանակ	%		Կրթական կենտրոնի կողմից	Կրթական կենտրոնի կողմից	Կրթական կենտրոնի կողմից	Կրթական կենտրոնի կողմից	Կրթական կենտրոնի կողմից	Կրթական կենտրոնի կողմից		
I	Երևան	1 Երևանի համալսարան	Երևանի համալսարանի կրթական կենտրոնի կողմից	275	146	53	173	2,05	0,1	13,7	11,4	21,28	2,07	7,1
		2 Երևանի հայկական համալսարան	•	240	144	60	171	28,5	9,05	14,5	12,2	22,9	2,01	6,2
		3 Երևանի հայկական համալսարանի կրթական կենտրոնի կողմից	•	200	112	56,4	133	41,1	7,8	12,7	—	20,68	1,85	7,07
III	Երևան	4 Երևանի հայկական համալսարանի կրթական կենտրոնի կողմից	•	200	103	51,5	100	40,7	9,6	13,6	11,0	21,9	2,5	7,0
		5 Երևանի հայկական համալսարանի կրթական կենտրոնի կողմից	•	200	176	88,0	207	56,5	11,4	24,6	10,9	25,0	2,0	12,5
		6 Երևանի հայկական համալսարանի կրթական կենտրոնի կողմից	•	110	84	46,6	100	30,4	6,54	7,81	4,63	18,68	1,9	6,09



ქართული  
ლიბრეოთეკა





НЕКОТОРЫЕ МЕРОПРИЯТИЯ ПО УВЕЛИЧЕНИЮ ВЫХОДА ПЕРВОСОРТНОЙ  
 ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ И ОСОБЕННОСТИ БИОФИЗИОЛОГИЧЕСКИХ  
 ИЗМЕНЕНИЙ, СВЯЗАННЫХ С ЭТИМИ МЕРОПРИЯТИЯМИ

Резюме


Основной задачей наших исследований, проведенных в течении ряда лет, являлось установление эффективности воздействия электростимуляции, электростимуляция + раствор гетероауксина, на увеличение и качественное улучшение выхода первосортных прививок виноградных лоз. В связи с этим, особое внимание уделялось выяснению преимуществ воздействия названных выше стимуляторов, по сравнению с другими, известными до сих пор стимуляторами. Причем, во всех вариантах опыта эталонами служили контрольные, т. е. не обработанные стимуляторами, двойные материалы.

В результате обработки многочисленных экспериментальных данных установлено, что наилучшим способом, увеличивающим количество выхода первосортных прививок виноградных лоз, является комплексное использование электрохимических стимуляций, т. е. электростимуляция + гетероауксин. Остальные опытные варианты, также по сравнению с контрольным, являются наилучшими.

Исходя из вышесказанного, производству дается рекомендация широкого использования названного метода предпосадочной обработки подвоев винограда.

ლიტერატურა

1. მ. რამიშვილი — ვაზის სანერგე მეურნეობა. თბ; 1964.
2. აღ. კობერიძე — მცენარეთა ჰორმონ-სტიმულატორები. თბ; 1958.
3. აღ. კობერიძე, ნ. ბენდიანიშვილი, თ. აბრამიშვილი — ზრდის სტიმულატორების გავლენა სათბურში და უსათბუროდ გამოყვანილი ვაზის ნაშენების გამოსვლიანობაზე. საქ. სსს. სამ. ინსტიტუტის შრომები ტ. 12, 1963.
4. Г. Д. Кучава — Исследование и разработка электрических методов и технических средств стимуляции посадочного материала виноградной лозы. Тбилиси; 1966 (Кандидатская диссертация).
5. Ю. К. Шельд — Влияние токов на растительные организмы. Казанский университет, Казань, 1876.
6. Л. Л. Калайтар — Действие электрического тока на рост растений (спыты с белым редисом). Журн. «Вестник русского сельского хозяйства», М., 1889.
7. Н. Коломейцев — Электричество и растение. М., 1894.
8. Г. И. Вяземский — Электрические явления растений. М., 1901.

- 
9. И. В. Мичурин — Выведение новых культурных сортов из семян. т. 1, М., 1968.
10. ა. დ ი დ ე ბ უ ლ ი ძ ე — მცენარეების და ცხოველების გენეტიკის რა. ჟურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობის“ № 4, 6, 1921. თბ: 1921.
11. Н. Н. Иванов — Методы физиологии и биохимии растений. Изд. Огизсельхозгиз, М.-Л. 1946.
12. ვ. ლ. კ რ ე ტ ო ვ ი ჩ ი — მცენარეთა ბიოქიმიის საფუძვლები, თბ 1959.
-





ა. ზედაპირული

ვაზის ჰიბრიდული ფორმების № 7 და № 11 ზონიერში აგრობიოლოგიური და  
და სამეურნეო-ბაჟნოლოგიური საკითხის შესწავლის შედეგები

ჰიბრიდთა შესწავლა ძირითადად ჩატარდა საკავშირო ამპელოგრაფიული  
მეთოდოლოგიის მიერ დამტკიცებული მეთოდიკის მიხედვით და მოიცავს შემ-  
დეგ საკითხებს: 1. ვაზის სავეგეტაციო პერიოდს და მისი ცალკეული ფაზის მსე-  
ლელობას, 2. ვაზის ზრდის დონეს, 3. მტევნის მოცულობით ზრდასა და ყლორ-  
ტის ზრდის დინამიკას, 4. მოსავლიანობის მაჩვენებლებს, 5. აფინიტეტის ზო-  
გერთ საკითხს ძირითადი ფილოქსერაგამძლე საძირეების მიმართ და 6. სამე-  
ურნეო ტექნოლოგიურ მაჩვენებლებს.

1. ვაზის სავეგეტაციო პერიოდი და მისი ცალკეული ფაზის მსვლელობა

ჰიბრიდთა ბიოლოგიური განვითარების ფაზების შესასწავლად გარემო-  
საღმი მათი დამოკიდებულების დასადგენად და ვენახში ჩასატარებელ სამე-  
ურნეო დასაზუსტებლად, მუხრანის საწავლო-საცდელ მეურნეობაში დაკვირ-  
ვებას ვაწარმოებდით ვაზის აქტიური პერიოდის შემდეგ ფაზებზე:

1. წვეთა მოძრაობის დასაწყისზე (ტირილი), 2. კვირტების გამოფურჩქ-  
ენასა და ყლორტების განვითარებაზე, 3. ყვავილობის (დასაწ. მასობრ. დასასრ.),  
4. სიმწიფეზე (შეთვალეზა, სრული) და 5. ფოთოლცვენაზე (დასაწყისი—დასას-  
რული).

დაკვირვების შედეგები მოცემული გვაქვს 1-ელ ცხრილში. როგორც 1-ელი  
ცხრილიდან ჩანს, სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა კვირტის გაფურჩქნი-  
დან ყურძნის სრულ სიმწიფემდე ჰიბრიდთა მიხედვით მერყეობს 158-დან  
177 დღემდე. აქედან 158 დღე სჭირდება თესლნერგ № 11, ხოლო 177 დღე  
ჰიბრიდ № 7. შესაბამისად აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ასეთია: № 11-სათვის  
2879,2°, ხოლო № 7-სათვის — 3355,1°, რაც ორივე ჯიშისათვის სრულიად საკ-  
მარისია მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად. მოსული ნალექები ამ  
მონაკვეთში № 11-სათვის 270,7 მმ, ხოლო № 7-სათვის 304,1 მმ შეადგენს. აღ-  
ნიშნული ნალექები არასაკმარისია ვაზის ნორმალური ზრდა-განვითარებისათ-  
ვის და ამიტომ საჭიროა სავეგეტაციო პერიოდში ჩატარდეს ვენახების 1,2-ჯერ  
რწყვა.



ქობრილი და- სახელება	წმინდა მობრ- ბის დასაწყისი	ქობრიობის და- საწყისი	ხავერდობა			სიმწიფე		ფოთლოცობა		სავერდ- ბაციო პერი- ოდი, ხავერდ- ობის დასაწყისი	სავერდ- ბაციო პერი- ოდი, ხავერდ- ობის დასაწყისი	სავერდ- ბაციო პერი- ოდი, ხავერდ- ობის დასაწყისი	
			დასაწყისი	მასობრივი	დასასრული	შეფუძება	სრული	დასაწყისი	დასასრული			მთლიანი	მოსული
№ 7	7/4	21/4	10/6	15/6	20/6	5/9	15/10	12/11	3/12	177	3355,1	304,1	
№ 11	29/3	19/4	8/6	13/6	18/6	17/8	23/9	13/11	27/11	153	2879,2	270,7	

მიღებული მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ქობრილი № 7 ეკუთვნის საგვიანო პერიოდის ვაზის ჯიშებს, ხოლო თესლნერგი № 11 საშუალო-საგვიანო პერიოდისას.

### 2. ვაზის ზრდის დონე

ვაზის ზრდის დონის შესწავლამ (ხაზოვანი მეთოდით და ანასხლავის აწონვით) გვიჩვენა, რომ ქობრილი № 7 და თესლნერგი № 11 მიეკუთვნებიან საშუალო სიძლიერის ვაზის ჯიშებს, პირველისათვის ანასხლავის წონა შეადგენს 793,5 გ, ხოლო მეორისათვის 766,2 გ-ია. შესაბამისად ნაზაოდის საშუალო სიგრძე № 7-თვის 165,3 სმ, ხოლო № 11-სათვის — 140,3 სმ.


### 3. მტევნის მოცულობითი ზრდა და ყლორტის ზრდის დინამიკა

ხავერდბაციის პერიოდში ვაზის ნაწილების ზრდასთან ერთად ხდება მტევნის ზრდაც. მტევანი მატულობს როგორც წონაში, ისე ზომასა და მოცულობაში. ჩვენ შევისწავლეთ მტევნის მოცულობითი ზრდა (ნახ. 1).

როგორც ნახაზიდან ჩანს, მტევნის ყველაზე მეტი მატება მოცულობაში აღინიშნება პირველ ოთხ დეკადაში, ე. ი. 2 ივნისიდან 1 აგვისტომდე. დეკადური მატება № 11-სათვის შეადგენს 35.16—30, 46—32,3 მლ, ხოლო № 7-თვის — 34.4—20.96—18,87 მლ-ს, შემდეგ დეკადებში მტევნის მოცულობაში მატება ხდება თითქმის შეუმჩნეველად, მაგრამ შეიქმნება ანაკროული მატება.

სექტემბერში მტევნის ზრდა აღწევს მაქსიმუმს 244,85—283,5 მლ, რის შემდეგ იწყება მტევნის მოცულობითი კლება, მარცვლიდან წყლის აორთქლების და შაჭრების კონცენტრაციის ხარკზე, ანგვარად, ჩვენი დაკვირვების მიხედვით მტევანი ორი ძლიერი ზრდის პერიოდს გადის. პირველს გამოინახავიდან შეთვალვამდე, ხოლო მეორეს — შეთვალვების შემდეგ ყლორტის სრულ სიმწიფემდე.

ყლორტის ზრდის დინამიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ორივე ქობრილი-სათვის ყლორტი ინტენსიურად იზრდება 2/VI-დან 2/VIII-მდე. შემდეგ კი ზრდა ნელდება და სექტემბრის მეორე ნახევრიდან მთლიანად ჩერდება.



ნახ. 1. მტვერის ზრდის დინამიკის მრუდი.

ნაზარდის საბოლოო სიგრძემ ჰიბრიდი № 7-სათვის საშუალოდ 165,36 სმ, ხოლო თესლნერგი № 11-სათვის 140,3 სმ მიაღწია.

ჩვენ მიერ მიღებული მონაცემებით ორივე ჰიბრიდი საშუალო სიძლიერის ვაზის ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება.

#### 4. მოსავლიანობის მაჩვენებლები

მოსავლიანობის მაჩვენებლებიდან ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა შემდეგი საკითხები: 1. გამონასკვის %, 2. მსხმოიარობის კოეფიციენტი, 3. რქის პროდუქტიულობა, 4. მტვერის საშუალო წონა, 5. მსხმოიარე ყლორტების %, 6. ურთი ძირის საშუალო მოსავალი და 7. მოსავალი 1 ჰა-ზე გაანგარიშებით ციხით. შესწავლის შედეგები მოცემულია მე-2 ცხრილში.



ჰიბრიდთა დასახელება	გამონაკის %	მსხმოიარობის კოეფიციენტი	მსხმოიარე ულორტების ვაზზე	მტენის ს.შ. წონა ვაზით	ტკის პრო-დუქტული-ბა გ.ობით	1 ტონის ს.შ. მოსავლი-ბა გ.ობით	მოსავლი-ბა ზეგადა-ვარისუბით ც.ობით.
№11	24,75	0,7	55,33	244,7	171,2	5,55	184,9
№7	10,5	0,96	77,66	164,33	157,	4,0	139,9

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, ჰიბრიდი № 7 ხასიათდება დაბალი გამო-  
ნასკვის უნარით (10,5%), ხოლო № 11 საშუალო გამონასკვის უნარით (24,75%),  
ორივე ჰიბრიდი ხასიათდება საშუალო მსხმოიარობის კოეფიციენტით (0,7 და  
0,96). მსხმოიარე ულორტების პროცენტი ვაზზე, № 11-სათვის შეადგენს  
55,33%, ხოლო № 7-სთვის 77,06%-ს. ორივე ჰიბრიდი საქმაოდ მალაღმოსავე-  
ლიანია (184,9 და 139,9 ც).

### 5. აფინიტეტი

აფინიტეტის საკითხის შესასწავლად ცდის ქვეშ აღებული გვექონდა შეზ-  
ღვევი საძირე ჰიბრიდები: ბერლანდიერი X რიპარია 5<sup>ბბ</sup>, შასლა X ბერლანდი-  
ერი 41<sup>ბ</sup>, რიპარია X რუპესტრის 101<sup>ა</sup> და რიპარია X რუპესტრის 3306.

აღნიშნულ სტატიაში ჩვენ არ შევჩერდებით შესწავლილი საკითხების  
მთელი მასალის განხილვაზე და აღენიშნავთ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ დასაზე-  
ლებული საძირეებიდან ორივე ჰიბრიდმა ყველაზე კარგი შედეგი მოგვცა. სა-  
ძირე ბერლანდიერი X რიპარია 5<sup>ბბ</sup>-თან აღნიშნულ საძირეზე მცნობისას ორი-  
ვე ჰიბრიდისათვის კალუსის განვითარება იწყება მე-5-7 დღიდან და კალუსის  
ნამყენების გამოსავალი ცვალებადობს 96,3%-დან 98—2%-მდე. აქედან მალა-  
ლი გამოსავალი აქვს № 7-თან, ხოლო შედარებით დაბალი № 11-თან.

ასეთივე განსხვავებას ვხვდებით სანერგიდან აღებულ პირველხარის  
ხოვანი ნამყენის გამოსავალშიაც. ჰიბრიდი № 7-სათვის ის შეადგენს საშუა-  
ლოდ 52%, ხოლო № 11-სათვის 49%-ია.

მცნობის ადგილის მიკროორაიონულმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ბერლან-  
დიერი X რიპარია 5<sup>ბბ</sup>-თან ახალი მერქნის უკეთესი წარმოშობით ხასიათდება  
იესლნერგი № 11. აღნიშნული ნორმისათვის ახალი მერქნის შეფარდება ძველ  
მერქანთან უდრის 2,06 : 1, რაც ნორმალურ მაჩვენებლად უნდა იქნეს მიჩნეუ-  
ლი.

### 6. სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

სამეურნეო-ტექნოლოგიური მაჩვენებლებიდან ზემოხსენებული ჰიბ-  
რიდების ირგვლივ შესწავლილი იქნა: მტენისა და მარცვლის მექანიკური შედ-  
გენილობა, მგავიანობა %-ობით, შაქრიანობა %-ობით, ყურძნის სიმწიფის დ-



ნამიკა, მარცვლის მოწყვეტისა და გაჰყვების მიმართ წინაღობა და სხვა საკითხები. შესწავლის შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში.

როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს, მტევნის საშუალო წონა ჰიბრიდების შემთხვევაში თვის შეადგენს 172-გ-ს, ხოლო თესლნერგი № 11-სათვის — 252 გ-ს. მარცვლის ხარისხი ბისა და წვეწის გამოსავლიანობა № 7-სათვის შეადგენს 83,75%, ხოლო № 11-სათვის 78,96%-ია. შეკვიანობა მერყეობს 7—8%-მდე, ხოლო შაქრიანობა 20—21%-მდე.

**სადეგუსტაციო შეფასება და სამეურნეო მიმართულება**

როგორც შესწავლილი მასალებიდან ჩანს, მტევნისა და მარცვლის შემადგენლობა ორივე ჰიბრიდისათვის აკმაყოფილებს სასუფრე ყურძნისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. კვარტის შეფარდება მთლიანი მტევნის წონასთან საშუალოა, ხოლო მარცვალში წვეწისა და რბილობის შემცველობა საშუალოზე მაღალი.

თესლნერგი № 11-ის მარცვალი უფრო ხორციანია, ვიდრე წვეწიანი. აქვს სასიამოვნო მოტკბო გემო, ჰარმონიულად შეხამებული შეკვიანობით. ყურძენს გაკრავს ოდნავი სასიამოვნო სპეციფიკური გემო. კანი სქელია, მაგრამ არაუხეში და ძნელად შორდება რბილობს. წიპწის რაოდენობა მარცვალში 1—2-მდეა, სჭარბობს ორი. ყურძენი საშუალო-ტრანსპორტაბელურია. სამეურნეო დანიშნულებით მაღალხარისხიან სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს განეკუთვნება.

ცხრილი 3

**მტევნისა და მარცვლის მექანიკური და ქიმიური შედგენილობა**

ჰიბრიდი და სახეობა	მტევნის საშ. წონა გ-ით		მტევანში მარცვლების რაოდენობა		კვარტის წონა გ-ით		100 მარცვლის წონა გ-ით		100 მარცვალში წიპწის რაოდენობა		100 მარცვლის წიპწის რაოდენობა		მარცვლების გაჰყვასთან წინაღობა გ-ით		მარცვლების მოწვეწის წინაღობა გ-ით		შაქრიანობა %-ით		მეკვიანობა %-ით		
	წონა	%-ი	წონა	%-ი	წონა	%-ი	წონა	%-ი	წონა	%-ი	წონა	%-ი	წონა	%-ი	წონა	%-ი	წონა	%-ი	წონა	%-ი	
№ 7	172,0	83	5,77	350	50	14,28	293,1	83,75	146	6,9	1,97	925,5	182	20,1	8,0						
№ 11	252,0	106	9,1	280	50	17,86	221	78,96	157	9	3,18	995	134	21,0	7,0						

ჰიბრიდი № 7-ის მარცვალი უფრო წვეწიანია, ვიდრე ხორციანი, სასიამოვნო, ოდნავი მუსკატისებრი გემოთი. კანი სქელია და ადვილად შორდება რბილობს. წიპწის რაოდენობა მარცვალში 1—2-მდეა, უფრო ხშირად ერთი ყურძენი საშუალო-ტრანსპორტაბელურია. სამეურნეო დანიშნულებით უმთავრესად ადგილობრივი მოხმარების სასუფრე ყურძნის ჯიშია.

## Резюме

Изучение гибридов происходило по методике утвержденной Всесоюзной ампелографической комиссией.

Наблюдения над протеканием фаз биологического развития виноградной лозы показали, что гибриды № 7 и № 11 относятся к сортам разного периода созревания. В частности, гибрид № 11 относится к сортам выше среднего, а гибрид № 7 — позднего периода созревания, продолжительность вегетационного периода у гибрида № 7 составляет 177, у гибрида № 11 — 158 дней.

Изучения силы роста виноградной лозы показало, что гибриды № 7 и № 11 относятся к сортам средней силы роста. Для первого из них вес подрезочной массы составляет 793,5 г., для второго — 766,2 г. Соответственно средняя длина побегов — 165 см., и 140,3 см.

Наибольшее увеличение объема грозды отмечается в первые 4 декады — с второго июля по первого августа. К этому периоду декадный прирост у гибрида № 11 составляет 35,16—30,46—32,3 мл, для гибрида № 7 — 34,4—20,96—18,87 мл.


Показатели урожайности исследуемых гибридов таковы: гибрид № 7 характеризуется низкой способностью завязывания — 10,5% этим гибрид № 7 очень похож на отцовское растение — Александрийский мускат; гибрид № 11 проявляет среднюю способность завязывания — 24,75%. Оба гибрида характеризуются средним коэффициентом плодоношения — 0,7—0,96. Процент плодоносных побегов у гибрида № 11 составляет 55,33, для гибрида № 7 оно равно 77,06%. Оба гибрида характеризуются довольно высоким выходом продукции — 184,9 и 139,9 центнеров с га.

По своим хозяйственно-технологическим показателям гибриды № 7 и № 11 удовлетворяют требованиям, предъявляемым к столовым сортам винограда.

У обоих изученных нами гибридов соотношение греблей с общим весом грозди среднее, содержание же в ягодах сока и мягкости — выше среднего: 83,75% у гибрида № 7, 78,98% — у гибрида № 11.

Исходя из вышеуказанного, считаем целесообразным гибриды № 11 и № 7 признать перспективными для внедрения в пригородной зоне г. Тбилиси и Мцхетского района.

## Литература

- 
1. М. Лазаревский — Методы ботанического описания и агробиологического изучения сортов винограда. Ампелография СССР 1946.
2. Н. Простосердов — Изучение винограда для определения его использования М., 1963.
3. Н. Простосердов — Технологическая характеристика винограда и продуктов его переработка Ампелография СССР 1946.
4. მ. ჭანთარია, მ. რამიშვილი — გევენახეობა, 1965.
5. მ. რამიშვილი — ამპელოგრაფია, 1970.
6. მ. რამიშვილი — ვაზის სანერგე მეურნეობა, თბ., 1964.
-



ბ. ჩხაიძე

აზოტობიოლოგიური მეთოდების გამოყენება აზოტის მცენარეთა ურთიერთფიზიოლოგიური დამოკიდებულების დასადგენად

ნამყენ მცენარეთა ურთიერთფიზიოლოგიური დამოკიდებულების დასადგენად აზოტის შემცველობის ცვალებადობის შესწავლა ავირჩიეთ. ეს გამოწვეულია იმით, რომ ავტორთა შორის, რომლებიც სწავლობენ აზოტოვან ნივთიერებათა ცვლას ნამყენ კომპონენტებში (ა. ლუსი — 1935; ი. პლოტნიკოვი — 1935; ა. შმუცი — 1940; ა. კრუელინი — 1960; ნ. კრენკე — 1966; ს. კრავეოვი — 1967 და სხვ.) ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი აზრი. კვლევის ობიექტებს წარმოადგენდნენ მარადმწვანე და ფოთოლცვენია მცენარეები. მარადმწვანეებიდან — ლიმონი დამყენილი იჩანგენზისზე, ხოლო ფოთოლცვენიადან — ვაზის ჯიშები: პინო შავი, შავთითა და თბილისური დამყენილი შემდეგ საძირებზე: რიპარია X რუპესტრის 101—14, რიპარია X რუპესტრის 3306, რიპარია X რუპესტრის 3309, შასლა X ბერლანდიერი 41-ბ, ბერლანდიერი X რიპარია 5-ბ, ბერლანდიერი X რიპარია 420-ა, რუპესტრის X დიულო. საკონტროლოდ აღებული იყო დასახელებული სანამყენოები საკუთარ ფესვზე.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა (ცხრ. 1) გვიჩვენეს, რომ სანამყენედ აღებული მცენარეები — ლიმონი (სანამყენე) და იჩანგენზისი (საძირე) საერთო და ცილოვანი აზოტის შემცველობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კერძოდ, საძირე მას შეიცავს გაცილებით მეტი რაოდენობით, ვიდრე სანამყენე. ასეთ მცენარეთა ურთიერთმყენობისას აღმოჩნდა, რომ აზოტის მაღალშემცველი იჩანგენზისი გავლენას ახდენს მასზე დამყენილ აზოტის დაბალშემცველ ლიმონზე, რაც გამოიხატება ამ უკანასკნელის ფოთლებში აზოტის შემცველობის მკვეთრ გადიდებაში. ასე, მაგ., როცა ლიმონის საკონტროლო მცენარეები შეიცავენ საერთო აზოტის მხოლოდ 1%-ს (აგვისტო), ნამყენ ლიმონებში მისი შემცველობა 2,14<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ია, ე. ი. უახლოვდება მის შემცველობას საძირის ფოთლებში (2,80%). ანალოგიური შედეგები მივიღეთ მომდევნო ანალიზებშიც. ცხრილიდან ჩანს, რომ ამ წელს ანალიზებს ვატარებდით აგვისტო-ნოემბერში, ე. ი. 4 თვის მანძილზე და ეს მცირე პერიოდიც კი საკმარისი აღმოჩნდა დაგვედგინა პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება აღნიშნულ მცენარეთა ყინვაგამძლეობასა და აზოტის შემცველობას შორის. კერძოდ, ლიმონი, რომელიც მეტად სუსტი გამძლეა ყინვების მიმართ, შეიცავს გაცილებით ნაკლებ აზოტს, ვიდრე ყინვების მიმართ შედარებით ძლიერ გამძლე იჩანგენზისი (უძლებს —13—15°





აზოტის შემცველობა %-ობით

მარცხენა და მარჯვენა მხარე

თ ვ ე ე ბ ი	მარცხენი მხარე		მარჯვნივ		აზოტი	
	აზოტი		აზოტი		აზოტი	
	საერთო	ცილოვანი	საერთო	ცილოვანი	საერთო	ცილოვანი
აგვისტო	2,80	17,50	2,14	13,37	1,60	6,25
სექტემბერი	2,80	17,50	2,33	14,50	1,40	6,75
ოქტომბერი	2,03	12,68	2,04	12,75	1,24	7,75
ნოემბერი	2,60	17,50	2,03	13,00	1,40	6,75

ტემპერატურას), ე. ი. აზოტის დაბალი შემცველობა ციტრუსოვნებში მაჩვენებელია მათი სუსტი ყინვაგამძლეობისა. ცხრილში შეტანილია მხოლოდ ერთი—1957 წლის მონაცემები. კვლევა ტარდებოდა 5 წლის მანძილზე და რადგანაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მიღებული მასალები დინამიკაში ასახავენ აღნიშნული წლის მონაცემებს, ამიტომ ჩვენ მათ აქ არ განვიხილავთ.


საძირეები რომ გავლენას ახდენენ მათზე დამყნილ სანამყენეთა ფოთლებში აზოტოვან ცვლაზე. გვიჩვენებს აგრეთვე, ვაზებზე ჩატარებულმა ანალიზებმა. მაგ., პინო შავი, დამყნილი ბერლანდიერ X რიპარია 5 ბბ-ზე, რუპესტრის X დიულოსა და რიპარია X რუპესტრის 101—14 საძირეებზე. აგრეთვე გაშენებული საკუთარ ფესვებზე. ამ ნივთიერებების შემცველობით მკვეთრად განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან (ცხრ. 2). კერძოდ, ყველაზე ნაკლებ აზოტს ის შეიცავს 101—14 საძირეზე, ხოლო ყველაზე მეტს — რუპესტრის X დიულოზე. აზოტის შემცველობის მკვეთრი დაცემა განსაკუთრებით აღინიშნება

ცხრილი 2

აზოტის შემცველობა შავი პინოს ფოთლებში %-ობით

საკვლევი ობიექტის დასახელება	აზოტი	
	საერთო	ცილოვანი
პინო შავი ბერლანდიერ X რიპარია 5 ბბ	1,40	6,75
პინო შავი რუპესტრის X დიულო	1,78	11,02
პინო შავი რიპარია X რუპესტრის 101—14	0,98	6,12
პინო შავი საკუთარ ფესვზე	1,26	7,87

ქლოროზით ვაზის დაავადების დროს. რადგანაც 101—14 საძირე სუსტი გამძლეა ქლოროზის მიმართ, მათზე დამყნილ ვაზის ფოთლებში ქლოროზის დროს მკვეთრად მცირდება მწვანე პიგმენტთა შემცველობა, რაც გავლენას ახდენს აზო-



ტოვან ნივთიერებათა სინთეზის უნარზე, აქვეითებს მას. ამავე დროს აზოტოვანი ცელა მჭიდრო კავშირშია ფოტოსინთეზთან და ამ დროს წარმოქმნილი ცვლები უდიდეს როლს ასრულებენ ნივთიერებათა ცელაში. გასაყვანილია მწვანე პიგმენტთა და შლა ქლოროზის დროს იწვევს სინთეზური დაქვეითებას ან სრულიად შეწყვეტას, რაც თავისთავად უარყოფით გავლენას ახდენს აზოტის სინთეზზე მცენარეში.

დღეისათვის დეტალურადაა შესწავლილი აზოტის როლი მცენარეთა კვებაში. მისი გარდაქმნის გზები მცენარეში, კავშირი სხვადასხვა პროცესებთან, შემცველობის ცვალეზადობა გარემო პირობებთან დაკავშირებით, მაგრამ თითქმის შეუსწავლელია მისი შემცველობის ცვალეზადობა მცენარეთა მყნობისას. საძირისა და სანამყენეს ურთიერთმოქმედებისას. მით უმეტეს ისეთ მცენარეთა ურთიერთმყნობისას, როცა ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან აზოტის შემცველობით.

ი. პლოტნიკოვი (1935), ა. შმუცი (1940), ა. კრუცილინი (1960), მიუთითებენ, რომ საძირისა და სანამყენეს ურთიერთმოქმედებისას ნამყენ კომპონენტებში სხვა ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ პროცესთა ცვალეზადობასთან ერთად ადგილი აქვს აზოტოვან ცელათა მიმართულების ცვალეზადობას. თუმცა რიგი ავტორები — ა. ლუსი (1935), კრაევი (1967) არ იზიარებენ ზემოთ აღნიშნულ ავტორთა აზრს.

შეათითა, რომელიც დამყნოლია შვიდ სხვადასხვა საძირზე, ასევე ხასიათდება აზოტის სხვადასხვა შემცველობით (ცხრ. 3).

ცხრილი 3

აზოტის შემცველობა შავითას ფოთლებში % -ით

საკვლევი ობიექტის დასახელება	აზოტი	
	სელონი	ცელაში
შავითა რიპარია X რუპესტრის 101—14	2,63	17,68
შავითა რიპარია X რუპესტრის 3306	4,07	27,81
შავითა რიპარია X რუპესტრის 3309	3,76	23,80
შავითა მსლა X ბერლანდიერი 41—ბ	2,78	20,40
შავითა ბერლანდიერი X რიპარია 420—ა	4,84	30,25
შავითა რუპესტრის X დიელო	3,75	23,45
შავითა ბერლანდიერი X რიპარია 5—ბბ	3,32	20,75
შავითა საკვთარ ფესვზე	3,97	24,31

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, კვებისა და მოვლის სრულიად ერთნაირ პირობებში, შავითას ფოთლებში აზოტის შემცველობა ცვალეზადობს საკმაოდ დიდი ფარგლებში. მაგ., ამ ნივთიერების ყველაზე მაღალ



ლი შემცველობით შავითა გამოირჩევა ბერლანდიერი X რიპარია 4,25-ს სპირტზე (საერთო 4,84, ცილოვანი 30,25%). დაღმავალი ნიშნის მიხედვით შედგება მოდის 3306 (4,37 და 27,31%) და ა. შ., ხოლო ყველაზე ნაკლებად შემცველობით ისე, როგორც შავი პინოს შემთხვევაში, აღინიშნა უმცირესობა (2,83 და 17,68%). საძირების გავლენა სანამყენების ფოთლებში აზოტის სინთეზის უნარზე იხსნება იმით, რომ ფესვი წარმოადგენს ორგანოს, სადაც მიმდინარეობს მრავალრიცხოვანი სინთეზური პროცესები, ნივთიერებათა პირველადი და მეორადი გარდაქმნები. რაზედაც პირველი მიუთითებდა დ. საბინინა (1955) და რაც დამტკიცებულ იქნა შემდგომ გამოკვლევებში.

ანალოგიური ხასიათის შედეგები მივიღეთ თბილისურზე ჩატარებულ ანალოგებშიაც, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საძირები სათანადო გავლენას ახდენენ მათზე დამყნულ სანამყენეთა ფოთლებში ნივთიერებათა სინთეზის უნარზე და შესაბამისად ცვლიან მას, მათ შორის როგორც საერთო, ისე ცილოვანი აზოტის სინთეზის უნარსაც, რაც თავისთავად გავლენას ახდენს ორგანიზმში მიმდინარე სხვა პროცესთა მსვლელობაზე.

ცხრილი 4

აზოტის შემცველობა თბილისურის ფოთლებში %\_ობით

საკვლევი ობიექტის დასახელება	აზოტი	
	საერთო	ცილოვანი
თბილისური რიპარია X რუპესტრის 101-14	2,90	18,12
თბილისური შასლა X ბერლანდიერი 41-ბ	3,22	23,12
თბილისური რიპარია X რუპესტრის 3306	4,38	27,37
თბილისური რიპარია X რუპესტრის 3309	3,77	23,56
თბილისური რუპესტრის X ღიფლო	3,71	23,19
თბილისური ბერლანდიერი X რიპარია 5-ბბ	3,63	22,68
თბილისური საყუთარ ფესვზე	3,82	23,87

მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევენ გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. აზოტის შემცველობასა და ყინვაგამძლეობას შორის ციტრუსოვნებში დადგინდა პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება. კერძოდ, ყინვაგამძლე იჩანგენჯისი მას შეიცავს გაცილებით მეტს, ვიდრე ყინვების მიმართ სუსტი გამძლე ლიმონები.

2. დადგინდა, მყნობისათვის წინასწარ შერჩეული კომპონენტები სხვა ფიზიოლოგიურ და მორფოლოგიურ ნიშანთან ერთად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ცილოვანი და საერთო აზოტის შემცველობით. ასეთ მცენარეთა ურთიერთმყნობისას აღმოჩნდა, რომ აზოტის ნაკლებშემცველი ლიმონის



დოკუმენტში გაიზარდა ამ ნივთიერების სინთეზის უნარი, რაც აზოტის მალა-  
 ზმცველ იჩანგენზისის გავლენას უნდა მიეწეროს.

3. ვაზის ჯიშები: პინო შავი, შავთითა და თბილისური დამყნობილი იჩანგენზისის  
 სხვა საძირებზე და ვაშენებული საკუთარ ფესვებზე კვებისა და მოვლის უნარი  
 ტად ერთნაირ პირობებში ხასიათდება საერთო და ცილოვანი აზოტის სხვა-  
 დასხვა შემცველობით, რაც უთუოდ აღნიშნული საძირების გავლენის შედეგია.

Г. Д. ЧХАИДЗЕ

## ИЗМЕНЕНИЕ СОДЕРЖАНИЯ АЗОТИСТЫХ ВЕЩЕСТВ ПРИ ПРИВИВКЕ РАСТЕНИЙ

### Резюме

Изучено изменение содержания азота в листьях привитых растений. Из вечнозеленых, объектом исследований служил лимон, а из листопадных - несколько сортов виноградной лозы на различных подвоях.

Исследования показали, что под влиянием подвоя цитруса ичангензис в листьях лимона увеличивается содержание как общего, так и белкового азота, приближаясь к содержанию азота в листьях подвоя.

Пино черный, Шавтита и Тбилисури на различных подвоях содержат неодинаковое количество азота. Самым высоким содержанием этого вещества отличается: Пино на РупестрисХДюло, Шавтита на Берландиери х Рипария 420-а, а Тбилисури на Рипария х Рупестрис 3306.

### Литература

1. А. А. Шмук — Изменения химического состава растений при их трансплантации. Докл. ВАСХНИЛ, вып. 2. 1940.
2. И. Г. Плотников — Яровизация № 3, 1935.
3. А. А. Лусс — Взаимоотношение подвоя и привоя. Теоретические основы селекции, т. I, Госиздат с/х колхозной и совхозной литературы, 1935.
4. А. С. Кружилин. — Взаимоотношение привоя и подвоя растений. Из-во АН СССР, М., 1960.
5. Н. П. Кренке — Трансплантация растений. Из-во «Наука», М., 1966.
6. С. Я. Краевой — Возможна ли вегетативная гибридизация растений посредством прививки. Из-во «Наука», 1967.
7. Д. А. Сабинин — Физиологические основы питания растений. Из-во АН СССР, 1955.



3. შიპაშვილი

კაკლის ფესვთა სისტემის არქიტექტონიკა მდელის სპინდელ ნიადაგებზე

უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება ექცევა მცენარეთა ფესვთა სისტემის შესწავლას, რადგან მცენარეთა ზემოქმედების ცნობილი ღონისძიებანი ბოროტად ზორციელდება იმ გარემოს მეშვეობით, სადაც განლაგებულია მცენარის ფესვთა სისტემა. ამჟამად დაგროვილია მდიდარი მასალა ცალკეული ზონებისა და ნიადაგის ტიპის მიხედვით სხვადასხვა ხეხილოვანი კულტურებისათვის. სამწუხაროდ, ცნობები კაკლის ფესვთა სისტემის ხასიათისა და მისი განვითარების თავისებურებათა შესახებ ძლიერ მცირეა.

კაკლის ფესვთა სისტემის ზრდისა და განვითარების ყოველმხრივი ცოდნა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ამ კულტურის სწორი წარმოებისათვის.

კაკლის ფესვთა სისტემის შესწავლა პირველად დაიწყო ტ. კვარაცხელიამ, რომელმაც მიღებული შედეგები გამოაქვეყნა 1927 წელს.

კაკლის ფესვთა სისტემის გამოკვლევები სხვადასხვა დროს ჩატარებული აქვთ უ. ჩენდღერს, პ. დოროფეიას, ა. რიბტერს, ვ. კოლესნიკოვს და სხვ.

კაკლის ფესვთა სისტემის შესასწავლად ჩვენ ვისარგებლეთ ჩონჩხის მეოთხედით, რომელსაც თავის დროზე იყენებდნენ პ. შიტი, ტ. კვარაცხელია, ვ. კოლესნიკოვი და სხვ.

გათხრების დროს ვრიცხავდით ფესვების გავრცელების სიძლიერეს, მათ განლაგებას ცალკეული ჰორიზონტის მიხედვით, მთელი სისტემის მორფოლოგიურ სტრუქტურას.

გათხრების სამუშაოთა წარმოებასთან ერთად ვახდენდით ნიადაგისა და ფესვების პრილებების მორფოლოგიურ აღწერას, ნიმუშების აღებას და ფესვთა სისტემის განლაგების სქემის ჩახატვას.

გასათხრელად ვარჩევდით ისეთ ხეებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო მთელი უბნისათვის როგორც განლაგებით, ასევე ასაკითა და განვითარებით.

საანალიზოდ აღებული ფესვების ლაბორატორიულ დამუშავებას ვატარებდით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეხილეობის კათედრაზე, ხოლო ნიადაგის ყველა ანალიზი შესრულდა ამავე ინსტიტუტის ნიადაგთმკოდნეობის კათედრის ლაბორატორიაში პროფ. გ. ტალახაძის კონსულტაციით.

კაკლის ფესვთა სისტემის არქიტექტონიკის შესწავლა დაიწყო 1967 წელს გათხრილი იქნა საქართველოს სას. სამ. ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო-საეღვიპო მუდრეკელის ბაღში კაკლის ხის ფესვები ორ ერთმანეთს მართკუთხაობით გაწყობილი 1/4 სექტორებისა.

კაკალი 30 წლის, ხის სიმაღლე 11,9 მ, შტამბის სიმაღლე 155 სმ, დიამეტრი 52 სმ, ვარჯის პროექცია  $16,7 \times 17,6$  მ.

ეს ობიექტი შერჩეული იქნა შემდეგი მოსაზრებით: ერთი მხრივ, საჭირო იყო მოზრდილი, კარგად განვითარებული, მსხმოიარე ხის ფესვთა სისტემის შესწავლა. მეორე მხრივ, მუხრანის ველი მეხილეობის ერთ-ერთი ძირითადი ზონაა საქართველოში ძლიერ გავრცელებული ნიადაგური სახესხვაობით და მესამეც, ასეთი დიდი მოცულობის სამუშაოს ჩატარება სხვაგან შეუძლებელი თუ არა მეტად მოუხერხებელი იქნებოდა.

გაყვებულმა ნიადაგურმა ჰრილმა (მუხრანი, ცენტრალური ტერიტორია, სასახლის პარკის მარცხნივ, სუსტად დახრილი ვაკე, კაკლის ბაღი), გვიჩვენა შემდეგი გენეზისური პორიზონტები (სმ):

მაღალმთის მუხა — *Quercus macranthera* F. et M.  
 ნაყოფი მოკლევუნწიანია ან მკდომარე, მავრამ გვხვდება ფორმები: **მტკიცეწლი**  
 გორც გამონაკლისი 3—4 სმ სიგრძის ნაყოფის ყუნწებით (სურ. 6). **ბუნებრივი მუხა**  
 შესამჩნევად ცვალებადობს როგორც ადგილსამყოფელის კლიმატურ და ნიადა-



სურ. 6.

გობრივ პირობებთან დაკავშირებით, ისე გარემოს მიკროფართობების  
 პირობებში. რკო ტიპურ შემთხვევაში საშუალოდ 2,1 სმ სიგრძისა და  
 1,3 სმ დიამეტრისაა, მავრამ ზოგიერთ ფორმაში იგი მეტ-ნაკლები სიგრძისა და  
 დიამეტრისაა (ცხრ. 3).

ცხრილი 3


მაღალმთის მუხის რკოს ცვალებადობა სიდიდესი

რკოს შერჩევების ადგილი	მაღალმთის მუხის ფორმები (ნაყოფის სიხსნოს მიხედვით)	რკოს სიგრძე და დიამეტრი (სმ-ობით)					
		მაქაშალური		საშუალო		მინიმალური	
		L	D	L	D	L	D
ნანგლისის სატყეო 1400 მ. ზ. დ. მტკნარი რკილის მცირე შრევილი.	მზვილნაყოფა	3,0	1,8	2,5	1,6	2,1	1,2
სიხმ. საშუალო ექსპ. სამხრ. დახა. და. მ-1ა	საშ. სიხსნ. ნაყოფა	2,4	1,5	2,0	1,3	1,7	1,1
	წვრილნაყოფა	2,2	1,3	1,9	1,1	1,6	0,9
	სამიჯეს ვაშის საშუალო	2,5	1,5	2,1	1,3	1,8	1,1



როგორც მესამე ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ირკვევა მალაღმთის მუხის რკო სიდიდეში ცვალებადობს ერთსა და იმავე ადრე მწიფე პირობებში და ამ ნიშნის მიხედვით ლაგდება 3 ძირითად ზედაპირულ ნაყოფიანები, საშუალო სიმსხოსი და წვრილნაყოფიანები. ნაყოფის დიამეტრი საშუალოდ უდრის — მსვილნაყოფიანისა — 1,6 სმ, საშუალო სიმსხოს ნაყოფიანისა — 1,3 სმ, ხოლო წვრილნაყოფიანისა — 1,1 სმ. რკოს სიგრძე შესაბამისად ტოლია — 2,5 სმ, 2,1 სმ, 1,8 სმ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ რკო ზომებთან ერთად, მოყვანილობითაც ცვალებადია. მალაღმთის მუხის რკო მოყვანილობის მიხედვით შეიძლება დაეყოთ: კვერცხისებრ-განიერფუძიანი, კასრისებრი, კვერცხისებრი, წაგრძელებული — წვერში წაწვეტილი (სურ. 7).



სურ. 7.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ მალაღმთის მუხაში აშკარად შეიმჩნევა მრავალნაყოფიანი (გუფურკოიანი) ფორმები, სადაც ფილა რკოს უმეტეს ნაწილს ფარავს და ზოგჯერ თითქმის წვერომდეა რკო ფილაში ჩამჯდარი (მანგლისი, გონხარი).


Я. А. АБАШИДЗЕ, Г. Г. ГАВАШЕЛИ

#### МОРФОЛОГИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ ПЛОДОВ НЕКОТОРЫХ ВИДОВ ДУБА

##### Резюме

В результате изучения морфологических особенностей плодов некоторых видов дуба получены следующие результаты.

Виды дуба, которые занимают определенные ареалы, в разных условиях окружающей среды, по величине желудей представлены различными формами.



Плоды длинноножкового дуба (*Q. longipes* Stev) характеризуются длинными плодоножками, а желуди продольными полосами. Желуди имеют в среднем 2,8 см длину и 1,4 см диаметр; бывают формы более короткими желудями. По величине желудей, этот вид дуба имеет три следующие основные формы: крупноплодную, средней величины и мелкоплодную. Наряду с этим, желуди указанного вида характеризуются различной расцветкой и формой; при чем по форме встречаются желуди продолговатые и длинные, а по цвету — каштановые, темнокаштановые и темнотабачные.

Желуди грузинского дуба (*Q. iberica* Stev.) с гладкой поверхностью, помещаются на коротких плодоножках, или же почти сидячие. Длина желудей в среднем 2,5 см, а диаметр — 1,5 см; при чем по величине плодов встречаются формы: крупноплодная, мелкоплодная и с плодами средней величины. По форме плодов его можно разделить на 4 группы: продолговатыми, яйцевидными, бочкообразными и бутылочной. Несмотря на то, что по цвету плодов резких различий нет, все же можно различить их следующие цвета: каштановый, краснобурый и темнотабачный.

Восточный, высокогорный дуб (*Q. maerantha* F. et M.) имеет гладкие желуди и плоды с очень короткой плодоножкой или сидячие. Как исключение встречаются формы с плодоножкой до 3—4 см (Манглиси). По величине желудей этот вид весьма разнообразен, образует формы: крупноплодная, мелкоплодная и форма со средними плодами; а по форме этих плодов (желудей) встречаем: продолговатые с заостренными верхушками, яйцевидные, яйцевидные с расширенным основанием и бочкообразные формы.

ლიტერატურა

1. ი. აბაშიძე — დენდროლოგია II ნაწ., თბ., 1962.
2. ბ. ანდრონიკაშვილი — ახალი მასალები ქართული მუხის ფორმებისა და ნაყოფმსმოიარობის შესახებ. თბ. ბოტ. ბაღის მოამბე, 1957.
3. В. Матикашвили — Дендрофлора Кавказа, т. II, Тб., 1961.
4. А. Бондарцев — Шкала цветов, М., Л., 1954.
5. А. Гроссгейм — Определитель растений Кавказа, М.; 1949.
6. В. Малеев — Обзор дубов Кавказа в их систематических и географических отношениях и в связи с эволюцией группы — *Робур. Бот. ж. СССР*, т. 20, № 2 и 3, 1935.







ა. ბაროზაშვილი

თეთრი აკაციის სეზონური ზრდა-განვითარების ზოგიერთი მონაცემი

თეთრი აკაციის სეზონური ზრდა-განვითარების საკითხები არაერთ ავტორს აქვს შესწავლილი. საქართველოში გაშენებული თეთრი აკაციის კულტურაზე ამ მხრივ სპეციალური მუშაობა არ ჩატარებულა.

ამ ჯიშის სეზონური ზრდა-განვითარების ზოგიერთი საკითხის შესწავლა ჩავატარეთ ძირითადად 1959—1963 წწ. აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილას ჭკუფურად გაშენებულ ნარგაბაში. დაკვირვების პირველი პუნქტი (ორთაქალის სატყეო) მდებარეობს ქ. თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზოლო მეორე პუნქტის ძირითადი ადგილები — თბილისიდან ჩრდილო დასავლეთით 4—6 კმ დაცილებით. ნარგაობა გაშენებულია ურწყავ თიხნარებზე. ხნოვანება 22—25 წ. ფენოლოგიური დაკვირვება წარმოებდა ათ ხეზე, რომელთა საშ. სიმაღლე შეადგენდა 5,5—7,0 მ, დიამეტრი — 16—25 სმ.

ფენოლოგიურ ფაზებზე დაკვირვების შედეგების მიხედვით თეთრი აკაციის ვეგეტაციის დასაწყისია 5/IV, ფოთოლცვენის დამთავრების თარიღი — 30/X. სპეციალური პერიოდის ხანგრძლივობა აღნიშნულ პირობებში შეადგენს 208 დღეს.

ამ ჯიშის ჩვეულებრივი სრული ყვავილობის დამთავრების შემდეგ ზოგჯერ, ცალკეულ ხეზე შეიმჩნევა განმეორებითი (მეორადი) ყვავილობა (1959, 1960, 1963 წწ.).

აღნიშნულის გარდა, თეთრი აკაციის ცალკეულ ხეზე ზოგჯერ შეიმჩნევა ყვავილობის გაგრძელება (უწყვეტი ყვავილობა), რაც იმით განირჩევა, რომ ჩვეულებრივი (გაზაფხულის) ყვავილობის დამთავრების შემდეგ, დაყვავილებულ ყლორტზე ხელმეორედ წარმოიქმნება ახალი საყვავილე კვირტები, რომელთა გაშლისა და ახალი ყვავილობის შემდეგ კვლავ წარმოიქმნება ახალი კვირტები და ა. შ. ასეთი ყვავილობა მეტ შემთხვევაში გრძელდება ივლისის მეორე ნახევრამდე. ასეთი უწყვეტი ყვავილობა თუ თეთრი აკაციისათვის სპორადული ხასიათისაა, სხვა ზოგიერთი ჯიშისათვის ეს დამახასიათებელია *Spartium junceum* L., *Wistaria chinensis* (Sims.) Sweet., *Cesalpinia Gilliesii* Woll და სხვ.

ცალკეული ხის სახით ვხვდებით აგრეთვე გვიან მოყვავილე ეგზემპლარებს, ისინი ყვავილობას ამთავრებენ ძირითადად ივნისის მეორე ნახევარში.



ასეთი ხეებიდან აღებული თესლის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მათი აბსოლუტური წონა შეადგენდა 21,4 გ. გალიეების ენერგია 74,0% ხოლო ტექნიკური გალიეება 75,0%-ის, გვხვდება თეთრი აკაციის ისეთი მერქნიანი ჯიშებიც, რომლებიც ძალიან სუსტად მსხმოიარობენ, ზოგი კი ყვავილობენ და მათი ნაყოფების წილი უაღრესად დაბალია.

ნაყოფთა გამონასკვის ხარისხის განმსაზღვრელი საყოველთაოდ მიღებული მეთოდი საქმოდ ძნელი გამოსაყენებელია თეთრი აკაციის მიმართ; ამ მეთოდის გამოყენებისას (ყვავილედში ყვავილების გადათელა და ა. შ.) ვაწყდებით სიძნელეს, რის შედეგადაც, მეორე მხრივ, გამონასკვის ხარისხის განმსაზღვრელი მონაცემები მოკლებული იქნებოდა სიზუსტეს. ამის გამო, თეთრი აკაციის ნაყოფთა გამონასკვის ხარისხს ჩვენ ვადგენთ შემდეგნაირად: როგორც ცნობილია, დაყვავილებისას და ამასთან ყვავილების ნაწილების — აფრის, ნავისა და სხვათა ჩამოცვენის შემდეგ ყვავილედის ღერძზე რჩება აბალგაზრდა, ჯერ კიდევ მწვანე ნაყოფები — პარკები, მაგრამ ამ ნაყოფების გარდა ყვავილედის ღერძზე რჩება აგრეთვე ნაადრევი კვალი იმ ყვავილების ყუნწებისა, რომლებიც როგორც განუვითარებლები, სხვა ნაწილებთან ერთად გასმენენ და დაყვავილების შემდეგ ჩამოცვივდნენ. ცხადია, ასეთი ყვავილების ნაადგილეების რიცხვისა და ღერძზე შერჩენილი ნორმალური ნაყოფების რიცხვის ჯამი შეადგენს ყვავილების იმ საერთო რიცხვს, რაც ხის სრული ყვავილობისას თავმოყრილი იყო ღერძზე ყვავილედის სახით.

ყვავილების ამ საერთო რიცხვისა და ღერძზე დარჩენილი ნაყოფების რიცხვის საშუალებით ადვილად შეიძლება განისაზღვროს ნაყოფების ოდენობა %-ობით (ყვავილების საერთო რაოდენობიდან), ე. ი. სწორედ ნაყოფთა გამონასკვის ხარისხი. მაშინ ნაყოფთა გამონასკვის ხარისხი შეიძლება განისაზღვროს ფორმულით:

$$C = \frac{N \cdot 100}{N + n}, \quad \text{სადაც}$$


- C არის ნაყოფთა გამონასკვის ხარისხი (%);
- N — ყვავილედის ღერძზე შერჩენილი ნაყოფები (ც-ობით);
- n — ჩამოცვივნილ ყვავილთა რიცხვი (ც-ობით).

დართული სქემის მიხედვით, მაგალითად,  $C = \frac{7 \cdot 100}{16} = 44\%$ .

თეთრი აკაციის გარდა, აღწერილი მარტივი მეთოდით წარმატებით შეიძლება განისაზღვროს ნაყოფთა გამონასკვის ხარისხი ისეთი მერქნიანი ჯიშებისა, როგორიც არის მაგ., *Albizia julibrissin Durazz*, *Sophora japonica L.* და სხვ.

ამ მეთოდის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ისიც, რომ დაკვირვების ჩატარება ყვავილობის ფაზიდან და შემდეგ პერიოდში საჭირო აღარ არის: იგი შეიძლება გამოყენებული იყოს ყოველ დროს ნაყოფების წარმოქმნიდან, მათი ჩამოცვენის დაწყებამდე.

**თესლის სიმწიფე.** არსებული ლიტერატურის მიხედვით [6, 9, 10] თეთრი აკაციის თესლი მწიფდება შემოდგომით, სახელდობრ ოქტომბერში, ხოლო



სურ. 1.

თესლის სრული სიმწიფის გარეგნულ ნიშნად არსებული, ცნობარით მიჩნეულია ნაყოფის გამუქება.

დამწიფების აღნიშნული ვადის დასაზუსტებლად და შესამოწმებლად ჩვენ ჩაატარეთ 1965—1966 წლების საეკოლოგიური პერიოდებში ორთაქალის სატყეოში აღებული თესლის ლაბორატორიული შემოწმება, რის შედეგადაც გამოირკვა, რომ აღნიშნულ პირობებში თეთრი აკაციის თესლი თავის სრულ სიმწიფეს აღწევს არა ოქტომბერში, არამედ აგვისტოს პირველ ნახევარში, ხოლო თესლის სიმწიფის უტყუარ გარეგნულ ნიშნად უნდა იქნეს მიჩნეული ნაყოფების არა გამუქება (რაც საქართველოს პირობებში მთავრდება ნოემბერში), არამედ უბრალოდ, პარკების გახშობა (რაც საქართველოში ძირითადად მთავრდება აგვისტოში).



ამ ჯიშის თესლის აღმოცენების უნარის შენარჩუნების ვადის შენარჩუნებაში კულტურაში გავრცელებულია სხვადასხვა აზრი. ზოგ აცხადებენ, რომ ამ ჯიშის თესლი აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 2, 3, 4 წელს (მთელი კულტურა 4—5 წ. (ა. უგლიცხი—1927) და სხვ. ხ. ისახენკო (1947) აღმოცენების პერმეტულად დახურულ კუბურში ეს თესლი ინარჩუნებს აღმოცენების უნარს 5—6 წელს, დ. მინინი კი (1962) ასეთ ვადად მიიჩნევს 7—10 წელს.

ტყის კულტურებისა და სატყეო მელორაციის კათედრაზე ამჟამად ინახება 40-მდე სხვადასხვა მერქნიანი ჯიშის თესლი, შეგროვილი 1940 და 1941 წლებში. ეს თესლები ინახება, უბრალოდ, ქაღალდის პარკებში, ე. ი. არ არის დაკული ტყის ჯიშთა თესლების შენახვის ცნობილი პირობები და წესები.

1965 წელს ჩვენ შევამოწმეთ ლაბორატორიულად ამ თესლების ნაწილი (თესლები შემოწმდა მათი სკარიფიკაციისა და წყალში 24 საათით დაღობვის შემდეგ). შედეგები მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

ჯიშის დასახელება	ანსოლტურა წონა (გ)	ვალივების ვერცხვა (%)	ტენი კვრი-ლოცხება (%)
<i>Robinia pseudacacia</i> L.	20,5	71	85
<i>Gleditsia maeracantha</i> Desf.	528,0	—	70
<i>Sophora japonica</i> L.	118,0	—	80

ამ მონაცემების მიხედვით მაგ., თეთრი აკაციის თესლი არსებული სტანდარტით მიეკუთვნება პირველ კლასს. მეორე მხრივ, ეს იმაზე მიუთითებს, რომ თეთრი აკაციის თესლი სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს 25 წელზე ნეტს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არ ჩაითვლება მისი აღმოცენების უნარის შენარჩუნების წღერულ ვადად. იგივე ითქმის გლედიჩიისა და იაპონური სოფორას თესლებზედაც.

ღეროსი, გვერდითა ყლორტებისა და ძირკვის ამონაყარის სეზონური ზრდა. ხის აღნიშნულ ნაწილებზე აზომვებს ვაწარმოებდით კვირტის დაბერვის მომენტიდან მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში (1956 და 1960 წწ.). ზეგების დიამეტრის ვარშემოწერილობის შემატების აზომვა ტარდებოდა ექვს ცალ ხეზე 1,3 მ-ის სიმაღლეზე, დანარჩენი ნაწილებსა 10—10 ვგზემპლარზე.

ანაზომებით მიღებული საშუალო ციფრობრივი მონაცემების მიხედვით თეთრი აკაციის ხის ზრდა სიმსხოში სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს თანაბრად; თავისი წლიური შემატების 90—95%-ს აღწევს სექტემბრის ბოლო რიცხვებში და მისი ზრდა წყდება ოქტომბრის პირველ ნახევარში, ე. ი. კვირტების გასხნის მომენტიდან 160—165 დღეზე.

გვერდითა ყლორტების ზრდის კულმინაცია დგება სავეგეტაციო პერიოდის დასაწყისში (ივნისის პირველ რიცხვებში). 50—60 დღეზე იგი უკვე იძლევა თავისი წლიური შემატების 90%-ს. ამის შემდეგ ზრდა გრძელდება შე-

დარებით თანაბრად და წყდება 170—180 დღეზე (ოქტომბრის პირველ ნახევარში). ამრიგად, გვერდითა ულორტის ზრდა იწყება ხის შეფოთვლასთან ერთად და მთავრდება ფოთოლცვენის დაწყების პერიოდში (გასუფრის დასრულების ულორტის სიგრძეში ზრდა ერთ სვეტეცაციო პერიოდში ჩვენ მიერ აღწერილი არ არის).

საკმაოდ ინტენსიური ზრდით ხასიათდება ძირკვის ამონაყარი, განსაკუთრებით სვეტეცაციო პერიოდის პირველ ნახევარში; იენისის პირველი ნახევრიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე (ე. ი. 80 დღის განმავლობაში) იგი უკვე იძლევა თავისი წლიური შემატების 70%-ზე მეტს, ხოლო 120-ე დღეზე (ე. ი. აგვისტოს ბოლოს) 90%-ზე მეტს. მისი სეზონური ზრდა გრძელდება 180—185 დღეს.

А. БЕРОЗАШВИЛИ

### НЕКОТОРЫЕ ДАННЫЕ СЕЗОННОГО РОСТА И РАЗВИТИЯ БЕЛОЙ АКАЦИИ

#### Резюме

Средняя длительность вегетационного периода белой акации в окрестностях г. Тбилиси составляет: с учетом срока листопада 183 — дня, а с учетом срока окончания листопада 208 дней.

Рост боковых побегов начинается в начале второй половины апреля, до 90% годового прироста они достигают в первых числах июня (на 50—60 день), их рост прекращается на 170—180 день (в первых числах октября). Пневая поросль более 90% годового прироста дает в конце августа (на 130 день), рост ее прекращается на 190—200 день (в конце октября). Рост по толщине ствола протекает более равномерно, до 96% прироста достигает в конце сентября, а рост прекращается в первой половине октября (на 160—165 день). В процессе листопада наблюдается некоторое уменьшение окружности ствола.

Степень завязывания плодов белой акации может быть определена формулой:  $C = \frac{N \cdot 10^0}{N + n}$ , где N — количество плодов на стержне соцветия (шт), n — количество следов цветоножек на стержне. Полную зрелость семена приобретают в первой половине августа, внешним признаком их зрелости — высыхание бобов. Семена без соблюдения особых условий хранения сохраняют жизнеспособность более 25 лет (их абсолютный вес составляет 20,5 г энергия прорастания 71%, а техническая всхожесть 85%) и означенный срок не следует считать предельным.

## Литература



1. А. Берозашвили — О различных свойствах некоторых лиственных и кустарниковых пород. ж. «Лесное хозяйство», 3, 1968.
  2. А. Берозашвили — К вопросу о созревании семян белой акации. Лесной журнал, 2, 1968.
  3. Н. Н. Галахов — Вторичное цветение растений. ж. «Природа», 1, 1937.
  4. Г. А. Гончаренко — Повторное цветение дуба обыкновенного (*Quercus robur* L.) Реф. ж. Лесоведение и лесоводство 14, 1957.
  5. В. Гримпльский — Белая акация в степном лесоразведении Украинской ССР. Гос. издат. с.-х. литературы, Киев, 1957.
  6. Х. М. Исаченко — Лесоводственные свойства главных и сопутствующих пород для создания государственных полевых защитных полос. Гослесбумиздат, М.-Л., 1949.
  7. А. С. Мещенко — Акация белая в среднем течении АМУ-Дарьи. Труды инст-а земледелия, 1957.
  8. И. В. Мичурин — Избранные сочинения. 1948.
  9. А. Н. Углицких — Лесные и декоративные деревья и кустарники. Изд. «Мысль», Л., 1927.
  10. Ф. Харитонович — Сезонный рост древесных пород в насаждениях Велико-Анадольского леса. ж. Лесоведение и лесоводство, 11, 1955.
  11. Изучение в течение вегетационного периода динамики радиального роста у древостоев белой акации. ж. Лесоведение и лесоводство, 1, 1963.
-



ს. შახაძე

აღმოსავლეთ საქართველოს შოის წითელწარების აღმავლობის  
ფორმების საქითაი

აღმოსავლეთის წიფლის კორუმების თავისებურებათა შესწავლა, მათი აღნაგობისა და განვითარების კანონზომიერების გავლენა ხელს შეუწყობს მათში მეურნეობის სწორად წარმართვას.

დღემდე ტყემომწყობის დროს ჩატარებული წიფლის ტყეების ტაქსაცია ძირითადად სინთეზური ბერხით წარმოებს და არ ასახავს კორუმების ხნოვანების სტრუქტურის თავისებურებას, არ ახდენს ხნოვანების გამოყოფას ცალკეულ თაობებად.

სატაქსაციო აღწერებით შოის სატყეო მეურნეობის წიფლნარების მხოლოდ შედარებით მცირე ნაწილი ეკუთვნის ერთხნოვან კორუმებს, მეტი ნაწილი კი ნაირხნოვანს; ეს უკანასკნელი პრაქტიკულად აღნიშნება ფრჩხილებში ხნოვანების შერყუობის ფარგლებში წევნებით.

საკვარტალო გამოწყოფების სატაქსაციო აღწერის მასალა ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაპროექტებისათვის. ნაირხნოვანი კორუმის სინთეზური ფორმულა არ იძლევა ყოველთვის სწორ წარმოდევნას შოის აღნაგობასა და ხნოვანების სტრუქტურაზე, რის გამოც, ცხადია, მეტ-ნაკლები შეცდომებით ისაზღვრება ტყის ელემენტების მარცენებლები.

გვება რა ერთხნოვანი და ნაირხნოვანი კორუმების ინვენტარიზაციის მეთოდებს, პ. უშატინი (1961, 1962) იმომებს პროფ. მ. ორლოვს და წერს, რომ „ნაირხნოვანი კორუმების ტაქსაცია უნდა განსხვავდებოდეს ერთხნოვანი კორუმების ტაქსაციის მეთოდებისაგან“. ის აღნიშნავს, რომ ნაირხნოვანი კორუმები აღწერისას აუცილებლად უნდა დაყონ ახალგანზრდა, მომწიფარ და მწიფე (უდაბერებულ) ნაწილებად. ყველა ამ ნაწილისათვის რომელიმე საერთო საშუალო სატაქსაციო ნიშანი წარმოადგენს უსარგებლო არითმეტიკულ გამოანგარიშებას, რომელიც სინამდვილეს არ შეესატყვისება. ასეთივე აზრის არიან ი. ნაუმენკო, ლ. ბიციანი, ე. კარლინი (1958), რომლებიც აღნიშნავენ, რომ „ნაირხნოვანი კორუმებისათვის ერთიანი საშუალო სიდიდის განსაზღვრას არ აქვს არც თეორიული და არც პრაქტიკული მნიშვნელობა“.



3. უშატინის (1961, 1962) მიხედვით „ნაირხნოვანი კორომის ხნოვანობით აღნაგობის სტრუქტურა არ შეიძლება ამოიხსნას ჩვეულებრივი მეთოდით, რაც ტყის ტაქსაციაში ერთხნოვანი კორომებისათვისაა მიღებული. ვენეს ვაქო, რომ აქ ერთი სისქის საფეხურში შეიძლება სხვადასხვა ხნოვანების სახეობების ნობისა და შემატების ხეები გვქონდეს“.

კორომის ტაქსაციის ჩატარებისას უნდა განისაზღვროს ტყის თითოეული ელემენტის მაჩვენებლები. ამასთანავე საჭიროა ნაირხნოვანი კორომის ამოღებულ ნაწილში ხეთა სიმსხოს საფეხურებისა და სიმაღლეთა შორის კანონზომიერებათა გათვალისწინებაც. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ადრე ვეიზეს (1880), ვიგენაუერის (1918), ტრეტიაკოვის (1927), ტიურინის (1945) და სხვათა მიერ იყო ერთხნოვანი კორომებისათვის დადგენილი, რაც განსაკუთრებით მათთვისაა დამახასიათებელი, ი. ნაუმენკოს, ლ. ბიცინის, ვ. კარლინის (1958) მიხედვით „ნაირხნოვან წიფლნარებში ხეთა სიმსხოს საფეხურებისა და სიმაღლეების მიხედვით განაწილების ის კანონზომიერება, რაც ერთხნოვანი კორომებისათვისაა დამახასიათებელი, არ შეინიშნება“. ეს დებულება ჩვენი გამოკვლევებითაც იქნა დადასტურებული. ანალოგიურ დასკვნამდე მივიდნენ ვ. გომელაური (1949) ლაგოდების წიფლნარების შესწავლისას და ა. კაპანაძე (1963) დასავლეთ საქართველოს ნაირხნოვანი წიფლნარების შესწავლის დროს, მაშასადამე, ნაირხნოვან წიფლნარებში შესატყვისი მთავარი სარგებლობის, მოვლითი ჭრების და სხვა სამეურნეო ღონისძიებების დასახვის მიზნით, საჭიროა ანალიზური ტაქსაციის წარმოება. აღნიშნული მეთოდით წიფლის კორომის ტაქსაციისას, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უნდა მოხდეს იარუსებად (თუ ასეთი არის) დაყოფა და იარუსებში ხნოვანების თაობების მიხედვით დიდერენციაცია, ერთი სიტყვით, კორომი მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან ნაწილებად უნდა დაიყოს. თაობებში ხნოვანებათა შორის განსხვავება მინიმუმ ორ-სამ კლასს უნდა უდრიდეს.

ჩვენ მიერ აღებული სანიმუშო ფართობებისა და საპროექტო მასალების მონაცემების ურთიერთშედარებისას გამოვლინებულია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს წიფლნარების მნიშვნელოვანი ნაწილი ფორმით რთული და ნაირხნოვანია. აღნიშნულის ნათელსაყოფად მოყვანილი გვაქვს შედარების რამოდენიმე მაგალითი ნაირხნოვანი წიფლნარების სატაქსაციო აღწერებ-სა სინთეზურად ტყეთმომწყობით და პარალელურად ჩვენ მიერ აღებულ სანიმუშო ფართობებზე ანალიზური მეთოდით. ნაირხნოვანი წიფლის კორომის სატაქსაციო დახასიათების (1 პა-ზე) მონაცემების დახასიათება ასე გამოიყურება (ცხრ. 1).

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ თითოეულ კორომში მის ნაწილებს შორის ხნოვანების ამპლიტუდა 3—6 კლასს შეადგენს.

რთული კორომის იარუსებად დანაწილება პრაქტიკაში ტექნიკურად შესაძლებელი აღმოჩნდა.


ი. ნაუმენკოს (1956) და სხვებს ჩრდილოეთ კავკასიის წიფლნარებში გამოყოფილი აქვთ აგრეთვე ორი იარუსი. წიფლნარებში III იარუსის გამოყოფა მიზანშეწონილად არ მივიჩნევთ, მარავის სიმციროს (1—7%—მდე მთელი მარავიდან) გამო, თუმცა ხეთა რაოდენობა მნიშვნელოვანია. ასეთი შეხედულება გამართლებულია მ. ორლოვის (1924), ნ. ანუჩინის (1962) და სხვათა მიერ.



Կենտրոնի անունը	Վարչական շրջան	Քմիս Ա	Վարչական շրջան	Կենտրոնի անունը					Կենտրոնի անունը					
				Վարչական շրջան	ԿՄ, Ի ԵՄ Ա	Կենտրոն	Կենտրոն	Կենտրոն	Վարչական շրջան	ԿՄ, Ի ԵՄ Ա	Կենտրոն	Կենտրոն	Կենտրոն	
														Կենտրոն
Կենտրոն 1	56	4	1	10 ԳՊ. 150 (110-190)	26 40	III	0,50	280	I II	10 ԳՊ. 140 10 ԳՊ. 90	26 28	III	0,52 0,35	240 120
Կենտրոն 2	25	3	1	10 ԳՊ. + ԿԿ. 110(20-120)	24 40	III	0,50	200	I II	10 ԳՊ. 200 10 ԳՊ. ԿԿ. 1-0,60	20 20	III III	0,37 0,20	180 80
Կենտրոն 3	36	6	1	10 ԳՊ. + ԿԿ. 110 (50-140)	24 34	III	0,60	240	I II	10 ԳՊ. 75 10 ԿԿ. 120 ԿԿ. 80	17 26 29	III III	0,22 0,24	120 80
Կենտրոն 4	69	6	1	10 ԳՊ. + ԿԿ. 120 (110-190)	26 40	III	0,40	340	I II	10 ԳՊ. 110 10 ԳՊ. 50, ԿԿ. 80, ԵՄ 50	27 50 18 20	III III	0,57 0,26	280 50
Կենտրոն 5	82	2	1	10 ԳՊ. + ԿԿ. 190 (150-270)	26 44	III	0,70	300	I II	10 ԳՊ. 190 10 ԳՊ. 110	26 14 22	III III	0,30 0,31	160 120
Կենտրոն 6	35	2	1	9 ԳՊ. 1 ԿԿ. 120 (50-130)	23 40	III	0,60	240	I II	10 ԳՊ. 180 6 ԳՊ. 80 4 ԿԿ. 70	26 52 18	III III	0,23 0,21	110 82
Կենտրոն 7	108	5	1	9 ԳՊ. 1 ԿԿ. 120 (10-120)	22 52	III	0,50	180	I II	10 ԳՊ. 170 7 ԳՊ. 00 3 ԿԿ. 80	27 51 20	III III	0,40 0,33	183 121
Կենտրոն 8	44	3	1	10 ԳՊ. 120 (0-150)	27 44	III	0,30	120	I II	10 ԳՊ. 160 7 ԳՊ. 80 3 ԿԿ. 70	27 37 20 20	III III	0,40 0,41	224 131

ՀԱՅԿԱՆՍՏԱՆԻ ԿՄԻՏԵ





ამასთან დაკავშირებით კორომის ის ნაწილი; რომელიც II იარუსის ქვე-  
მოთაა, მოხარდშია ჩათვლილი.

როგორც I, ისე II იარუსში მხოლოდ თითო თაობა აღმოჩნდა, II სართულში თაობის გამოყოფა, როგორც ეს ტყეთმოწყობის ინსტრუქცი-  
თაა (ნაწ. 1, § 213, 1964) გათვალისწინებული, ჩვენი წიფლნარებისათვის გაუ-  
მართლებლად უნდა ჩათვალოს. უმცირეს კვადრატთა მეთოდით დამუშავე-  
ბისათვის შერჩეული და გამოყოფილი იქნა დაახლოებით თანაბარი სიდიდის  
უბნების სანიმუშო ფართობების სატაქსაციო მაჩვენებლები.

სანიმუშო ფართობების დამუშავების შედეგად ირკვევა შემდეგი: I —  
იარუსში მარაგი მერყეობს მთლიან მარაგთან შედარებით 49—80% რაოდენ-  
ობით. ამ იარუსის მარაგის ვარიაციის კოეფიციენტი —  $C=16,6\%$ , ხოლო  
ხნოვანების ვარიაციის კოეფიციენტი  $C=10,7\%$ . კორომის I იარუსის ხეების  
მაქსიმალური დიამეტრი იარუსში საშუალო დიამეტრზე 1,5—2-ჯერ მეტია,  
II — იარუსში 1,7—2,4-ჯერ.

ცხრილი 2  
ზოგიერთი სატაქსაციო ნიშნის სტატისტიკური სიდიდეები ნაირხნოვან  
წიფლნარების I იარუსში

დაკვირვებ- ათი რიცხვი (30)	მ ა რ ა გ ი				ხ ნ ო ვ ა ნ ე ბ ა			
	საშ. კვ. ვალანსა $\pm \sigma$	საშ. ცდო- მილ. $\pm m$	კვლევის სიზუსტე p %	ვარ. კოეფ. C %	საშ. კვ. ვალ. $\pm \sigma$	საშუალო ცდომილე- ბა $\pm m$	კვლევის სიზუსტე p %	ვარიაციის კოეფიცი- ენტი C %
27	31	5,96	3,14	16,6	19,4	3,6	2,0	10,7

კორომის აღნაგობის შესწავლისათვის ჩვენ გამოვიყენეთ აგრეთვე საფუძ-  
ველი, რომელიც დიამეტრის და სიმაღლეს შორის კანონზომიერ კავშირს გა-  
მოხატავს; მხოლოდ სართულის ფარგლებში, განსაკუთრებით კი გაბატონე-  
ბული იარუსებისათვის რადგან იგი, როგორც ამას ვ. მირზაშვილი (1960) მიუ-  
თითებს, ერთხნოვანი წმინდა კორომების სიმაღლეს და დიამეტრს შორის კან-  
ონზომიერი დამოკიდებულების ანალოგიურია.

მოყვანილი მაგალითები იმას მოწმობს, რომ სატაქსაციო აღწერების შესა-  
ბამისად ზემოაღნიშნული კორომები ნამდვილად ნაირსახოვანია. ამიტომ ინ-  
ტენსიური მეურნეობის პირობებში სინთეზურად აღწერილობა არ მოგვეცემს  
ცალკეული ფორმის სწორ დახასიათებას; უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ ანალი-  
ზური ტაქსაციის მეთოდი, რომლის შემდეგ უკეთესი პირობები იქმნება ტექ-  
ნიკური დაპროექტების გაუმჯობესებისათვის.

## Резюме

Возрасты строения и структура буковых насаждений имеют важное значение для проектирования лесохозяйственного производства.

Изучение особенностей возрастного строения буковых насаждений производилось на основе материалов, заложенных пробных площадей и данных модельных деревьев. Модели брались в основном в ясно выраженных сложных формах буковых насаждений, представляющих, преимущественно, двухярусные древостои.

Закономерность связи между таксационными признаками деревьев, установленная еще Вейзе (1880), Вимменауером (1890), Тюриным (1945), Третьяковым (1927) и многими другими исследователями, прослеживается в отдельных ярусах, каждый из которых чаще состоит из одного поколения. Возрасты поколений имеют колебания в пределах трех-шести классов возраста.

Буковые насаждения горных лесхозов Восточной Грузии, описанные лесоустройством синтетически с отметкой в скобках колебания возрастов, например, VI кл. — 110 (90—150), IX кл. — 170 (130—210) или X кл. — 190 (150—230) и т. д., конечно, неправильно отнесены к одновозрастным насаждениям. Это приводит к ошибкам, сводящимся к искажениям фактических показателей полноты, прироста и других признаков насаждения.

Разновозрастность буковых насаждений подтверждается исследованиями последних лет: П. Н. Ушатина (1961, 1962), И. М. Науменко (1956, 1957), И. М. Науменко, А. В. Бицини, В. О. Карлина (1958), А. Д. Капанадзе (1963) и другие.

При дифференциации буковых насаждений на ярусы было выявлено следующее: по составу — в I ярусе, главным образом, имеются чистые бучины, II ярус представлен буком, иногда с примесью других пород. Выделение III яруса, содержащего весьма незначительный запас (до 7%), нами было признано целесообразным. Исследования показали, что в пределах яруса древостои либо одновозрастные, либо условно одновозрастные. В I ярусе запас составляет 49—80% всего древостоя. Здесь коэффициент изменчивости запаса  $C = 16,6\%$ , возраста  $C = 10,7\%$ .

Исследования показали, что изменчивость таксационного показателя зависящая от степени однородности букового древостоя (или его части) тем выше, где и неоднородность выше.

## შეჯამება

1. ახმეტის სატყვეო მეურნეობის ორგანიზაციის და განვითარების პროექტის, 1964.



2. ვ. გ. ზომელაური — ხელუხლებელი წიფლნარების სტრუქტურა და მათი განვითარების დინამიკა ლაგოდეხის ნაკრძალში, სადისერტაციო შრომა, თბ., 1949.
3. თიანეთის სატყეო-მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტი, 1950—51.
4. ვ. შირვაშვილი — სატყეო ტექსაცია, გამომც. „ცოდნა“, თბ., 1960.
5. Н. П. Анучин — Лесоустройство. М., 1962.
6. Инструкция по устройству государственного лесного фонда СССР, часть 1, 1964.
7. А. Д. Капанадзе — Распространение числа стволов буковых древостоев Грузии по ступеням толщины. Жрн. Лесное хозяйство, № 10, 1963.
8. И. М. Науменко — Возрастная структура, строение, состояние и ход роста старовозрастных буковых насаждений Центральной части Северного Кавказа. Труды Института леса, т. VI, Изд-во АН Грузинской ССР Тб., 1956.
9. И. М. Науменко, А. В. Бицини, В. Р. Карлини — Состояние, возрастная структура и производительность старовозрастных буковых насаждений Северного Кавказа. Жрн. Лесное хозяйство, № 1, 1958.
10. П. Н. Ушатин — Лесоустройство разновозрастного леса. Жрн. Лесное хозяйство, № 6, 1961.



მ. ტაბიშვილი

ზოგადი ფოთლოვანი ჯიშის მარცხენა მიღებული მოსავლიანობის  
(ნარაინი) ფანერის გაჯირჯების საკითხისათვის

ცნობილია, რომ ნარაინი ფანერი მხოლოდ ხარისხოვანი ავეჯის, პანელებისა და ზოგიერთი დეკორაციული დეტალის მოსაპირკეთებლად გამოიყენება ფანერის ფურცელს დაწებებისა და დაწნება-მოლესვის წინ, გასწორების მიზნით ატენიანებენ, რის გამოც ფურცელი ზომებში იმატებს ბოჭკოებისადმი პერპენდიკულარული მიმართულებით. ასევე მატულობს მშრალ ფანერი, რომლითაც ფარავენ უშუალოდ წებოწაცხებულ საფუძველს. ამ დროს წებოსთან ერთად მერქანში (ფანერში) შედის ტენი, განსაკუთრებით ძლიერ ჩირჭვდება მასთან შეხებაში მყოფი მერქნის ფენა (45%-მდე).

შემჩნეულია, რომ შემდგომში შრომის გამო, ფანერის ფურცელი შეიშრობს წებოს, რადგან მას ჩაჯდომის დიდი უნარი აქვს. ამასთან დაკავშირებით ფანერში წარმოიქმნება შინაგანი ძაბვები, რომლებიც იწვევენ ფურცლის გარე ზედაპირზე, ბოჭკოების გასწვრივ მდებარე ბეწვისებრი ბზარებისა და ფუგების დაშორებას. მერქნის ჰიგროსკოპულობის გამო ფანერის ფურცლის ზომის ცვალებადობა დაკავშირებულია საცხოვრებელ ბინაში ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის მნიშვნელოვან მერყეობასთან, რაც ხშირად იწვევს გაჯირჯებას, ფანერის ამობურცვასა და ნაკეთობის გარეგანი შეხედულების გაუარესებას.

სხვადასხვა მერქნოვანი ხის ჯიშის ფანერის თვისება გატენიანების პირობებში შეინარჩუნოს ზომების შედარებითი სტაბილურობა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექნიკური თვისებაა და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფანერის ხარისხზე მსჯელობის დროს. ამგვარი შეფასების კრიტერიუმია მონაცემები მერქნის შეშრობის უნარის შესახებ, რომლებიც მიიღება „გოსტის“ თანახმად აღებული მერქნის ნიმუშზე. ჩვენ დარწმუნებული არ ვიყავით, რომ შეშრობის შეფარდებითი სიდიდეები, მით უმეტეს, მათი ციფრობრივი მონაცემები, ერთნაირი იქნებოდა მერქნის მკერვი მასისა და ფანერის თხელი ფურცლისათვის.

ხის თხელი ფირფიტები, რომელთა სისქე ხშირად ჰურტლების საშუალო სიდიდის ტოლია, ტენის შეთვისებისას მოსალოდნელი იყო ხაზობრივ სიდიდეთა დიდი ცვალებადობა, რადგან ფანერის ფურცელს აქვს მნიშვნელოვნად ნაკლები სიხისტე მერქნის მკერვი მასასთან შედარებით.



თხელი ჩამონატრებისა და მერქნის მყარი მასის შემორობა (მიკროტექს-  
ტილი დაკვირვებებით) თითქმის ერთნაირია, მაგრამ არ გაგვიჩნდა ფანერო-  
კლისათვის ამისი დამაჯერებელი მონაცემები. გარდა ამისა, **ტრეპინუმი**  
რადღებოა ფანერის მიერ წყლის შთანთქმის დროს ხაზობრუნებასთან  
მახევენებლების შედარებით მეტი ზრდის ტემპები, რასაც დიდი პრაქტიკუ-  
ლი მნიშვნელობა აქვს.

ასეთი ვითარების გამო სპეციალური ექსპერიმენტული გამოკვლევები ჩავატა-  
რეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ლაბორატორიაში ვერტი-  
კალურ ოპტიკურ სიგარძმომზე (ИЗВ—1), რომელიც წარმოადგენს შტრიხულ  
საზომ ხელსაწყოს და გამოიყენება გარეგანი სიდიდეების გასაზომად აბსო-  
ლუტური მეთოდით. გაზომვის სიზუსტე უდრის 0.001 მმ.

საცდელად ავიღეთ წიფლის, ნეკერჩხლის, კოპიტის, კაკლის, მუხის, მსხ-  
ლის, თელის, ჭადრისა და ევკალიპტის ფანერი. ორ უკანასკნელ ნიმუშს ეიკვ-  
ლევდით როგორც რადიალურ, ისე ტანგენტალურ კრილებზე, ფანერის ნი-  
მუშების ზომა იყო 30x30 მმ, სისქე — 0.8 მმ.

ცდის დაწყებამდე ნიმუშებზე ვხაზავდით ურთიერთპერპენდიკულარულ ხა-  
ზებს, ბოჭკოს გრძივად და განივად, რომლებიც ერთმანეთს კვეთდნენ ნიმუშის  
ცენტრში.

ცნობილია, რომ მუდმივ წონამდე მისაყვანად (ნულოვან ტენიანობამდე)  
საშრობ კარადაში გაშრობისას ნიმუში განიცდის დეფორმაციას და იმსხვრევა.  
ამიტომ ცდებს ვატარებდით საწყის ტენიანობაზე — 10—12%<sub>გ-ზე</sub>, ე. ი. იმ ტე-  
ნიანობაზე, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში აქვს ფანერს. ცდის დასაწყის-  
სა და დასასრულს ნიმუშს ვწონიდით. ხოლო ტენიანობას ვსაზღვრავდით მა-  
შინ, როდესაც ნიმუშის დეფორმაციას უკვე მნიშვნელობა არ ჰქონდა.

წყალშთანთქმაზე ცდების დაყენება დაკავშირებულია მნიშვნელოვან  
ტექნიკურ სიძნელეებთან, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ნიმუში ტენიანობის  
ცვალეზადობის დროს იღუნება და მისი გაზომვა ძნელდება. ამის თავიდან ასა-  
ცილებლად ყველა გაზომვას ვწარმოებდით ჩვენ მიერ სპეციალურად კონსტ-  
რუირებულ ხელსაწყოთი, რომელიც წარმოადგენს სპილენძის ოთხკუთხა ყუთს,  
ბრტყელი პარალელური ფუძით. ყუთის კედლის სიმაღლე მეტია გასაზომი ნი-  
მუშის სიგრძეზე ან სიგანეზე 3—4 მმ-ით, რათა საცდელი ნიმუში წყლით დაი-  
ფაროს. ყუთში, მის შუა ნაწილამდე, ერთი მხრიდან ვადის უძრავი ღერძი, რო-  
მელზეც წამოცმულია 30 მმ დიამეტრის მქონე სახსროვანი დისკო, მეორე მხრი-  
დან კი ასეთი ღერძი მოძრავია და მასზე წამოცმულია იმავე დიამეტრის დის-  
კო, რომლის მიახლოება ან დაცილება ნიმუშთან წარმოებს ზამბარის საშუალებ-  
ებით. გამოსაცდელი ნიმუში მოვათავსეთ წყლით სავსე ხელსაწყოში ისე, რომ  
იგი მთლიანად დაიფარა წყლით. აღნიშნული ხელსაწყო ნიმუშით თავს-  
დება ოპტიკური სიგრძის ზომის ფუძეზე და ნიმუშზე გავლებული ხაზის  
ბოლოს ედგმის მზომის წვერი. გაზომვას ვატარებდით 1, 3, 5 წუთში და შემდეგ  
ყოველ 5 წუთში, ცდის საერთო ხანგრძლივობა 60 წუთი იყო.



ზემოთ აღნიშნული მეთოდით წყალშთანთქმის განსაზღვრამ გვიჩვენა სხვა დასხვა ჯიშის ფანერის ზომების ცვალებადობის უნარის საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავება. ცდის საშუალო მონაცემები მოყვანილია პირველ მუხარამოვსა და წყალშთანთქმის დროს მაქსიმალური ზრდა შემჩნეულია 5-6-დღეში.

განმავლობაში, შემდეგ 10—20 წუთის განმავლობაში ზომის გადიდება მიმდინარეობს საკმაოდ ინტენსიურად, ხოლო 50—60 წუთის შემდეგ კი წყდება, რის შემდეგ ნიმუშის წყალში ყოფნა არ ახდენდა შესამჩნევ გავლენას მის ზომებზე, ან შემთხვევაში გამოჩაყლის წარმოადგენდა ევკალიპტი, რომელსაც ცდის დამთავრებამდე (90 წ. შემდეგ ცდის დაწყებიდან) ემჩნეოდა უმნიშვნელო, მაგრამ ზომების მაინც შესამჩნევი გაზრდა.

გაჯირჩვების სისწრაფე სხვადასხვა ჯიშების ფანერში ერთმანეთისაგან განსხვავდება, ასე, მაგალითად: წიფელში ის მიმდინარეობს სწრაფად და პირველივე წუთში აღწევს საბოლოო გაჯირჩვების 85%. ცხრილში გაჯირჩვების სისწრაფე განსაზღვრულია პროცენტებით.

ზომების აბსოლუტური ზრდა ბოქოების გასწვრივ დაახლოებით ერთნაირია და გამოისახება უმნიშვნელო რიცხვებით. პირიქით, ბოქოების განივად აბსოლუტური ზრდა აღწევს შედარებით დიდ სიდიდეებს, რასაც შეიძლება განსაზღვრული მნიშვნელობა ჰქონდეს დაფანერებული ნაკეთობების დამზადების და მუშაობის პროცესში.

ფანერის და (3×3×1 სმ ზომის) მერქნის ნიმუშის ხაზობრივი გაჯირჩვების შედარების დროს ვამჩნევთ ფრიად მნიშვნელოვან განსხვავებას. მაგალითად, ჩვენი დაკვირვების მიხედვით, მუხისა და ევკალიპტის მერქნის ნიმუშებში გაჯირჩვების მრუდის გასწორება ხდება 2—4 დღე-ღამის შემდეგ, მაშინ როდესაც ამავე ჯიშებიდან მიღებულ ფანერში ეს გასწორება ხდება უკვე 50—60 წუთის შემდეგ. მეორე მხრივ, ხაზობრივი ზომების გადიდების აბსოლუტური სიდიდეები ფანერს გაცილებით ნაკლები აქვს, ვიდრე მერქანს: მუხის მერქანში ის აღწევს 10 დღე-ღამეში 11,6%-ს, ევკალიპტში — 16,5%-ს, ე. ი. ის მერქნისათვის 2—2,3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ფანერისათვის. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ფანერი წარმოადგენს მერქნის განსაკუთრებულ ფიზიკურ მდგომარეობას.

სხვადასხვა ჯიშების ფანერის გაჯირჩვებას შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები. ამ სიდიდეების აბსოლუტური მნიშვნელობის მიხედვით ყველა შესწავლილი ჯიშის ფანერი შეიძლება დაიყოს 3 ჯგუფად:

სტაბილური, რომელსაც ჩვენ ვაყოფნებთ ფანერს ზომების ხაზობრივი გადიდების შედარებით დაბალი პროცენტით — 4,5%-მდე (კაკალი 3,74%, იფანი — 3,78%, კადარი — 4,15%, ნეკერჩხალი — 4,32%).

ნახევრად სტაბილური — 4,6—6,5% (მსხალი — 6,090%, მუხა — 6,5%).

არასტაბილური — 6,6% — 8,2% (ევკალიპტი — 7,4%, წიფელი — 8,2%).



ფანერის გაჭირვების ხიჩკარე წყლის შთანთქმის ღრის (%-ობით) პირველი წილის მიხედვით

ჯიშო	გაჭირვების მიმართულება	ნიმუშის რაოდენობა	ტენსიონობა %-ობით	წყალში ყოფნის ხანგრძლივობა წუთებში							
				1	3	5	10	15	20	30	60
ვეალიბტი	რადიალური	15	11,80	0,308	1,06	1,75	2,62	2,98	3,18	3,22	—
"	ტანგენტალური	17	72,5	2,79	4,47	5,74	6,22	6,65	6,92	7,15	7,40
აკელო	"	8	12,5	0,851	1,918	2,66	3,215	3,445	3,50	3,64	3,76
წიფელი	"	4	11,5	6,975	7,47	7,58	7,83	7,90	7,95	8,06	8,22
მსხალი	"	8	14,8	4,06	5,42	5,71	5,86	5,98	6,0	6,05	6,09
თელაწივერჩხალი	"	5	12,3	3,01	4,77	5,48	5,49	5,63	5,83	5,70	5,83
"	"	6	12,92	1,515	2,545	3,28	3,96	4,01	4,17	4,18	4,33
კადარი	"	3	13,22	2,31	3,58	4,0	4,075	4,05	4,09	4,105	4,15
"	რადიალური	6	12,5	1,122	1,678	1,84	1,92	1,92	1,95	1,94	1,949
მუხა	ტანგენტალური	5	13,47	0,940	2,0	2,95	4,60	5,29	5,69	6,11	6,50
კობიტი	"	5	11,98	1,350	2,435	2,70	3,345	3,53	3,60	3,70	3,78

Е. М. ТАТИШВИЛИ

**К ВОПРОСУ РАЗБУХАНИЯ ОБЛИЦОВОЧНОЙ (СТРОГАННОЙ) ФАНЕРЫ ИЗ ДРЕВСИНЫ РАЗЛИЧНЫХ ПОРОД**

**Резюме**

Вопрос об изменении размеров фанерного листа в зависимости от впитывания им капельно-жидкой влаги или от поглощения паров воды из воздуха, вследствие гигроскопичности древесины, имеет большое практическое значение.

Свойство фанеры различных пород сохранять относительную стабильность размеров в условиях увлажнения является одной из важных ее технических характеристик.

Проведены были специальные экспериментальные исследования облицовочной фанеры 9 пород (бук, клен, ясень, дуб, орех, груша, карагач, чинар и эвкалипт), для установления сравнительных темпов нарастания и изменения линейных размеров при водопоглощении.





Абсолютное увеличение размеров поперек волокон (вдоль волокон изменение размеров настолько незначительно, что можно не принимать во внимание) разное для различных пород.

По абсолютным значениям этих величин, фанеру исследованных пород можно разделить на 3 группы:

1. Стабильная — фанера со сравнительно низким процентом линейного увеличения размеров — до 4,5% (орех, ясень, чинар, клен).
  2. Полуустойчивая — от 4,6% до 6,5% (груша, дуб).
  3. Нестабильная — от 6,6%, до 8,2% (эвкалипт, бук).
-



- შ. ხაბიასვილი, თ. მაღლაკელიძე,  
ა. ცერძანიძე, გრ. სოხაძე-საბუნიანი  
ბ. დავითაშვილი

პანიფიკის ახალი კონსერვის წარმოების ტექნოლოგია

ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი წარმოებისათვის პამიდორი ერთ-ერთი ძირითადი ნედლეულია. ხილ-ბოსტნეულის კონსერვების ფართო ასორტიმენტში დიდი ზედიზედ წონითაა წარმოდგენილი დაკონსერვებული ტომატ-პროდუქტები: პამიდორის ნატურალური კონსერვები, პამიდორის სხვადასხვა სახის წვენი, კონცენტრირებული ტომატ-პროდუქტები, პამიდორის მარიანადები და მწნილები, პამიდორის საწებელი, სოუსი და სხვ.

1974 წელს სსრ კავშირის მასშტაბით, საკონსერვო საწარმოებმა გადამამუშავეს 2,2 მლნ ტ პამიდორის ნედლეული, რაც 30%-ით აღემატება 1973 წელს გადამამუშავებულ ნედლეულს. მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება გადამამუშავებელი პამიდორის რაოდენობა.

მეცხრე ხუთწლედის ბოლოსათვის რესპუბლიკური სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „საქკონსერვო“-ს საკონსერვო ქარხნები 73 821 ტ პამიდორის გადამამუშავებენ და მისგან 85,3 მლნ ჰირობით ქილა (ქ. პ.) კონსერვს აწარმოებენ; მათ შორის: 50,4 მლნ. პ. ქ. ტომატ-პასტას და პურეს; 18 16 მლნ. პ. ქ. ტომატის საწებელს; 15,5 მლნ. პ. ქ. ტომატის წვენს; 1,27 მლნ. პ. ქ. დაკონსერვებულ პამიდორს და სხვ.

1974 წელს ეი გაერთიანების საკონსერვო ქარხნებმა 68 314 ტ პამიდორი გადამამუშავეს და მისგან აწარმოეს 48,8 მლნ. პ. ქ. კონცენტრირებული ტომატ-პროდუქტები, 14,85 მლნ. პ. ქ. ტომატის წენი, 11,5 მლნ. პ. ქ. ტომატის საწებელი 684 მლნ. პ. ქ. მთელად დაკონსერვებული პამიდორი და სხვ.

რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობის ერთ-ერთმა უდიდესმა საწარმოო გაერთიანებამ — გორის საკონსერვო ქარხანამ 1974 წელს 15 555 ტ პამიდორი გადამამუშავა და მისგან 17,5 მლნ. პ. ქ. ტომატ-პროდუქტები აწარმოვა. მათ შორის: 11,62 მლნ. პ. ქ. კონცენტრირებული ტომატ-პროდუქტები, 3,5 მლნ. პ. ქ. საწებელი, 2,34 მლნ. პ. ქ. ტომატის წენი და სხვ. ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო გაიზრდება ხუთწლედის ბოლოსათვის.

ტომატ-პროდუქტების თითოეული სახის ასორტიმენტს თავისი დანიშნულება აქვს და ბევრ დაღებით მზარეებთან ერთად რიგი უარყოფითი მხარეები-

თაც ხასიათდება. ასე, მაგალითად, კონცენტრირებული ტომატპროდუქტების წარმოებისას ხარშვის პროცესი იწვევს მზა ნაწარმის ნატურალური თვისებების გაუარესებას, საწარმოო ციკლის გაზრდას, ორთქლის, წყლისა და ელექტროენერჯის დიდ ხარჯს. კონცენტრირებული ტომატპროდუქტების წარმოების წინ მოითხოვენ წყლით განზავებას. მთელად დაკონსერვებული პროდუქტის წარმოებისას ნედლეულს წაეყენება განსაკუთრებით მკაცრი მოთხოვნები (ზომები, შეფერილობა, ფორმა და სხვ.), პროდუქცია განზავებულია მარილხსნარით, რაც საკონსერვო ტარის, საწარმოო ძალისა და სხვადასხვა სახის საწარმოო გადახარჯებს იწვევს. „ტომატის წვეწისა“ და „განეხილი ტომატის“ კონსერვების წარმოებისას ნაყოფის ნატურალური თვისებები მხოლოდ ნაწილობრივ შეინარჩუნება, რადგან პამიდვრის კანსა და თესლთან ერთად მზა პროდუქცია კარგავს იმ ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებითაც მდიდარია პამიდვრის ნაყოფის ეს ნაწილები.

იმის გამო, რომ „საქკონსერვის“ სისტემაში შემავალი საკონსერვო ქარხნების ტომატპროდუქტების ასორტიმენტში დიდი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი კონცენტრირებული ტომატპროდუქტები, რომელთა წარმოება საწარმოო დროის დიდ ციკლს მოიცავს, პამიდვრის მასობრივი შემოსვლის პერიოდში ხშირია საკონსერვო ქარხნების ნედლეულით ვადატვირთვა, ქარხნები ვერ ასწრებენ მიღებული ნედლეულის დროულად გადამუშავებას და ხშირია შემთხვევა, როდესაც ნედლეული ხანგრძლივი დაყოვნების გამო ჯერ კიდევ გადამუშავებამდე კარგავს სასაქონლო ღირსებებს.

ჩვენ მიზნად დავისახეთ პამიდვრისაგან შეგვექმნა ისეთი სახის საკონსერვო პროდუქცია, რომელიც დაზღვეული იქნებოდა ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისაგან.

ახალი სახის საკონსერვო პროდუქცია, რომელსაც ჩვენ „პამიდვრის ნატურალური პულპა კულინარიისათვის“ ვუწოდებთ, ხასიათდება წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სიმარტივით, ძალზე შემცირებულია კონსერვების გამოშვების საწარმოო ციკლი, წყლის, ორთქლის, ელექტროენერჯისა და მუშა ხელის ხარჯი მინიმუმამდე დაყვანილი.

ახალი სახის საკონსერვო პროდუქციის წარმოებისათვის გადასამუშავებლად დაიშვება პამიდვრის მხოლოდ მწიფე, ჯიშისათვის დამახასიათებელი შეფერილობის, საღი ნაყოფები. პამიდვრის ნაყოფების ზომას და ფორმას მნიშვნელობა არა აქვს. გადასამუშავებლად წარმოებაში მიღებულ პამიდვრის ნაყოფებში შრალი ნივთიერების შემცველობა უნდა იყოს არა ნაკლები 4,0%-ისა.

ახალი სახის საკონსერვო პროდუქციის — „ტომატის პულპა ნატურალური კულინარიისათვის“ — წარმოების ტექნოლოგია ითვალისწინებს შემდეგი ოპერაციების ჩატარებას. ნედლეულის რეცხვა — ამისათვის იყენებენ ვენტლიატორიან და ელვატორულ სარეცხ მანქანებს, რომელშიაც აუცილებლად უნდა შეიქმნას წყლის ინტენსიური მოძრაობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ნედლეულიდან სხვადასხვა დანაგვიანების მოცილება.

გაოცებილ ნედლეულს ტრანსპორტიორზე გადაადგილებისას წყალი უნდა გადაეცლოს.

ინსპექცია — რეცხვის შემდეგ ნედლეული უშუალოდ მიეწოდება საინსპექციო კონვეიერს. რეკომენდებულია საინსპექციოდ გამოყენებულ იქნეს გორგოლაჭებიანი ტრანსპორტიორი, რომელიც უზრუნველყოფს ნედლეულის გადაადგილებასთან ერთად მის ბრუნვასაც, რითაც გააუმჯობესდება ინსპექციის ჩატარება. ინსპექციის დროს ნედლეულს აცილიან დამალ, დაობებულ და სხვა დაავადების მქონე ნაყოფებს.

ინსპექციასთან ერთად ხდება ყუნწის მოცლა ხელით. ყუნწის მოცლის შემდეგ ნედლეული კვლავ განიცდის წყლის გადავლებას საშხაპო მოწყობილობიდან და მიეწოდება დამაქუცმაცებელ მანქანას.

პამიდვრის დაქუცმაცება წარმოებს სწრაფსვლიან დამაქუცმაცებელ მანქანაზე — КДП—4М, ან ვარსკვლავა დამაქუცმაცებელზე. დამაქუცმაცებელი მანქანის დოლებს შორის ღრეჩოს ზომა უნდა იყოს 3—5 მმ.

შემდეგ დაქუცმაცებულ მასას აცხელებენ მიღებიან გამაცხელებელში 90°C ტემპერატურაზე და ტუმბოს საშუალებით მიეწოდება ავტომატურ შემესებ მანქანას. დასაფასოებლად გამოიყენება მინის საკონსერვო ტარა СКО 83—2; 83—6; და 83—3. შეესებულ ქილებს ხუფავენ გალაქული საკონსერვო ზეფით ავტომატურ დამხუფ მანქანაზე.

დახუფული ქილები ცხელ მღვამარეობაში მიეწოდება ავტოკლაფში გასასტერილებლად. ავტოკლაფში ჩატვირთული ქილების ტემპერატურა უნდა იყოს არა ნაკლებ 60—70°C-ისა.

სტერილიზაცია ტარდება რეჟიმით:

ტარის სახე	სტერილიზაციის რეჟიმი	უაწნევა, ატმ.
СКО 83—2	$\frac{20-20-20}{100^{\circ}\text{C}}$	1,2
СКО 83—6	$\frac{20-25-20}{100^{\circ}\text{C}}$	1,2
СКО 83—3	$\frac{20-20-20}{100^{\circ}\text{C}}$	1,2

გასტერილებულ ქილებს ავტოკლაფიდან ამოწყობის შემდეგ უკეთდება ეტიკეტი და გადაეცემა შხა პროდუქციის საწყობს.

ნედლეულის ხარჯის ნორმა ათას პირობით ქილაზე იანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$P = \frac{S \cdot 100^2}{(100 - x_1)(100 - x_2)}$$

სადაც P — არის ნედლეულის ხარჯის ნორმა 1000 პირობით ქილა შხა პროდუქციაზე, კგ-ობით.

S — 1000 პირობითი ქილა ტომატის ნატურალური პულპის მასა, რომელიც აიღება 400 კგ;



$X_1$  — ნარჩენები ინსპექციისა (2,0%) და ყუნწის მოცილების (0,5%) დროს — 2,5%;

$X_2$  — დანაკარგები წარმოების პროცესში, რომელიც შემადგენელი ნაწილების ბოლეს 4%-ს;

$$T = \frac{400 \cdot 100^2}{(1,0 - 2,5) \cdot (100 - 1)} = 427,35 = 428,$$

ე. ი. ნედლეულის ხარჯის ნორმა 1000 პირობით ქილაზე შეადგენს 428 კგ-ს, ხოლო ნარჩენები და დანაკარგები კი — 6,5%-ს.

პამიდგრის ახალი სახის კონსერვში ნაყოფისათვის დამამასიოებელი ორგანოლუბტიკური და ქიმიური მარცვლები მაქსიმალურად შეინარჩუნება, რაც გაპირობებულია მზა პროდუქტში ნაყოფის შემადგენელი ნაწილების სრული შენარჩუნებით.

ახალი სახის პროდუქციის წარმოებისათვის ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა არ მოითხოვს საკონსერვო ქარხნების პამიდგრის გადამამუშავებელ ტექნოლოგიური ხაზების მნიშვნელოვან რეკონსტრუქციას. საჭირო არ არის ქარხნების ძვირადღირებული ტექნოლოგიური მოწყობილობით აღჭურვა და პრაქტიკულად „საქკონსერვი“-ს სისტემაში შემავალ ყველა საკონსერვო ქარხანას შეუძლია ამ პროდუქციის წარმოება, რაც მნიშვნელოვნად განტვირთავს ქარხნებს პიკის პერიოდში ნედლეულის სიჭარბისაგან.

ახალი სახის საკონსერვო პროდუქტია მოწონებული იქნა საქართველოს სსრ ეპრობის სამინისტროს კვლევითი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღვეუსტაციაზე. პამიდგრის ნატურალური პულპიდან დამზადებულმა კერძებმა ვაკუუმით მაღალი შეფასება დაიმსახურა, ვიდრე ტომატპასტისაგან დამზადებულმა კერძებმა.

საქართველოს სსრ ეპრობის სამინისტროს მოთხოვნით „საქკონსერვთან“ დადებული იქნა ხელშეკრულება ახალი სახის საკონსერვო პროდუქციის სამარეწველო მასშტაბით გამოშვებაზე.

ახალი სახის საკონსერვო პროდუქტიაზე შესაბამის ინსტანციებში დამტკიცებულია და სახელმძღვანელოდ ვადაეცა „საქკონსერვი“-ს სისტემაში შემავალ ქარხნებს ტექნიკური პირობები და ტექნოლოგიური ინსტრუქცია; დამტკიცებულია საბიულმო და საცალო ფასები. ამ პროდუქციის წარმოება 1974 წლიდან დაიწყო გორის საკონსერვო ქარხანაში, მომავალში გათვალისწინებულია ამ პროდუქციის გამოშვების კიდევ უფრო გაფართოება.

გარდა იმისა, რომ ახალი სახის საკონსერვო პროდუქტია ხასიათდება ნატურალური თვისებების მაქსიმალური შენარჩუნებით, იგი მოშველიან პროდუქტისავე წარმოადგენს. ყოველი ათასი პირობითი ქილა კონსერვის წარმოებაზე იძლევა 7 მანეთ მოგებას.

ქვემოთ მოცეყავს პამიდგრიდან მიღებული სხვადასხვა სახის კონსერვის ეკონომიური ეფექტიანობის ცხრილი გორის საკონსერვო ქარხნის მაგალითზე.



პროდუქციის დასახელება	დღ. ს. ნომ.	საბჭოთა ფაქტობრივი მნიშვნელობა ა. პ. კ. (მ. მ.)	საბჭოთა ფაქტობრივი მნიშვნელობა ა. პ. კ.	გადასრულებული მუშაობის პროცენტი + მოცულობა - მოცულობა	გადასრულებული მუშაობის პროცენტი + მოცულობა - მოცულობა
ტომატის ცხარე საწებელი	83-1	414-08	257-60	-146,49	-33,0
ტომატი მთელად დაკონსერვებული	83-2	109-21	106-25	-2,96	-2,7
" "	83-3	99-87	103-51	+3,62	+3,6
ტომატის წვენი	83-3	131-71	163-26	+36,65	+27,8
ტომატპასტა	83-3	234-10	96-22	-137,78	-58,8
ტომატის სასმელი	83-3	141-83	163-20	+21,97	+15,5
ტომ. ტი ვაზელი	83-1	296-82	197-67	-9,15	-4,4
ტომატის პულპა ნატურალური	83-2	140-24	147-25	+7,01	+5,0
" "	83-3	131-86	138-45	+6,59	+5,0

როგორც ცხრილიდან ჩანს, პამიდვრიდან წარმოებული კონსერვების შეტი წილი ქარსნეშოსათვის წამგებია. მაგალითად, ყოველი ათასი პირობითი ქილა ცხარე ტომატის საწებელი იძლევა 146,49 მანეთ წაგებას, ხოლო ტომატპასტა კი — 137,78 მანეთ წაგებას.

სხვა კონსერვებთან ერთად მომგებიანია აგრეთვე ზეენ მიერ რეკომენდებული ახალი სახის საკონსერვო პროდუქცია — „პამიდვრის პულპა ნატურალური“, რომელიც შესაბამისად დაფასოებისა, ყოველ ათას პირობით ქილა კონსერვის წარმოებაზე იძლევა: CKO 83-2 ქილაზე 7,01 მანეთ მოგებას და 83-3 ქილაზე — 6,59 მანეთ მოგებას.

ქვემოთ მოგვყავს ახალი სახის საკონსერვო პროდუქციისა და ტომატპასტის ქიმიურ მაჩვენებელთა ამოსავალ ნედლეულთან შედარებითი დახასიათება.

როგორც ცხრილიდან ნათლად ჩანს, ახალი სახის საკონსერვო პროდუქციის „პამიდვრის პულპა ნატურალური“-ს ქიმიური მაჩვენებლები თითქმის არაფრით არ განსხვავდება ამოსავალი ნედლეულის ქიმიური მაჩვენებლებისაგან, ხოლო რაც შეეხება ტომატპასტს, მისი ქიმიური მაჩვენებლები საგრძნობლად განსხვავებულია, როგორც ამოსავალი ნედლეულის ქიმიური მაჩვენებლებისაგან, ისე ახალი სახის საკონსერვო პროდუქციის ქიმიური მაჩვენებლებისაგან. ეს განსხვავება განსაკუთრებით შეინიშნება მზა პროდუქტაში შაქრების, ვიტამინების და სხვა მაჩვენებლებს შენარჩუნების მხრივ.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ ახალი სახის საკონსერვო პროდუქციის „პამიდვრის პულპა ნატურალური“ მაქსიმალურად აქვს შენარჩუნებული პამიდვრისათვის დამახასიათებელი ნატურალური თვისებები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ახალი სახის საკონსერვო პრეპარატები ქარხნებმა გაუშვან პამიდურის მასობრივად შემოსვლისა და ქარხნების წვდ-  
ლეულით გადატვირთვის პერიოდში.

საქონლური  
გამოცდების  
შედეგად

საანალიზო ნიმუშის დასახელება	შრ. რეფ. (პ.%)	შაქრები (პ.%)				pH	ფტან-ნ-ს-ს (მგ.%)	კაროტინი (მგ.%)	კალოციტოლი (მგ.%)	საყარი (პ.%)	მინერალური ვლემენტები (მგ.%)		
		საერთო	ენერგეტიკული	საქაროზა	ტეტროლი ნაფი- მონა (მგ.%)						Na	K	Ca
პამიდურის ნაყოფი	4,2	2,40	2,31	0,07	0,52	4,24	5,63	2,37	7,0	0,59	13,0	181,8	24,9
პამიდურის პოლა ნატურა- ლური	4,2	2,40	2,34	0,07	0,47	4,32	5,48	2,40	7,0	0,58	12,2	162,0	25,7
30%-იანი ტომატპასტა — განხვებული 4,2% მწრია- ლი ნივთიერების შემცვე- ლობაზე	4,2	1,25	1,20	0,05	0,41	4,14	4,24	2,39	4,66	0,52	19,9	147,2	24,3

შ. მ. ხატიაშვილი, თ. ა. მაგლაკელიძე,  
გ. ს. ჩორგოლავილი, ა. დ. ქომარია,  
ნ. გ. დემეტრაშვილი.

## ТЕХНОЛОГИЯ ПРОИЗВОДСТВА НОВОГО ВИДА КОНСЕРВНОЙ ПРОДУКЦИИ ИЗ ТОМАТОВ


### Резюме

Технология новой консервной продукции из томатов — «Томатная пурпа натуральная» — разработана на кафедре хранения и технологии с/х продуктов Груз. СХИ.

В статье даны технологический процесс производства нового вида консервной продукции из томатов, ее сравнительная характеристика по отношению к другим видам консервов из этих же плодов, а также экономическая эффективность и расчет нормы расхода сырья на ТУБ готовой продукции.

### ლიტერატურა

1. А. Ф. Фан-Юнг, Б. Л. Флауменбаум, А. К. Изотов — Консервирования плодов и овощей, М., «Пищевая промышленность», 1969.
2. Ф. В. Церевитинов — Химия и гомарование свежих плодов и овощей — М., Госиздат. 1949.
3. Сборник технологических инструкций по производству консервов, т—1, М., «Пищепромиздат» 1960.

- 
4. Справочник по производству консервов, т—4, М., «Пищевая пром-ость»  
1974.
5. М. Я. Дикис, А. Н. Мальский — «Технологическое оборудование  
консервных заводов. М., «Пищевая пром-ость», 1969.
6. Задачи консервной промышленности в завершающем году пятилетки,  
Журнал. «Консервная и овощесушильная пром-ость». № 3, стр. 2—4  
1975.
-





მ. შანიანი

შავაშვილი და პატიოსანი ტექნიკური სიმწიფის სტადიის დადგენა

